

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე

2013, №4

**სამოქალაქო  
პროცესი**

**საძიებელი**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედება დროში  
განსჯადობა  
მტკიცების ტვირთი  
მტკიცებულებათა შეფასება  
ექსპერტის დასკვნის შეფასება  
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება  
სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების  
განუხილველად დატოვების საფუძვლები  
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა  
სარჩელის უზრუნველყოფის  
ღონისძიების გაუქმება  
სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე  
გამოტანილი განჩინების გასაჩივრება  
დაუსწრებელი გადაწყვეტილება  
განჩინებაში უსწორობის გასწორება  
დამატებითი გადაწყვეტილება  
საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად  
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა  
გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება  
ხელახლა განსახილველად სასაპელაციო  
სასამართლოს მიერ  
საკასაციო საჩივრის დასაშვებობა  
სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება სარჩელის  
განუხილველად დატოვებისას

# სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედება დროში

## განჩინება

№ას-1376-1213-2010 24 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა: საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 13 ოქტომბერს ი. კ-ოვას წარმომადგენელმა თ. შ-ვილმა საარბიტრაჟო პრეტენზიით მიმართა შპს „... არბიტრაჟს“ და მოითხოვა 2009 წლის 27 აგვისტოს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხე ნ. პ-ძის საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების პრეტენდენტის – ი. კ-ოვასათვის საკუთრებაში გადაცემა ვალის სანაცვლოდ. შპს „... არბიტრაჟის“ 2009 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგება იმ პირობით, რომ, თუ ნ. პ-ძე დათქმულ ვადაში არ გადაიხდიდა თანხას, მოთხოვნილი იქნებოდა სააღსრულებო ფურცელი და ქ. თბილისში, ... ქ. №42-ში მდებარე (საკადასტრო კოდი №...) იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება საჯარო რეესტრში აღირიცხებოდა იპოთეკარ – ი. კ-ოვას სახელზე.

2010 წლის 8 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ნ. პ-ძემ (წარმომადგენელი ხ. ზ-ძე) და მოითხოვა სარჩელის აღძვრამდე, სარჩელის უზრუნველყოფის სახით, ი. კ-ოვას სახელზე საკუთრების უფლებით რიცხულ, ქ. თბილისში, ... ქ. №42-ში მდებარე, 112,31 კვ.მ ფართის უძრავი ქონებაზე, (მინის საკადასტრო კოდი №...) ყადაღის დადება იმ საფუძველით, რომ შპს „... არბიტრაჟის“ თავმჯდომარე გ. რ-შვილმა საარბიტრაჟო პრეტენზია მხარეთა შორის კონკრეტული არბიტრაჟის თაობაზე, საარბიტრაჟო შეთანხმების არარსებობის პირობებში მიიღო. 2009 წლის 19 ოქტომბერს მორიგების დამტკიცების შემდეგ, ი. კ-ოვას (პრეტენდენტი) ნდობით აღჭურვილმა პირებმა ლ. ა-ძისაგან არაერთხელ მიიღეს ბინის გამოსასყიდი თანხები, სულ 52000 აშშ დოლარი ხელწერილებით, ხოლო 4000 აშშ დოლარი ხელწერილის გარეშე, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, მან საჯარო რეესტრის ამონაწერით შეიტყო, რომ ი. კ-ოვას თავის სახელზე, საკუთრების უფლებით, გადაუფორმებია ფაქტობრივად გამოსყიდული ბინა და მიითებულ ბინიდან განმცხადებლის გამოსახლება და მის გაყიდვას. ვინაიდან ნ. პ-ძე აპირებდა სარჩელის აღძვრას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენლობა გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას, განმცხადებელმა მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, განცხადების დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ნოემბრის განჩინებით ნ. პ-ძის (წარმომადგენელი ხ. ზ-ძე) განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, არ დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრა ნ. პ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და განცხადების დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინებით ნ. პ-ძის საჩივარი ამავე სასამართლოს 2010 წლის 8 ნოემბრის განჩინებაზე დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული და საქმის მასალებთან ერთად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ნ. პ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2009 წლის 29 ივნისის კანონით განხორციელებული ცვლილების შედეგად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა ცალკე XIV<sup>3</sup> თავი – „არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეების განხილვის თავისებურებაზე“, რომლის 356<sup>12</sup> მუხლით დადგინდა, რომ არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ 2009 წლის 19 ივნისის კანონის 42 მუხლის დანაწესი საპროცესო სამართლის ნორმას წარმოადგენს და, შესაბამისად, სადავო საკითხის სწორად გადასაწყვეტად, მხედველობაშია მისაღები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით დადგენილი სამოქალაქო საპროცესო ნორმების მოქმედების პრინციპი. მიითებულ ნორმის თანახმად, სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომელიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს. ამდენად, კანონმდებელი განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედებას დროში, საიდანაც გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: სამოქალაქო საპროცესო კანონს უკუქვეითობა არა აქვს, სასამართლომ უნდა გამოიყენოს ახალი კანონი, დამოუკიდებლად იმისა, საქმის განხილვა დაიწყო თუ არა ძველი საპროცესო კანონმდებლობის მოქმედების პირობებში. ისეთი საპროცესო მოქმედებები,

რომლებიც ახალი კანონმდებლობის ამოქმედების პირობებში უნდა განხორციელდეს, შესრულდება არა ძველი, არამედ ახალი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>24</sup> მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის დასაშვებობის შესახებ განხილვისა და გადაწყვეტილების პროცედურები განსაზღვრულია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლით, რომლითაც არ არის გათვალისწინებული საჩივრის წინასწარი უზრუნველყოფა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების გზით. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს საჩივრის უზრუნველყოფის სპეციალურ დანაწესს, რომლის მიხედვით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვისას, სასამართლო უფლებამოსილია, მხარის შუამდგომლობისა და საპასუხო უზრუნველყოფის პირობებში, შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულება არაუმეტეს 30 დღით. („არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილი), იგივე დანაწესს შეიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>24</sup> მუხლის ნაწილიც.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონის ზემოაღნიშნული ნორმები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში სრულიად ასაბუთებს ნ. პ-ძის განცხადების დაუსაბუთებლობას, რის გამოც მისი მოთხოვნა სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და, შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმებას არ ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:  
საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### და ა დ გ ი ნ ა :

ნ. პ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ნოემბრის განჩინება.  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### ბ ა ნ ს ჯ ა დ ო ბ ა

##### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1392-1313-2012 20 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ყ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ შემოსავლების სამსახურისა და მესამე პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ სახელფასო დავალიანების – 2657,62 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელის განმარტებით, ის მუშაობდა სსიპ შემოსავლების სამსახურში და 2011 წლის 15 ოქტომბერს, პირადი განცხადების საფუძველზე, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. 1998-2000, ასევე 2003 წლების სახელფასო დავალიანება, რომლიც მოპასუხეს მოსარჩელისათვის არ აუნაზღაურებია, შეადგენდა 3322,02 ლარს, აქედან ხელზე ასაღები თანხა იყო 2657,62 ლარი. მოსარჩელემ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის მე-4, მე-6, მე-14, 37-ე მუხლებზე, დავის წარმოშობის დროს მოქმედ შრომის კანონთა კოდექსის მე-16, 96-ე მუხლებზე და განმარტა, რომ სამუშაოს შესრულების დროს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ზ. ყ-ე საჯარო მოხელეს წარმოადგენდა, მის მიმართ ვრცელდებოდა კანონის ზემოაღნიშნული ნორმები, შესაბამისად, მოხელის სამუშაოდან დათხოვნის დღეს არ მოხდა რა ანგარიშსწორება, მან მოითხოვა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სარჩელი ხანდაზმულია და არ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ საერთო ხანდაზმულობის ვადას. მოსარჩელისათვის უფლების დარღვევის თაობაზე ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ცნობილი იყო გათავისუფლების დროს და სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლიდან გამომდინარე, მას მოთხოვნის უფლება სწორედ ამ დროიდან გააჩნდა. მოპასუხემ ასევე მიუთითა სა-

ქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 28 აპრილის №162 ბრძანებულების მე-7 მუხლზე და განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოხელეებს კუთვნილი თანხა (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) მიეცემათ წინა წლებში წარმოშობილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით ზ. ყ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, სსიპ შემოსავლების სამსახურს ზ. ყ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების – 2657,62 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება და ზ.ყ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. ყ-ე 2011 წლის 15 ოქტომბერს პირადი განცხადებით გათავისუფლდა სსიპ შემოსავლების სამსახურის პორტალის ფოთისა და ყულევის პორტებისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მთავარი ოფიცრის თანამდებობიდან. ყოფილი საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო „დასავლეთში“ მუშაობის პერიოდში 1998-2000, 2003 წლებში მის მიმართ დაგროვებული სახელფასო დავალიანება შეადგენდა 2657,62 ლარს. სსიპ შემოსავლების სამსახურს ფულადი ვალდებულება არ შეუსრულებია.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 130-ე მუხლით და დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. ყ-მ სახელფასო დავალიანებასთან დაკავშირებით უფლების დარღვევის შესახებ შეიტყო პერიოდულად – 1998-2000, 2003 წლებში. მან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა 2012 წლის 11 მაისს, სამოქალაქო სამართლის მატერიალური კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის დარღვევით. აღნიშნულის გათვალისწინებით კი, მისი სასარჩელო მოთხოვნა არის ხანდაზმული და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რაც შეეხება შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემულ ცნობას ზ. ყ-ის სახელფასო დავალიანების შესახებ, სასამართლომ იგი ვალის აღიარების შესახებ დოკუმენტად (ხელშეკრულებად) არ მიიჩნია, რადგანაც მასში შემოსავლების სამსახურის მხრიდან თანხის გადახდისა და ამ ვალდებულების შესრულების ვადის თაობაზე არაფერი იყო მითითებული.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ყ-მ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ საქმე არაკანონიერი შემადგენლობით განიხილა, რის გამოც არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. სასამართლომ დავის განხილვისას ასევე დაარღვია კანონი, კერძოდ, არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლები, რადგანაც სახელფასო დავალიანების წარმოშობის დროისათვის კასატორი საჯარო მოსამსახურე იყო, შესაბამისად, მის მიმართ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. კასატორმა მიუთითა საბიუჯეტო კოდექსის 30-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია წინა წლებში წარმოშობილი დავალიანებისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდის არსებობა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს თანხებს დავალიანების გასასტუმრებლად, ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134-ე მუხლით განსაზღვრულია ასევე 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი დავალიანების დაფარვის წესი. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ სადავო პერიოდში ფინანსთა სამინისტრომ შემოსავლების სამსახური ვერ უზრუნველყო სათანადო თანხებით, რის გამოც შემოსავლების სამსახურის უფლებამონაცვლელ სსიპ შემოსავლების სამსახურს კასატორის მიმართ გააჩნია სახელფასო დავალიანება. კასატორმა ასევე მიუთითა შრომის კოდექსის მე-2 მუხლზე, სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ვალდებულება მოწინააღმდეგე მხარეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ დროს არ განუხორციელებია, ხოლო დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ამ კატეგორიის საქმეები განიხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და მის მიმართ ხანდაზმულობის ვადები არ გამოიყენება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ნოემბრის განჩინებით ზ. ყ-ის საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული, ხოლო საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ყ-ის საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 და

მე-3 ნაწილებით განსაზღვრულია როგორც მატერიალური, ასევე საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის წინაპირობები, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს საკასაციო საჩივარს. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დარღვეულია საპროცესო სამართლის ნორმები, ვინაიდან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განიხილა არაგანსჯადი (ადმინისტრაციული) საქმე. საკასაციო პალატა აღნიშნულ დასკვნას აფუძნებს შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებზე:

როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან ირკვევა, დავა შეეხება იმ პერიოდს, როდესაც მოსარჩელე შრომით სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო სამსახურთან – „დასავლეთი“. ყოფილი საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო „დასავლეთში“ მუშაობის პერიოდში მოსარჩელის მიმართ დაგროვდა 1998-2000, 2003 წლების სახელფასო დავალიანება, რამაც შეადგინა 2657,62 ლარი. სსიპ შემოსავლების სამსახურს ფულადი ვალდებულება არ შეუსრულებია. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ სახელფასო დავალიანების წარმოშობის დროისათვის კასატორი საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენდა, შესაბამისად მოპასუხე საბაჟო დეპარტამენტის ვალდებულება მოსარჩელისათვის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე გამომდინარეობდა ვალდებულების წარმოშობის დროისათვის მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის დებულებიდან.

საკასაციო პალატა მოიხმობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლს, რომლითაც განსაზღვრულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალური თვითობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მითითებულ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია საჯარო, კონკრეტულად ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისათვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების დაკისრება, რაც წარმოიშვა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან და არა კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდან, ამასთან, საგულისხმოა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია საჯარო, ანუ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობაში და არა კერძო სამართლის კანონმდებლობაში.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლი, რომელიც სპეციალური ნორმაა და რომლითაც მონესრიგებულია სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეთა კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო მოსამსახურებთან წარმოშობილი სახელფასო დავალიანებების სასამართლოს მეშვეობით ანაზღაურების საკითხი, როგორც ადმინისტრაციული კატეგორიის დავები იხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნესით და ანალოგიურ დავებზე არსებობს ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ მიღებული არაერთი გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ დავა გადაწყვიტა მხოლოდ კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე, განსხვავებით პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან, შესაბამისად, კასატორის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები საფუძვლიანია და გაზიარებულ უნდა იქნეს.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელ კიდევ ერთ ნიშანზე, კერძოდ იმაზე, მიმართულია თუ არა დავა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის დებულება, რომლის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანო განმარტებულია, როგორც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. სსიპ შემოსავლების სამსახურის (რომელიც წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფლებამონაცვლეს) უფლებამოსილებანი დადგენილია „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამსახურის ფუნქციებია: ა) გადასახადის/გადასახდელის გადამხდელისათვის მისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ბ) გადასახადების/გადასახდელის, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში შესა-

ბამისი მოსაკრებლების ადმინისტრირება; გ) გადასახადით/გადასახდელით დაბეგვრის საკითხებზე სამართლებრივი აქტების, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება; დ) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის დაცვისა და შესრულების კონტროლი; ე) კომპეტენციის ფარგლებში სამართალდარღვევათა პრევენცია და გამოვლენა; ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქცია განეკუთვნება საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებათა კატეგორიას, რაც მოპასუხის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს სტატუსისათვის გადამწყვეტია.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ სადავო ურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ორი უმთავრესი ელემენტი, კერძოდ, დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და სარჩელი მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ საკასაციო პალატის ზემოხსენებული დასკვნები მოცემული დავის ადმინისტრაციული კატეგორიის დავად მიჩნევის თაობაზე შესაბამისობაშია მსგავსი კატეგორიის დავების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან (პრაქტიკასთან) (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივნისის, №ბს-445-440(კ-12) განჩინება).

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად წარმოადგენდა მოცემული საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და ხომ არ უნდა განეხილა იგი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ანუ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა განსჯად სასამართლოზე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გააჩნდა ამ საქმის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება. აქედან, გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლებით, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები. შესაბამისად, სახეზეა საპროცესო ნორმების იმგვარი დარღვევა, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველია (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). ამდენად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მოცემული დავის განსჯადობის წესების დაცვით იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემის საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

## და ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. ყ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## განსჯადობა

### განჩინება

№ას-1405-1326-2012                      20 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ქ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მიმართ იძულებითი განაცდურის, 6 თვის ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2002 წლის 17 ივლისის №61 ბრძანებით მოსარჩელე გათავისუფლდა ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციის აკრეფის განყოფილების ინსპექტორის თანამდებობიდან შრომითი პირობების დარღვევის მოტივით, თუმცა, ვინაიდან სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება იყო უკანონო, ზუგდიდის რაი-

ონული სასამართლოს 2002 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე აღდგა დაკავებულ თანამდებობაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია მოსარჩელის უკანონოდ გათავისუფლება, შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, მოსარჩელემ მოითხოვა იძულებითი მოცდენის დროის ხელფასის ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი ცნო.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის – 1491,50 ლარის ანაზღაურება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონულმა ცენტრმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე ბ. ქ-ას სარჩელის განხილვისას, საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მ. ქ-ამ წერილობით მიმართა სასამართლოს ბ. ქ-ას სარჩელის ცნობის თაობაზე. სასამართლო სხდომის ოქმის თანახმად, ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელმა ცნო სარჩელი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, მე-4 და 208-ე მუხლებზე და რადგანაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ ცნო სარჩელი, სასამართლომ აღნიშნული ბ. ქ-ას სარჩელის დაკმაყოფილების საკმარის საფუძვლად მიიჩნია, ამასთანავე, არ დაეთანხმა აპელანტის მსჯელობას, რომ რადგანაც არ არსებობს ბ. ქ-ას სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე საგადასახადო ორგანოს ახალი ადმინისტრაციული აქტი, აღნიშნული გამორიცხავდა ბ. ქ-ვის იძულებითი გაცდენილი პერიოდის ხელფასის ანაზღაურებას. პალატის მოსაზრებით, როგორც სარჩელის, ისე სააპელაციო საჩივრის განხილვის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობა შრომის ანაზღაურებაზე ასეთი სახის შეზღუდვებს არ ითვალისწინებს. არ იქნა გაზიარებული აპელანტის მითითება, რომ შემოსავლების სამსახურისათვის გამოყოფილი ზღვრული ასიგნებანი არ მოიცავს გასულ წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისათვის გათვალისწინებულ თანხას, რადგანაც თუკი სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი იქნებოდა თანხის ანაზღაურება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, ასეთი გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულო იქნებოდა და ცალკეული სახელმწიფო უწყების ზღვრული ასიგნებები მასზე გავლენას ვერ იქონიებდა. სასამართლო არ დაეთანხმა სსიპ შემოსავლების სამსახურის მსჯელობას, რომ სამსახურიდან დათხოვნილი საჯარო მოხელეებისათვის მიუღებელი თანხების დაფარვა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 28 აპრილის №162 ბრძანებულების მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვალდებულებაა და, რომ შემოსავლების სამსახური ვერ გახდება იძულებითი მოცდენისას სახელფასო დავალიანებაზე პასუხისმგებელი ორგანო, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 28 აპრილის №162 ბრძანებულებით განისაზღვრა იმ საჯარო მოხელეთა მიმართ პასუხისმგებლობა, რომლებიც მიეკუთვნებიან „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრით“ გათვალისწინებულ სუბიექტს, ბ. ქ-ა კი არ წარმოადგენდა ამ რეესტრში რეგისტრირებულ სუბიექტს, იგი ვერ განიხილებოდა საჯარო მოსამსახურედ და სადავო სამართალურთიერთობა ვერ მოექცეოდა მითითებული ბრძანების რეგულირების სფეროში.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ დაარღვია კანონი, ამასთან, განჩინება სამართლებრივად დაუსაბუთებელია და მისი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, ამდენად, არსებობს განჩინების გაუქმებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტებით, ასევე 393-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები. სასამართლომ არ გაიზიარა შემოსავლების სამსახურის სააპელაციო პრეტენზიები და უსაფუძვლოდ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს. 2000 წლის 26 ოქტომბრიდან ბ. ქ-ა მუშაობდა ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციაში და 2002 წლის 17 ივლისის ბრძანებით ის გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით 2002 წლის 17 ივლისის №61 ბრძანება გამოცხადდა ძალადაკარგულად და ბ. ქ-ა დაკავებულ თანამდებობაზე აღდგა. ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ არსებობდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მოსარჩელეს არ მიუერთავს ადმინისტრაციული ორგანოსათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თხოვნით, არ არსებობდა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება რაიმე ანაზღაურების გაცემისა. საყურადღებოა, რომ მოქმედი კანონმდებლობა იძულებითი განაცდურის დაანგარიშების წესს არ ითვალისწინებს. სამსახურიდან დათხოვნილი საჯარო მოხელისათვის მიუღებელი თანხის დაფარვა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 28 აპრილის №162 ბრძანებულების მე-7 მუხლით დაევალა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რის გამოც სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე პირად შემოსავლების სამსახური

ვერ იქნება მიჩნეული, ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებული საჯარო მოსამსახურეებისათვის კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად უნდა განხორციელდეს. სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ სახელფასო დავალიანების გაუცემლობა განპირობებულია იმ გარემოებითაც, რომ შემოსავლების სამსახურისათვის გამოყოფილი ზღვრული ასიგნებანი არ მოიცავს გასულ წლებში წარმოქმნილი დავალიანებისათვის გათვალისწინებულ თანხას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ნოემბრის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განსაზღვრულია როგორც მატერიალური, ასევე საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის წინაპირობები, რაც შეიძლება საფუძველად დაედოს საკასაციო საჩივარს. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დარღვეულია საპროცესო სამართლის ნორმები, ვინაიდან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განიხილა არაგანსჯადი (ადმინისტრაციული) საქმე. საკასაციო პალატა აღნიშნულ დასკვნას აფუძნებს შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებზე:

როგორც გასაჩივრებული განჩინებიდან ირკვევა, სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათ შორის ის, რომ: მოსარჩელე 2000 წლის 26 ოქტომბრიდან მუშაობდა ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციაში გადასახადების აკრეფის განყოფილების ინსპექტორად; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციის 2002 წლის 17 ივლისის №61 ბრძანება (მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ) და ბ. ქ-ა აღდგენილ იქნა ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციის გადასახადების აკრეფის განყოფილების ინსპექტორად.

საქმეში წარმოდგენილია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების ასლი, რომლის მიხედვითაც ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციის 2002 წლის 17 ივლისის №61 ბრძანება შეფასებულია, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საკასაციო პალატა მიუთითებს 2002 წლის 24 დეკემბრისათვის მოქმედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის დებულებაზე, რომლის მიხედვითაც სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველიანობა (მეორადი მოთხოვნა) დამოკიდებულია იმ საკითხის გარკვევაზე, დადასტურებულია თუ არა მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების უკანონობა. განსახილველ შემთხვევაში, მხარეები სადავოდ არ ხდინან იმ ფაქტს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით ბ. ქ-ას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 2002 წლის 17 ივლისის №61 ბრძანება გამოცხადდა ძალადაკარგულად და მოსარჩელე დაუყოვნებლივ იქნა აღდგენილი პირვანდელ თანამდებობაზე, თუმცა, მოსარჩელემ მეორადი მოთხოვნის თაობაზე წარადგინა დამოუკიდებელი სარჩელი, რაც დაკმაყოფილდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ და რაც ამ ეტაპზე კასაციის განხილვის საგანია.

საკასაციო პალატა მოიხმობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლს, რომლითაც განსაზღვრულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალური თვისების არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მითითებულ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია საჯარო, კონკრეტულად ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემულ შემთხვე-



ვაში, დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისათვის იძულებით განაცდურის ანაზღაურების დაკისრება, რაც წარმოიშვა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან და არა კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდან, ამასთან, საგულისხმოა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია საჯარო, ანუ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობაში და არა კერძო სამართლის კანონმდებლობაში.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელ კიდევ ერთ ნიშანზე, კერძოდ იმაზე, მიმართულია თუ არა დავა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის დებულება, რომლის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანო განმარტებულია, როგორც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. სსიპ შემოსავლების სამსახურის (რომელიც წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილებას) უფლებამოსილებანი დადგენილია „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამსახურის ფუნქციებია: ა) გადასახადის/გადასახდელის გადამხდელისათვის მისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ბ) გადასახადების/გადასახდელის, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი მოსაკრებლების ადმინისტრირება; გ) გადასახადით/გადასახდელით დაბეგვრის საკითხებზე სამართლებრივი აქტების, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება; დ) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის დაცვისა და შესრულების კონტროლი; ე) კომპეტენციის ფარგლებში სამართალდარღვევათა პრევენცია და გამოვლენა; ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქცია განეკუთვნება საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებათა კატეგორიას, რაც მოპასუხის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს სტატუსისათვის გადამწყვეტია.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ სადავო ურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ორი უმთავრესი ელემენტი, კერძოდ, დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და სარჩელი მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად წარმოადგენდა მოცემული საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და ხომ არ უნდა განეხილა იგი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ანუ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა განსჯად სასამართლოზე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გააჩნდა ამ საქმის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება. აქედან, გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლებით, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები. შესაბამისად, სახეზეა საპროცესო ნორმების იმგვარი დარღვევა, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველია (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). ამდენად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მოცემული დავის განსჯადობის წესების დაცვით იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემის საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განსჯადობა

## ბანკინება

№ას-953-896-2012

19 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 9 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ნ. ლ.-ამ მოპასუხე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების (1998-1999-2003 წლების) დაკისრება 1274,20 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ლ.-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მუშაობდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ხანდაზმულობის არარსებობის შესახებ, ვინაიდან მოთხოვნილი დავალიანება წარმოადგენდა პერიოდულად, ყოველთვიურად შესასრულებელ ვალდებულებას და თითოეული თვის ხელფასის მიღების დროიდან უნდა ათვლილიყო მოთხოვნის წარმოშობისა და ხანდაზმულობის ვადები. 1998, 1999, 2003 წლების პერიოდიდან, ამ წლების ყველა თვის შემდეგ, სასამართლოში სარჩელის წარდგენის მომენტიდან – 2010 წლის 9 ნოემბრისათვის გასული იყო 3 წელზე მეტი, ე.ი მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ სარჩელის ხანდაზმულობის ვადის დენა ზემოაღნიშნული დროის განმავლობაში რაიმე საფუძვლით შეჩერდა ან შეწყდა.

სასამართლომ დავის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ ნ. ლ.-ას მოთხოვნის უფლება წარმოეშვა ყოველთვიური ხელფასის მიუღებლობის დროიდან.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს რაიმე სახის მტკიცებულება მოპასუხის მიერ ვალის აღიარებისა და გადახდის ვალდებულების აღების შესახებ სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ხელფასის ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმული იყო და არ დააკმაყოფილა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ნ. ლ.-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიმართ სახელფასო დავალიანება მოპასუხემ აღიარა და, რომ მისი მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული.

სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება თუ ვალდებულები პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. მოხმობილი ნორმის სამართლებრივი შეფასებიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას იწვევს ვალდებულები პირის მხრიდან ნების გამოვლენა დავალიანების გადახდასთან დაკავშირებით. ვალდებულები პირის მხრიდან ნების გამოვლენა კი, შეიძლება გამოიხატოს უფლებამოსილი პირის მიმართ ავანსის, პროცენტის გადახდით ან სხვაგვარად (მაგ. როდესაც ვალდებულები პირი აფიქსირებს უფლებამოსილი პირის წინაშე, რომ კონკრეტულ ვადაში შეასრულებს მის წინაშე ფულად ვალდებულებას). ამდენად, მითითებული ნორმის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, დგინდებოდეს ვალდებულები პირის მხრიდან ნების გამოვლენა ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2010 წლის 22 სექტემბერს გაცემული ცნობა შეიცავდა მხოლოდ მონაცემებს ნ. ლ.-ას მიმართ სახელფასო დავალიანებასთან (დავალიანების ოდენობა და პერიოდი) დაკავშირებით და არ ფიქსირდებოდა საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მხრიდან ნების გამოვლენა სახელფასო და-

ვალთანების დაფარვის მზაობასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დგინდებოდა ვალდებული პირის მხრიდან ნების გამოვლენა ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით და, შესაბამისად, არ დასტურდებოდა ხანდაზმულობის შეწყვეტის გარემოება ნ. ლ-ას მოთხოვნასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი – მოპასუხესთან არსებული შრომითი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე სახელფასო ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის მომენტის შესახებ, ასევე სარჩელის აღძვრის მომენტის შესახებ ფაქტობრივი გარემოება სადავოდ არ იყო გამხდარი. ამ პირობებში კი, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 129-ე, 130-ე, 131-ე, 132-ე, 137-ე და 138-ე მუხლებით გათვალისწინებულ ნორმებზე მითითებით სწორი სამართლებრივი დასკვნა გააკეთა სარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და სწორად უთხრა მოსარჩელეს უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლომ დასახელებულ განჩინებაზე ნ. ლ-ამ შეიტანა საკასაციო საჩივარი, რომლითაც იგი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნებას.

კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავა არასწორად განიხილა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, საქმე უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა. კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე მოითხოვს გასული წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას, რომლის განხილვის დროსაც საქართველოს სამოქალაქო და შრომის კოდექსების ნორმებთან ერთად გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს კონსტიტუციის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები. მოსარჩელის მოთხოვნაზე არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა. საგულისხმოა, რომ 1998-2003 წლების დავალიანებები აღიარებულია სახელმწიფოს მიერ, აღნიშნულზე არსებობს სასამართლო პრაქტიკა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ლ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განსაზღვრულია როგორც მატერიალური, ასევე საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის წინაპირობები, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს საკასაციო საჩივარს. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დარღვეულია საპროცესო სამართლის ნორმები, ვინაიდან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განიხილა არაგანსჯადი (ადმინისტრაციული) საქმე. საკასაციო პალატა აღნიშნულ დასკვნას აფუძნებს შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებზე:

საქმის მასალების მიხედვით, დავის საგანი მოპასუხე სისპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან 1998-2003 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურება. საქმის მასალებით დგინდება, რომ მითითებულ წლებში მოსარჩელე მუშაობდა სახელმწიფო სტატისტიკის ხობის რაიონული განყოფილების უფროსის თანამდებობაზე და მას მიუღებელი აქვს ხელფასი 1274.20 ლარის ოდენობით. დასახელებულ წლებში სტატისტიკის ეროვნული სამსახური ფუნქციონირებდა სახელმწიფო დეპარტამენტის სამართლებრივი სტატუსით, ხოლო, მისი მოსამსახურეთა ინტერესების წარმოადგენდნენ საჯარო მოსამსახურეებს. აღნიშნულს ცხადყოფს „საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 22 თებერვლის №92 ბრძანებულება, რომლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი წარმოადგენდა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებდა ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას სტატისტიკის დარგში და კოორდინაციას უწევდა მის რეალიზაციას, აგრეთვე, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულების მე-4 თავი, სადაც მითითებულია სახელმწიფო დეპარტამენტის იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომლებიც განეკუთვნებოდნენ საჯარო მოხელის თანამდებობებს, მათ შორის, მითითებულია ის თანამდებობა, რომელზედაც მოსარჩელე მუშაობდა.

საკასაციო პალატა მოიხმობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლს, რომლითაც განსაზღვრულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმო-

ების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მითითებულ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია საჯარო, კონკრეტულად ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების დაკისრება, რაც წარმოიშვა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან და არა კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდან, ამასთან, საგულისხმოა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია საჯარო, ანუ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობაში და არა კერძო სამართლის კანონმდებლობაში.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელ კიდევ ერთ ნიშანზე, კერძოდ იმაზე, მიმართულია თუ არა დავა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის დებულება, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო განმარტებულია, როგორც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რომლის დებულება დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 1 თებერვლის №72 ბრძანებულებით. აღნიშნული ბრძანებულების მე-3 მუხლით განსაზღვრულია ხსენებული სამსახურის ფუნქციები, რომლებიც საკასაციო პალატის მოსაზრებით, განეკუთვნება საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებათა კატეგორიას, რაც მოპასუხის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს სტატუსისათვის გადამწყვეტია.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ სადავო ურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ორი უმთავრესი ელემენტი, კერძოდ, დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და სარჩელი მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ საკასაციო პალატის ზემოხსენებული დასკვნები მოცემული დავის ადმინისტრაციული კატეგორიის დავად მიჩნევის თაობაზე შესაბამისობაშია მსგავსი კატეგორიის დავების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან (პრაქტიკასთან) (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2011 წლის 28 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ბს-517-512(2კ-11), ამავე პალატის 2012 წლის 19 ივნისის, №ბს-445-440(კ-12) განჩინება).

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის განხილვისას არ იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად წარმოადგენდა მოცემული საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და ხომ არ უნდა განეხილა იგი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ანუ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა განსჯად სასამართლოზე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გააჩნდა ამ საქმის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება. აქედან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლებით, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები. შესაბამისად, სახეზეა საპროცესო ნორმების იმგვარი დარღვევა, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები და ამავე მუხლის მე-3 ნაწილი, 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მოცემული დავის განსჯადობის წესების დაცვით იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემის საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### და ა დ ბ ი ნ ა :

1. ნ. ლ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

**მტკიცების ტვირთი**

**ბანკინება**

№ას-1056-990-2012 29 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ბ.ს. რ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ლ-ის უფლებამონაცვლე ფ. ა-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების სახით 27000 ლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

ფ. ა-ის მეუღლე, ან გარდაცვლილი მ. ლ-ი, 1999 წლიდან 2006 წლამდე შპს „ბ.ს. რ-ის“ დირექტორი იყო. საზოგადოების დირექტორი მის ვალდებულებას არაჯეროვნად და არაკეთილსინდისიერად ასრულებდა, რაც საზოგადოების შემოსავლების ხელოვნურად შემცირებაშიც გამოიხატებოდა, კერძოდ, საიჯარო ფართებიდან მ. ლ-ი იღებდა იმაზე მეტ შემოსავალს, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. სს პირველ სართულზე განთავსებული საუნა, ხელშეკრულების მიხედვით, გაქირავებული იყო თვეში 200 ლარად, რეალურად კი დირექტორი საიჯარო ქირის სახით 2000 ლარს იღებდა, რაც არ აღირიცხებოდა საზოგადოების ანგარიშებზე. ამ გზით მ. ლ-ს სულ მიღებული აქვს 27000 ლარი და ეს თანხა საზოგადოების კუთვნილებას წარმოადგენს. საზოგადოებისადმი ზიანის მიყენების ფაქტი დადასტურებულია 2008 წლის 26 მარტის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგი დასაბუთებით:

შპს „ბ.ს. რ-ის“ მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებით მოსარჩელის მოთხოვნა ერთხელ უკვე იქნა განხილული სასამართლოს მიერ და სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. შპს „ბ.ს. რ-ის“ მოთხოვნა დაუსაბუთებელია და არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ მ. ლ-ის მხრიდან საზოგადოებისადმი ზიანის მიყენების ფაქტს. სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილებაში მითითებული ფაქტები კი არ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების მავალდებულ გარემოებებს.

რ-ის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „ბ.ს. რ-ის“ სარჩელი მოპასუხე ფ. ა-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 მაისის განჩინებით შპს „ბ.ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა რ-ის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმისა და სისხლის სამართლის №92061383 საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2008 წლის 26 მარტის დადგენილებაში მითითებული გარემოებების უდავოდ დადგენილ ფაქტებად მიჩნევის შესახებ. აღნიშნული გარემოების საწინააღმდეგოდ პალატამ მიუთითა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, 1999 წლიდან 2006 წლის 10 აპრილამდე მ. ლ-ი დანიშნული იყო სს „ბ.ს. რ-ის“ დირექტორად. მ. ლ-ი გარდაიცვალა 2007 წლის 9 ნოემბერს და მის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს ფ. ა-ი. შპს „ბ.ს. რ-ი“ სს „ბ.ს. რ-ის“ უფლებამონაცვლეა. მ. ლ-ის დირექტორად ყოფნის პერიოდში სს „ბ.ს. რ-ი“ ს-ში არსებულ ფართებს გასცემდა იჯარით. საქმეში წარმოდგენილია ორი საიჯარო ხელშეკრულება (გაფორმებული ინდ.მენარმე ე. გ-ასთან 2005 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე და 2006 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის პირველ იანვრამდე), რომელთა მიხედვით, საიჯარო ქირა განსაზღვრულია 200 ლარით. 2006 წლის 15 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოში დაინყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე №92061383 სს „ბ.ს. რ-ის“ ხელმძღვანელობის მიერ სხვისი ქონების მითვისების ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2008 წლის 26 მარტის დადგენილებით, უარი ითქვა მ. ლ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე და შეწყდა წინასწარი გამოძიება. მ. ლ-ი საქმეზე ეჭვმიტანილად ან/და ბრალდებულად არ ყოფილა ცნობილი. სასამართლოს განმარტებით, საქმის სადავო გარემოებას წარმოადგენდა ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2008 წლის 26 მარტის დადგენილებაში აღნიშნული ფაქტი იმის შესახებ, რომ 2005 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის აპრილის ჩათვლით მ. ლ-მა ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოყენებით, სააქციო საზოგადოების ინტერესის საწინააღმდეგოდ, ინდ.მენარმე ე. გ-საგან უკანონოდ მიიღო

27000 ლარი, რაც არ შეიტანა სააქციო საზოგადოების ბუღალტერიაში. ამ მიმართებით სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმისა და სისხლის სამართლის №92061383 საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2008 წლის 26 მარტის დადგენილებითა და მასში აღწერილი ფაქტებით, არ შეიძლება დადასტურებულიყო მ. ლ-ის მიერ ინდ. მენარმე ე. გ-საგან 27000 ლარის უკანონოდ მიღების ფაქტი. სასამართლოს მოსაზრებით, სადავო გარემოება შეიძლება, დადასტურებულიყო მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა, უფრო მეტიც, საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2008 წლის 26 მარტის დადგენილებით, მ. ლ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე ითქვა უარი და პირის გარდაცვალების გამო შეწყდა წინასწარი გამოძიება. მ. ლ-ი ეჭვმიტანილად ან/და ბრალდებულად არ ყოფილა ცნობილი. სასამართლომ გამოიყენა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლი, რომელიც განამტკიცებს უდანაშაულობის პრეზუმფციას, ანუ ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. პალატის მოსაზრებით, აღნიშნული თავისთავად ნიშნავდა, რომ მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედება, რაც დანაშაულის შემადგენლობას ქმნის, არ იყო დადასტურებული, რადგან არ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რის გამოც პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მოსარჩელეს უნდა დაედასტურებინა სხვა მტკიცებულებით, ამავე დროს, მასვე უნდა დაედასტურებინა დამდგარი ზიანი და კავშირი დამდგარ შედეგსა და მის მიერ განხორციელებულ ქმედებას შორის. ზიანის ასანაზღაურებლად აუცილებელ გარემოებათა დადასტურებას მოსარჩელე შეეცადა მხოლოდ პროკურატურის დადგენილებით, რომელიც დამოუკიდებლად არ ადასტურებდა ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელ წინაპირობებს.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 992-ე მუხლით და განმარტა, რომ დელიქტიდან გამომდინარე საფუძვლით სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, პირს დაეკისრება ერთდროულად შემდეგი პირობების არსებობის შემთხვევაში: 1. უნდა არსებობდეს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, 2. სახეზე უნდა იყოს ზიანი, 3. უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა (ზიანს) და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას შორის, 4. ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძღოდეს ბრალი. სასამართლოს მტკიცებით, მსგავს დათქმას ითვალისწინებდა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.7. მუხლი (ძველი რედაქციით), რომლის თანახმადაც, საზოგადოების დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, წარმოშობილი ზიანისათვის საზოგადოების წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს. ზემოხსენებულმა პირებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მათ არ დაურღვევიათ თავისი მოვალეობა. სასამართლოს ასევე მიუთითა სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი რედაქციით „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 56.4 მუხლზე, რომელიც დირექტორის მიერ საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანს ანაზღაურების წესს არეგულირებდა და აღნიშნა, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებული იყო, დაემტკიცებინა ზიანის არსებობა და მისი მოცულობა, ასევე მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ანუ მოვალის მოქმედება უნდა ყოფილიყო არა მარტო ბრალეული, არამედ ზიანის გამომწვევიც, შესაბამისად, ზიანის მიმყენებელს უნდა დაემტკიცებინა მის ქმედებაში მართლსაწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობა. სასამართლოს მტკიცებით, პირველ რიგში დადგენილი უნდა ყოფილიყო ზიანის მიყენების ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ვერ დაადასტურა, ამასთან, საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, არ დასტურდებოდა მოპასუხის მხრიდან რაიმე „მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელ ქმედება“. სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედება მიჩნეულია, როგორც სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი ქმედება, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობასაც იწვევს. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლება დამნაშავედ სცნოს პირი. დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლის გამოყენებაზე მითითება, რადგანაც, პალატის შეფასებით, დელიქტური რესტიტუციის წინაპირობებისგან განსხვავებით, მოცემული ნორმით ქონებრივი წონასწორობის აღდგენისათვის საკმარისია მხოლოდ შედეგის – სხვისი ქონების შეძენის, „მოხვეჭის“ ფაქტის არსებობა. ისეთ პირობებში, როდესაც პირი მესაკუთრის ქონებას ეუფლება ბრალეულად, უსაფუძვლო გამდიდრებაზე მსჯელობა უმართებულო წარმოადგენდა. აღნიშნულ დასკვნას განაპირობებდა დელიქტური ვალდებულებისა და უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტს შორის არსებული ის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი, რომ დელიქტური რესტიტუციით საკითხის კვალიფიკაციისათვის აუცილებელი იყო ქონების მიმღების ბრალეული მოქმედება, რასაც შედეგად მოსდევდა ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, ხოლო არაბრალეული მოქმედებით ქონების მიმოქცევა იწვევდა არა ზიანის ანაზღაურებას, არამედ ქონების უკან დაბრუნების ვალდებულებას, შესაბამისად, როდესაც ქონების გადასვლა არაუფლებამოსილი მიმღების ხელში არაბრალეულად ხდებოდა, უფლების აღდგენის გზას წარმოადგენდა გამთანაბრებელი სამართლიანობის პრინციპი – ის, რაც სამარ-

თლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნილი, უნდა დაბრუნდეს. ამ პრინციპის რეალიზებისას მნიშვნელობა არ ჰქონდა ქონების მიმღები მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებდა თუ მართლზომიერად. მთავარი, გამდიდრების ფაქტის, როგორც შედეგის, არსებობა იყო. პალატის შეფასებით, სარჩელში მითითებული ფაქტები: ს.ს დირექტორმა იჯარის ხელშეკრულება გააფორმა დაბალ ფასად, ხოლო თვითონ, სალაროს გვერდის ავლით, უკანონოდ იღებდა გაცილებით დიდ შემოსავალს და, რაც მთავარია, მოსარჩელე აღნიშნული გარემოების დადასტურებას შეეცადა პროკურატურის დადგენილების საფუძველზე, მიუთითებდა სარჩელის საფუძველად ისეთი ფაქტების არსებობაზე, რაც ზიანის ანაზღაურების შემადგენლობას ქმნიდა, თუმცა, სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, მოცემული ფაქტების უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივ კონტექსტში განხილვის შემთხვევაშიც კი, დაუდასტურებელ ფაქტად იქნა მიჩნეული, რომ დირექტორის ჩარევის შედეგად მოხდა ქონების მიმოქცევა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თუკი მოსარჩელეს პრეტენზია გააჩნდა სამართლებრივი წონასწორობის აღდგენაზე, სხვის მიერ მიღებული უპირატესობის უკან დაბრუნებაზე, მასვე უნდა დაედასტურებინა ის გარემოება, თუ რაში მდგომარეობდა ეს უპირატესობა და რა ფაქტით დაირღვა ეს სამართლებრივი წონასწორობა, რაც სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებაზე უარის თქმისა და სისხლის სამართლის №92061383 საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2008 წლის 26 მარტის დადგენილებით არ დასტურდებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ბ. ს. რ-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სააპელაციო საჩივარი დელიქტურ ვალდებულებას არ ემყარებოდა, აპელანტი არ ამტკიცებდა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შესაბამისად, ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის 2008 წლის 26 მარტის დადგენილება უდავო ფაქტობრივი გარემოება იყო და საზოგადოების დირექტორმა ჩაიღინა სისხლის სამართლის დანაშაული. ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას მხოლოდ დელიქტური ვალდებულება არ წარმოშობს, ასეთი დასაშვებია უსაფუძვლო გამდიდრების დროსაც, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა და პროკურორის სადავო დადგენილება დელიქტური ვალდებულების ჭრილში საკუთარი ინიციატივით შეაფასა, ამასთანავე, არ გამოიკვლია ის გარემოება, რომ საოლქო პროკურორის დადგენილებაში მითითებული საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ 27000 ლარის მიღების ფაქტი არ შეიძლება დამყარებულყოფილი სიცრუეზე. გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა ზიანის ანაზღაურებაზე მხოლოდ სასამართლოს ინიციატივა იყო, მოსარჩელე მიუთითებდა მოპასუხის მიერ საზოგადოების კუთვნილი ქონების უსაფუძვლოდ მიღებაზე, რაც სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის შესაბამისად, სწორედ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ქმნიდა, რადგანაც სადავო ურთიერთობის მონაწილეები იყვნენ საზოგადოების დირექტორი და საზოგადოების ქონების დამქირავებელი, ამ ურთიერთობიდან მიღებულ საზოგადოების კუთვნილ შემოსავალს იღებდა საზოგადოების დირექტორი. ურთიერთწინააღმდეგობრივია სასამართლოს მსჯელობა სამოქალაქო კოდექსის 991-ე და 976-ე მუხლებზე, რაც სასამართლომ სარჩელის დაუსაბუთებლად მიიჩნია. სამართლის ნორმაზე მიუთითებლობის შემთხვევაშიც კი, სასამართლოს არ აქვს უფლება სარჩელი დაუსაბუთებლად მიიჩნიოს, ამასთანავე, სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლი ერთგვარად შემაჯამებელი ნორმაა, რომელიც ადგენს უსაფუძვლოდ მიღებული შემოსავლის დაბრუნებას, სასამართლოს მხოლოდ ის გარემოება უნდა შეეფასებინა, მოპასუხე საზოგადოების ხარჯზე გამდიდრდა თუ არა უსაფუძვლოდ. გაუგებარია სასამართლოს მითითება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.7 და 56.4 მუხლების ძველ რედაქციაზე, რადგანაც კანონი ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ მხარემ (9.7 მუხლი) უნდა დაამტკიცოს დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების ფაქტი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სარჩელზე დართული 2007 წლის 1 მაისის ხელშეკრულება, სადაც იმავე პირობებში საზოგადოების სხვა დირექტორი მანამდე გაქირავებულ ფართს 11-ჯერ უფრო მაღალ ფასად აქირავებს. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. საქმეში ასევე წარმოდგენილია ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის დადგენილება, რომელიც, როგორც მტკიცებულება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად საჭიროებს გამოკვლევას, სასამართლომ კი, ის მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შესაბამისად შეაფასა და დავა დელიქტურ ვალდებულებად დააკვალიფიცირა, რაც კანონის არასწორ განმარტებაზე მიუთითებს. კანონის დარღვევაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის საფუძველზე, მოპასუხის მიერ ი/მ ე. გ-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით 27000 ლარის უკანონოდ მიღების ფაქტის დადასტურება შესაძლებლად მიიჩნია, თუკი წარმოდგენილი იქნებოდა სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული განჩინება. ასეთი მტკიცებულება ვერ იარსებებს, რადგანაც სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მ. ლ-ის გარდაცვალების გამო შეწყდა, შესაბამისად, მოსარჩელე მოთხოვნას სწორედ უსაფუძვლო გამდიდრების და არა დელიქტური ვალდებულების საფუძველზე ამყარებდა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა საქმეში წარმოდგენილი 2007 წლის 1 მაისის შეთანხმება ი/მ. ე. გ-სთან საიჯარო ქირის ოდენობის შესახებ, სადაც იმავე დამქირავებელთან იმავე ფართზე საიჯარო ქირა 2360 ლარითაა განსაზღვრული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 იანვრის განჩინებით შპს „ბ.ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად იმავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ბ. ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

ვინაიდან საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო, ხოლო მისი კომპეტენცია განისაზღვრება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების სამართლის ნორმის შემადგენლობასთან შესაბამისობის კანონიერების შემოწმებით, შესაძლოა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება ვერ განხორციელდეს, თუ გადაწყვეტილებით სასამართლოს მიერ არ იქნა დადგენილი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აღნიშნული ნორმა იმპერატიულად ადგენს საკასაციო სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთებული საკასაციო საჩივრის (პრეტენზიის), შემთხვევაში, შეამოწმოს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, ანუ შეამოწმოს, დაცულია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნები.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად კასატორს მითითებული აქვს როგორც მატერიალური სამართლის ნორმების, ასევე საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არასრულად გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის დადგენილება და არასწორად ჩათვალა იგი არასათანადო მტკიცებულებად, სასამართლომ არასწორად გაანაწილა მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი და აღნიშნული მხოლოდ მოსარჩელე მხარეს დააკისრა. კასატორი უთითებს სასამართლოს მხრიდან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების შეფასების გარეშე დატოვებაზეც.

მოცემულ დავაზე სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1999 წლიდან 2006 წლის 10 აპრილამდე მ. ლ-ი დანიშნული იყო სს „ბ. ს. რ-ის“ დირექტორად. მ. ლ-ი გარდაიცვალა 2007 წლის 9 ნოემბერს და მის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს ფ. ა-ი.

შპს „ბ. ს. რ-ი“ სს „ბ. ს. რ-ის“ უფლებამონაცვლეა.

საქმეში წარმოდგენილია ორი საიჯარო ხელშეკრულება (გაფორმებული ინდ.მენარმე ე. გ-სთან 2005 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე და 2006 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის პირველ იანვრამდე), რომელთა მიხედვით, საიჯარო ქირა განსაზღვრულია 200 ლარით.

2006 წლის 15 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე №92061383 სს „ბ. ს. რ-ის“ ხელმძღვანელობის მიერ სხვისი ქონების მითვისების ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2008 წლის 26 მარტის დადგენილებით, უარი ითქვა მ. ლ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე და შეწყდა წინასწარი გამოძიება. მ. ლ-ი საქმეზე ეჭვმიტანილად ან/და ბრალდებულად არ ყოფილა ცნობილი. სასამართლოს შეფასებით, აღნიშნულ დადგენილებაში აღწერილი ფაქტებით არ შეიძლება დადასტურებულიყო მ. ლ-ის მიერ ი/მ ე. გ-ასაგან 27000 ლარის უკანონოდ მიღების ფაქტი. სადავო გარემოება შეიძლება დადასტურებულიყო მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა, საკასაციო პალატა მოიხმობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლს, რომლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. მოცემული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სასამართლომ დავის განხილვის პირველ ეტაპზე სწორად შეაფასოს მხარეთა მოთხოვნები, იმ ფაქტების წრე, რომლებსაც უთითებენ თავიანთი მოთხოვნების დასაბუთებლად და იმ მტკიცებულებათა წრე, რომლებითაც ცდილობენ ამ ფაქტების დადასტურებას.

როგორც სარჩელის შინაარსიდან ირკვევა, მოსარჩელე მოთხოვნის დასაბუთებლად უთითებდა შემდეგ გარემოებებზე: მოპასუხე წარმოადგენს საზოგადოების ყოფილი დირექტორის, მ. ლ-ის უფლებამონაცვლეს. მ. ლ-ი მუშაობდა საზოგადოების დირექტორად 1999-2006 წლებში. 2005 წლის 1 იანვარს მ. ლ-მა ი/მ ე. გ-ასთან გააფორმა ხელშეკრულება სს პირველ სართულზე არსებული საუნის იჯარის შესახებ, თვეში 200 ლარად. რეალურად იჯარის თანხა შეადგენდა 2000 ლარს, რასაც იგი, როგორც სს დირექტორი ყოველთვიურად იღებდა მოიჯარისაგან სალაროს გვერდის ავლით. გათავისუფლებამდე მან მიიღო 27000 ლარი. აღნიშნული თანხა მთლიანად წარმოადგენდა შპს „ბ. ს. რ-ის“ კუთვნილებას. მოსარჩელემ სარჩელში



მითითებული გარემოებების დასადასტურებლად სარჩელს დაურთო ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2008 წლის 26 მარტის დადგენილება, რომელშიც გამოძიებით გამოვლენილ ფაქტებზეა საუბარი და შემხებლობაშია მ. ლ-ის დირექტორად მუშაობის პერიოდთან, ასევე შეთანხმება იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლითაც იმავე ი/მ-სთან იჯარის ქირის ოდენობა განსაზღვრულია 2000 ლარით დღგ-ს გარეშე. რაც შეეხება მოპასუხის შესაგებელს, იგი ძირითადად შემოიფარგლა მხოლოდ სარჩელში მითითებული ფაქტების უარყოფით და საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლებზე მითითებით.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა 2007 წლის 1 მაისის შეთანხმებას იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნები, ასევე დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის დასკვნები ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2008 წლის 26 მარტის დადგენილების, როგორც მტკიცებულების უარყოფასთან დაკავშირებით, იმ მოტივით, რომ მ.ლ.-ი სისხლის სამართლის საქმეზე არ ყოფილა ცნობილი ეჭვმიტანილად ან/და ბრალდებულად და მის მიმართ არ გამოტანილა გამამტყუნებელი განაჩენი. სააპელაციო სასამართლოს გადანყვებილება არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტებს იმის შესახებ, თუ რატომ არის სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი დადგენილება არაგანკუთვნიადი მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა მიღება საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე ხორციელდება მტკიცებულებათა დასაშვებობისა და განკუთვნიადობის შემონების შედეგად. აღნიშნული პრინციპით მტკიცებულებათა მიღების შემდეგ, სასამართლო ვალდებულია, შეაფასოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, რაც გულისხმობს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც სასამართლოს გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საპროცესო კანონმდებლობა არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ დასაშვებობისა და განკუთვნიადობის პრინციპით მიღებული მტკიცებულება უარყოს სასამართლომ არასარწმუნოების, საეჭვოობის ან სხვა საფუძვლით, რამაც ასახვა უნდა ჰქონდეს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში. ამდენად, სასამართლო სადავო გარემოებათა არსებობა-არარსებობის დადგენისას ინდივიდუალურად და ერთობლიობაში აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის შედეგად აყალიბებს თავის შინაგან რწმენას გამოსაკვლევი საკითხის მიმართ.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ანალოგიური ტიპის დავებზე დადგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა (იხ. სუსგ 18 აპრილი, 2011 წელი, №ას-764-715-2010), რომლის მიხედვითაც უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „სააპელაციო სასამართლომ არასწორად განაწილა მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის, კერძოდ, საწარმოს მოგების ხარჯვის კანონიერების დამტკიცების ტვირთი არასწორად დააკისრა მოსარჩელეს (საზოგადოებას), მაშინ როცა ეს გარემოება მოპასუხეს (საზოგადოების ყოფილ დირექტორს) უნდა ემტკიცებინა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხი ეხება საზოგადოების წინაშე ყოფილი დირექტორის პასუხისმგებლობას, კერძოდ, ამ უკანასკნელის მიერ საწარმოს მოგების დაუსაბუთებელ ხარჯვას და ამით საზოგადოებისათვის ზიანის მიყენებას. სამენარმეო გადაწყვეტილებათა მიღებისას საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხებს აწესრიგებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების საქმეების გაძლოლისას შპს-ს დირექტორთა გულმოდგინე ხელმძღვანელობისა და ერთგულების მოვალეობას, ასევე ამ მოვალეობათა დარღვევის შემთხვევაში საზოგადოების წინაშე მათ პასუხისმგებლობას (მე-9 მუხლი). კორპორაციის დირექტორებს სამართავად გადაცემული აქვთ რა სხვისი (საზოგადოების) ქონება, მათი უპირველესი ვალდებულება სწორედ ამ ქონების დაცვა და ზიანის თავიდან აცილებაა. ამ ვალდებულების დარღვევა დირექტორებისათვის წარმოშობს შიდაკორპორაციულ პასუხისმგებლობას ანუ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას. საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი მათ ეკისრებათ. ე.ი. დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც მიადგა საზოგადოებას და, რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს მოსარჩელე მხარის მიერ მისი მოსაზრების დასადასტურებლად წარდგენილი ყველა მტკიცებულება, ასევე მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილების საფუძველზე უნდა დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ბ. ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 მაისის განჩინება და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მტკიცებულებათა შეფასება**

**ბანჩინება**

№ას-1162-1091-2012

7 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „თ-ი-3-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ა. დ-სა“ და შპს „ა-ის“ წინააღმდეგ და მოითხოვა, შპს „ა. დ-ის“ მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, სს „თ-ი 3-სა“ და შპს „ა. დ-ს“ შორის 2007 წლის 3 სექტემბერს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მოშლა; შპს „ა. დ-ის“ 2007 წლის 3 სექტემბერის უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული შესრულების 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის „თ-ი-3-ის“ სასარგებლოდ გადახდის დაკისრება; შპს „ა. დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის 2010 წლის 28 აპრილს დადებული მოჩვენებითი ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რომლის თანახმადაც, შპს „ა. დ-მა“ შპს „ა-ს“ გადასცა თბილისში, კ-ას ქუჩა №10-ში მდებარე 16 524.00 (თექვსმეტი ათას ხუთას ოცდაოთხი) კვ.მ უძრავი ქონება – არასასაოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით ... და ბათილი ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრედ „ა. დ-ის“ ცნობა შემდეგი საფუძველებით: სარჩელის თანახმად, 2007 წლის 3 სექტემბერს სს „თ-3-სა“ და შპს „ა. დ-ს“ შორის დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, ხოლო იმევე დღეს და იმავე მხარეებს შორის, ასევე დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, სს „თ-ი 3-მა“ შპს „ა. დ-ს“ მიჰყიდა 21095.00 კვ.მ სამშენებლო მიწის ნაკვეთი მდებარე, თბილისში, კ-ას ქუჩა №10-ში, რისთვისაც შპს „ა. დ-ს“ უნდა გადაეხადა 4 429 950 აშშ დოლარი, ხოლო ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით 1 000 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ შპს „ა. დ-ს“ არაუგვიანეს 2010 წლის 1 ივნისისა, უნდა გადაეცა 1182 კვ.მ საცხოვრებელი და 300 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, ასევე 10 ავტოფარეხი მისართზე: თბილისი, კ-ას ქუჩა №10. მოსარჩელემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ანაზღაურების ვალდებულება ნაწილობრივ შესრულებითა და ნაწილობრივ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით სრულად შეასრულა როგორც შპს „ა. დ-მა“, ასევე სს „თ-ი-3-მა“, თუმცა შპს „ა. დ-ს“ ვალდებულება გადაეცა 2007 წლის 3 სექტემბრის წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართები სს „თ-ი 3-ის“ დღემდე არ არის შესრულებული მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართების გადაცემის ვადის დასაწყისიდან გასულია ერთ წელზე დიდი დრო, ხოლო მოლაპარაკებებმა მხარეთა შორის ვერ გამოიღო რაიმე შედეგი. ამასთან, მოსარჩელის განცხადებით, ამჟამად არც მშენებლობაა დაწყებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელემ პირნათლად შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, ხოლო მოპასუხე ვერ უზრუნველყოფს იმავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაცემას, მოსარჩელე ითხოვს 2007 წლის 3 სექტემბრის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების, კერძოდ, 1 000 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრებას მოპასუხეთათვის. გარდა ზემოაღნიშნულისა, მოსარჩელემ მოითხოვა რა შპს „ა. დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება და აღნიშნული ხელშეკრულებით შპს „ა-ის“ გადაცემულ ქონებაზე მესაკუთრედ შპს „ა. დ-ის“ ცნობა, მიუთითა, რომ აღნიშნული ხელშეკრულების დადების მიზანს წარმოადგენდა არა რეალურად რაიმე სახის ურთიერთობის დამყარება ორ სუბიექტს შორის, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად წარმოადგენენ დამოუკიდებელ სუბიექტებს, არამედ ემსახურებოდა მხოლოდ იმ მიზანს, რომ მომხდარიყო შპს „ა. დ-ის“ კუთვნილი ქონების გადინება, რის შემდეგაც იგი გახდებოდა უუნარო სრულად დაეკმაყოფილებინა კრედიტორთა, კერძოდ, სს „თ-ი 3-ია“ მოთხოვნა. მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით, მოსარჩელე მხარემ მიიჩნია, რომ არსებობდა საქართველოს სამო-

ქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული გარემოება, რომლის თანახმადაც, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ არ არსებობდა სამართლებრივი გარემოება, რაც შეიძლება საფუძვლად დასდებოდეს სს „თ-ი-3-ის“ მხრიდან ხელშეკრულების მოშლისა და მის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას. ამასთან, მოპასუხის განმარტებით, დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა შპს „ა. დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოპასუხემ განმარტა, რომ სს „თ-ი-3-სა“ და შპს „ა. დ-ს“ შორის გაფორმებული ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები, რა ვადაშიც სს „თ-ი-3-ს“ უნდა ჩაჰპარებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართები, არ დარღვეულა და არ არსებობდა ამ საფუძვლით ხელშეკრულების მოშლის საფუძველი, ვინაიდან იმავე ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტებით გათვალისწინებდნენ ისეთ გარემოებას, რომლის თანახმადაც, მხარეები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო, თავისუფლდებოდნენ პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს დარღვევა გამომწვეული იქნებოდა დაუძლეველი ძალის – ფორს-მაჟორული სიტუაციიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით სს „თ-ი-3-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხე შპს „ა. დ-ს“ მოსარჩელე სს „თ-ი-3-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის გადახდა; სს „თ-ი-3-ის“ მოთხოვნა შპს „ა-სა“ და შპს „ა. დ-ს“ შორის 2010 წლის 28 აპრილის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა; გადაწყვეტილების აღსრულება გადავადდა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სს „თ-ი-3-მა“ და შპს „ა. დ-მა“.

სს „თ-ი-3“-მა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა 2010 წლის 18 აპრილის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და გადაწყვეტილების აღსრულების ერთი წლით გადავადების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სს „თ-ი-3-ის“ სარჩელის დაკმაყოფილება.

შპს „ა. დ-მა“ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა იმ ნაწილში, რომლითაც შპს „ა. დ-ს“ სს „თ-ი-3-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 1 000 000 აშშ დოლარის გადახდა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ივნისის განჩინებით სს „თ-ი-3“-ის და შპს „ა. დ-ის“ სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის 3 სექტემბერს სს „თ-ი-3-ს“ და შპს „ა. დ-ს“ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც შპს „ა. დ-ს“ საკუთრებაში გადაეცა 21 095.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მდებარე თბილისში, კ-ას ქუჩა №10-ში (საკადასტრო კოდი:..., ნაკვეთის №08/044, წინა №8/044). ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 4 429 950 აშშ დოლარით;

2007 წლის 3 სექტემბერს შპს „ა. დ-სა“ და სს „თ-ი-3-ს“ შორის დაიდო წინარე ხელშეკრულება უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ. მითითებული ხელშეკრულებით შპს „ა. დ-მა“ იკისრა ვალდებულება 2010 წლის 1 ივნისამდე სს „თ-ი-3-ის“ საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, კ-ას ქ. №10-ში ასაშენებელ საცხოვრებელ სახლში 1182 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, 300 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი და 10 ავტოსადგომი, რის სანაცვლოდაც შპს „ა. დ-ს“ უნდა გადაეხადა 1 000 000 აშშ დოლარი არაუგვიანეს 2008 წლის 1 ივლისისა;

2009 წლის 2 აპრილს მხარეთა შორის დაიდო შეთანხმება ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ ერთმანეთის წინაშე არსებულ ფინანსურ ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვაზე. შეთანხმებით ჩაითვალა, რომ შპს „ა. დ-მა“ სს „თ-ი-3-ს“ გადაუხადა 2007 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების ნასყიდობის ფასის ნაწილი 1 000 000 აშშ დოლარი, ხოლო სს „თ-ი-3-მა“ სრულად გადაიხადა 2007 წლის 3 სექტემბრის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების ნასყიდობის ფასი – 1 000 000 აშშ დოლარი;

2010 წლის 28 აპრილს შპს „ა. დ-მა“, როგორც გამყიდველმა, შპს „ა-ს“, როგორც მყიდველს, საკუთრებაში გადასცა თბილისში, კ-ას ქუჩა №10-ში მდებარე უძრავი ქონება, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 16 524 კვ.მ. (საკადასტრო კოდი:...) და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 2 071 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები №1, №2 და №3 მშენებარე (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი:...), ასევე თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტი და მშენებლობის სანებართვო მოწმობა;

შპს „ა. დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის 2010 წლის 28 აპრილს გაფორმდა წინარე ხელშეკრულება უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ შპს „ა-ი“, როგორც გამყიდველი, იღებს ვალდებულებას შპს „ა. დ-ს“ გადასცეს გასაყიდი ქონება, კერძოდ, 1182 კვ.მ საცხოვრებელ ფართი, 300 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი და 10 ავტოსადგომი საერთო ავტოფარეხში მისამართზე: თბილისი, კ-ას ქუჩა №10 (შპს „ა. დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის 2010 წლის 28 აპრილს დადებული წინარე ხელშეკრულება უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ);

თბილისში, კ-ას ქუჩა №10-ში მდებარე მინის ნაკვეთებზე (მითითებულ მისამართზე მდებარე მინის ნაკვეთი დაყოფილია საკადასტრო ერთეულებად, შესაბამისად, თითოეულს მინიჭებული აქვს სხვადასხვა საკადასტრო კოდი) მოპასუხე შპს „ა-ი“ ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს. დადგენილია, რომ შპს „ა-ი“ თბილისში, კ-ას ქუჩა №10-ში მდებარე მინის ნაკვეთებზე ასაშენებელ საცხოვრებელ ბინებთან დაკავშირებით შესამე პირებთან გაფორმებული აქვს წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებები.

აპელანტის განმარტება იმის შესახებ, რომ 2010 წლის 28 აპრილს შპს „ა. დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება უძრავი ქონების (მდებარე თბილისში, კ-ას ქუჩა №10-ში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი 16 524 კვ.მ (საკადასტრო კოდი:...)) ნასყიდობის შესახებ წარმოადგენს მოჩვენებით გარიგებას, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა შემდეგ გარემოებათა გამო: პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 56-ე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, გარიგების ბათილობას შესამე პირი ითხოვდა იმ საფუძველზე, რომ გარიგების მხარეები არ ისახავდნენ მიზნად გარიგების სამართლებრივი შედეგის დადგომას და აღნიშნული გარიგება მხოლოდ მოსაჩვენებლად დაიდო, ასეთ ვითარებაში, სწორედ შესამე მხარის მტკიცების საგანში შედის იმ ფაქტის დადასტურება, რომ შპს „ა.დ-ს“ არ სურდა უძრავი ქონების გაყიდვა, ხოლო შპს „ა-ს“ – აღნიშნული ქონების ყიდვა. მოცემულ შემთხვევაში, გარიგების მოჩვენებითად მიჩნევის მიზნებისათვის, დადასტურებულ უნდა იქნეს გარიგების ორივე მხარის განზრახვა, არ დადგეს აღნიშნული გარიგების გაფორმების შედეგად ის სამართლებრივი შედეგი, რაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას მოჰყვება. აპელანტის მიერ მოთხოვნა დასაბუთებულია იმ გარემოებაზე მითითებით, რომ შპს „ა. დ-ი“ და შპს „ა-ი“ წარმოადგენენ ერთმანეთთან დაკავშირებულ საწარმოებს, კერძოდ, შპს „ა-ის“ დამფუძნებლები არიან ა. მ-ე და გ. ნ-ა (50-50%), ხოლო შპს „ა. დ-ის“ დამფუძნებელია შპს „ა. ჯგუფი“, სადაც 50-50%-იანი წილობრივი მონაწილეობით პარტნიორები არიან ა. მ-ე და გ. ნ-ა.

აპელანტის მითითება იმ გარემოებაზე, რომ შპს „ა-ის“ დამფუძნებლები არიან ა. მ-ე და გ. ნ-ა (50-50%), ხოლო შპს „ა. დ-ის“ დამფუძნებელია შპს „ა. ჯგუფი“, სადაც 50-50%-იანი წილობრივი მონაწილეობით პარტნიორები არიან ა. მ-ე და გ. ნ-ა, პალატის მოსაზრებით, არ წარმოადგენდა სადავო გარიგების მოჩვენებით გარიგებად შეფასების საფუძველს, ვინაიდან დადგენილია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ა-ი“ აღირიცხა მესაკუთრედ საჯარო რეესტრში, მხარეთა განმარტებებით დადგენილია, რომ სადავო უძრავ ქონებაზე მშენებლობას ახორციელებს მესაკუთრე შპს „ა-ი“ და სადავოს არ წარმოადგენს, რომ შპს „ა-ს“ ქ. თბილისში, კ-ას ქ. №10-ში მდებარე მინის ნაკვეთებზე ასაშენებელ ბინებთან დაკავშირებით შესამე პირებთან გაფორმებული აქვს წარდობის ხელშეკრულებები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო გარიგებით დადგა ის სამართლებრივი შედეგი, რაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებას მოჰყვება.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 327-ე, 629-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ 2007 წლის 3 სექტემბერს შპს „ა- დ-სა“ და სს „თ-ი-3-ს“ შორის დადებული გარიგებით წარმოიშვა წარდობის სამართლებრივი ურთიერთობა.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნა, რომ სს „თ-ი-3-ს“ 2007 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ნივთი, ამავე ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში (2010 წლის 1 ივნისამდე) არ გადასცემია.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის მე-400 და 405 მუხლებით და აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, აპელანტი პრეტენზიას აცხადებდა ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველზე დაკავშირებით იმ გარემოებაზე მითითებით, რომ შეუსრულებლობა გამომწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, ფორსმაჟორული გარემოებებით – 2008 წლის აგვისტოს ომითა და 2009 წელს თბილისში არსებული სამოქალაქო არეულობით. სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად წარმოშობილი განსაკუთრებული მოვლენები, შეიძლება მიჩნეული იქნეს მხოლოდ მისი არსებობის პერიოდში კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო გარემოებად. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მშენებლობა დღემდე არ არის დაწყებული. პალატის მოსაზრებით, მოცემულ სადავო ურთიერთობაში სახეზეა ვალდებულების არსებითი დარღვევა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ვალდებულების შესრულების ვადის გასვლის შემდგომაც საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დასრულებული არ არის. ვალდებულების შესასრულებლად დამატებით ვადის მიცემა გამოიწვევს შემკვეთის უფლებების უხეშ დარღვევას.

პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 251-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ გათვალისწინა შპს „ა. დ-ის“ ქონებრივი მდგომარეობა, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილი იყო, სათანადო ფულადი სახსრების მოძიების მიზნით, მოპასუხისათვის ამავე გადაწყვეტილებით დაენესებინა თანხის გადახდის გარანტიის გაცხადება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „თ-ი-3-მა“, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, ასევე, გადაწყვეტილების აღსრულების ერთი წლის ვადით გადადების გაუქმება შემდეგი საფუძველზე:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს „ა-სა“ და შპს „ა. დ-ს“ შორის დადებული 2010 წლის 28 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების ძალაში დატოვების თაობაზე უკანონო იყო,

ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სს „თ-ი-3-ის“ სამოქალაქო კანონით უზრუნველყოფილი უფლება – დაცულ იქნეს უფლების ბოროტად გამოყენებისაგან. სს „თ-ი-3-ის“ მოვალის შპს „ა. დ-ის“ და მასთან დაკავშირებული საზოგადოების შპს „ა-ის“ პარტნიორების მხრიდან აღგილი ჰქონდა ასევე საქართველოს მენარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ – პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენებას და სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ბათილი გარიგების დადებას, კერძოდ, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ შპს „ა. დ-მა“, მისი დამფუძნებლებისა და ხელმძღვანელების სახით, მოსაჩვენებლად გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება შპს „ა-ან“, რომლის უკან იგივე დამფუძნებლებია და ხელმძღვანელობას და წარმომადგენლობას იგივე პიროვნებები ახორციელებენ, რითაც შპს „ა. დ-მა“ თავი აარიდა მის მიერ სს „თ-ი-3-ის“ წინაშე ნაკისრ ვალდებულებას, რაც ცხადყოფს, რომ შპს „ა. დ-მა“ მოსაჩვენებლად, კრედიტორების, მათ შორის, სს „თ-ი-3-ის“ მოთხოვნის დაკმაყოფილებისაგან თავის ასარიდებლად, ნასყიდობის ხელშეკრულება დადო ფორმალურად სხვა სუბიექტთან, რომელთანაც მოსარჩელეს ხელშეკრულება არ გააჩნია, თავის თავზე არ აუღია ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომლის შესახებაც, მისთვის ცნობილი იყო. ამით კი, ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა სს „თ-ი-3-ის“ მოთხოვნის დაკმაყოფილება. ნების ნაკლის არსებობა-არარსებობის დადგენისას, სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ იმ ფაქტზე მითითებით, რომ სამენარმეო რეესტრის ამონაწერით შპს „ა. დ-ი“ და შპს „ა-ი“ დამოუკიდებელი სუბიექტებია, რითაც დაასკვნა, რომ ნების ნაკლი არ გამოვლენილა და არ გამოიკვლია ის გარემოება, თუ როგორ ხდება ნების ფორმირება შპს „ა. დ-სა“ და შპს „ა-სში“, კერძოდ, არსებითი ფაქტი მასზე, რომ შპს „ა-ის დ-ის“ ნების – გაასხვისოს ქონება, მასთან დაკავშირებული ვალდებულების გარეშე და შპს „ა-ის“ ნების – საკუთრებად მიიღოს მხოლოდ ნასყიდობის საგანი, მასთან დაკავშირებული ვალდებულებების გარეშე, უკან ერთი და იმავე პიროვნებების (ა. მ-სა და გ. ნ-ას) ინტერესები დგას.

კასატორი სადავოდ ხდის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების აღსრულების გადავადებას ერთი წლით, რომელიც მიმართულია შპს „ა. დ-ის“ მიმართ, მაშინ, როდესაც შპს „ა. დ-ს“ შეწყვეტილი აქვს ყოველგვარი ბიზნესაქტიურობა და გადაწყვეტილების აღსრულების გადადების მიზანი გაუგებარია, ამასთან უსაფუძვლოა აღსრულების ერთი წლით გადადება, მაშინ, როდესაც სპეციალური საპროცესო ნორმა (263-ე მუხლი) ითვალისწინებს აღსრულების მხოლოდ 3 თვით გადადებას. ასეთ პირობებში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში სრულიად დაუსაბუთებელია.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „თ-ი-3-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი: 2007 წლის 3 სექტემბერს სს „თ-ი-3-ს“ და შპს „ა- დ-ს“ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც შპს „ა- დ-ს“ საკუთრებაში გადაეცა 21 095.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მდებარე თბილისში, კ-ას ქუჩა №10-ში (საკადასტრო კოდი:..., მნაკვეთის №08/044, წინა №8/044). ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 4 429 950 აშშ დოლარით;

2007 წლის 3 სექტემბერს შპს „ა. დ-სა“ და სს „თ-ი 3-ს“ შორის დაიდო წინარე ხელშეკრულება უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ. მითითებული ხელშეკრულებით შპს „ა. დ-მა“ იკისრა ვალდებულება 2010 წლის 1 ივნისამდე სს „თ-ი 3-ის“ საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, კ-ას ქ. №10-ში ასაშენებელ საცხოვრებელ სახლში 1182 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, 300 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი და 10 ავტოსადგომი, რის სანაცვლოდაც შპს „ა. დ-ს“ უნდა გადაეხადა 1 000 000 აშშ დოლარი არა უგვიანეს 2008 წლის 1 ივლისისა;

2009 წლის 2 აპრილს მხარეთა შორის დაიდო შეთანხმება ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ ერთმანეთის წინაშე არსებულ ფინანსურ ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვაზე. შეთანხმებით ჩაითვალა, რომ შპს „ა. დ-მა“ სს „თ-ი-3-ს“ გადაუხადა 2007 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების ნასყიდობის ფასის ნაწილი 1000 000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო სს „თ-ი-3-მა“ სრულად გადაიხადა 2007 წლის 3 სექტემბრის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების ნასყიდობის ფასი – 1 000 000 აშშ დოლარი;

2010 წლის 28 აპრილს შპს „ა.დ-მა“, როგორც გამყიდველმა, შპს „ა-ს“, როგორც მყიდველს, საკუთრებაში გადასცა უძრავი ქონება მდებარე თბილისში, კ-ას ქუჩა №10-ში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 16 524 კვ.მ. (საკადასტრო კოდი:...) და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის

ნაკვეთი 2 071 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები №1, №2 და №3 მშენებარე (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი:...), ასევე თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტი და მშენებლობის სანებართვო მოწმობა;

შპს „ა. დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის 2010 წლის 28 აპრილს გაფორმდა წინარე ხელშეკრულება უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ შპს „ა-ი“, როგორც გამყიდველი, იღებს ვალდებულებას, შპს „ა. დ-ს“ გადასცეს გასაყიდი ქონება, კერძოდ, 1182 კვ.მ საცხოვრებელ ფართი, 300 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი და 10 ავტოსადგომი საერთო ავტოფარეხში მისამართზე: თბილისი, კ-ას ქუჩა №10 (შპს „ა. დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის 2010 წლის 28 აპრილს დადებული წინარე ხელშეკრულება უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ);

თბილისში, კ-ას ქუჩა №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მითითებულ მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთი დაყოფილია საკადასტრო ერთეულებად, შესაბამისად, თითოეულს მინიჭებული აქვს სხვადასხვა საკადასტრო კოდი) მოპასუხე შპს „ა-ი“ ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს. დადგენილია, რომ შპს „ა-ს“ თბილისში, კ-ას ქუჩა №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე ასაშენებელ საცხოვრებელ ბინებთან დაკავშირებით მესამე პირებთან გაფორმებული აქვს წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებები;

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლოში განხილვის საგანს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს განჩინების იმ ნაწილის კანონიერების შემოწმება, რომლითაც სს „თ-ი-3-ს“ უარი ეთქვა შპს „ა. დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის 2010 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე და ამ ქონების მესაკუთრედ კვლავ შპს „ა. დ-ის“ აღრიცხვაზე“. ასევე განხილვის საგანს წარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულების ერთი წლის ვადით გადადება.

ამასთან მიმართებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო პრეტენზიების გათვალისწინებით სს „თ-ი-3-ს“ მოთხოვნის საფუძვლიანობასთან მიმართებაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერთ შემთხვევაში სს „თ-ი 3-სა“ და შპს „ა. დ-ს“ შორის და, მეორე მხრივ შპს „ა. დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის წარმოშობილი ურთიერთობის დადგენას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია, თუ რა ურთიერთობა წარმოიშვა მხარეთა შორის. იმისათვის, რომ შემოწმდეს მოსარჩელის მოთხოვნის მართებულება, აუცილებელია დადგინდეს, მხარის რომელი ურთიერთობით მოცემული უფლება დაირღვა.

მართალია, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან მიმართებით, რომ შპს „ა. დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის 2010 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს მოჩვენებით ხელშეკრულებას და ამ ნაწილში საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, მაგრამ ამავე დროს ყურადსაღებია სს „თ-ი 3-ის“ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მოითხოვენ გამოკვლევა-დადგენას და სამართლებრივ შეფასებას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კასატორის მიერ მითითებული ფაქტები არ ქმნიან სადავო ხელშეკრულების მოჩვენებით გარიგებად მიჩნევის საფუძველს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვევითი გარიგება). განსახილველი სახის ბათილი გარიგებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მხარეებს არ სურთ იმ მიზნის მიღწევა, რაც დადებული გარიგებიდან გამომდინარეობს, აღნიშნული შედეგი არის მოჩვენებითი, და არავითარი ურთიერთობა მხარეებს შორის არ წარმოიშობა (არც ფორმალური და არც ფაქტობრივი). კონკრეტულ შემთხვევაში ამ დასკვნის შესაბამისი წინაპირობები არ არსებობს, კერძოდ, საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობს, რომ, როგორც ნების გამომვლენი, ასევე მისი მიმღები მოქმედებდნენ იმ განზრახვის გარეშე, რომ ამ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყოლოდა, ანუ, ორივე მხარეს არ სურდათ ხელშეკრულებით დასახული მიზნის მიღწევა.

ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მითითება იმ გარემოებაზე, რომ შპს „ა-ის“ დამფუძნებლები არიან ა. მ-ე და გ. ნ-ვა (50-50%), ხოლო შპს „ა. დ-ის“ დამფუძნებელია შპს „ა. ჯგუფი“, სადაც 50-50%-იანი წილობრივი მონაწილეობით პარტნიორები არიან აღექსანდრე მეყვიციძე და გ. ნ-ა, არ წარმოადგენს სადავო გარიგების მოჩვენებით გარიგებად შეფასების საფუძველს.

მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არსებული მასალები მოითხოვენ გამოკვლევას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით. განსახილველი ნორმის თანახმად, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ფართო გაგებით თვალთმაქცური გარიგებაც წარმოადგენს მოჩვენებით გარიგებას, მაგრამ ამავე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ბათილი გარიგებისაგან განსხვავდება იმით, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა „წარმოიშობა“ არა დადებული გარიგების საფუძველზე, არამედ ფაქტობრივად მათ შორის არსებული „შეთანხმების“ საფუძველზე.

ამდენად, იმისათვის, რომ შემოწმდეს მითითებული ნორმის წინაპირობები, აუცილებელია დადგინდეს მხარეთა შორის ფაქტობრივად არსებული ურთიერთობა, რამდენად შეესაბამება მათ მიერ დადებული, ხელშეკრულებებით განსაზღვრული უფლება-ვალდებულებები ფაქტობრივად არსებულ ურთიერთობას (უფლება-ვალდებულებებს).

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის სწორად გადაწყვეტისათვის პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რა ურთიერთობა წარმოიშვა მხარეთა შორის, რა უფლებები და ვალდებულებები

გააჩნიათ მათ ერთმანეთის მიმართ. ამდენად, საქმეში არსებული მასალებიდან და, უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სასამართლო თავისი ინიციატივით არკვევს მხარეთა შორის წარმოშობილ ურთიერთობას (უფლებებსა და ვალდებულებებს). ამდენად, მნიშვნელოვანია 2007 წლის 3 სექტემბერს სს „თ-ი-3-სა“ და შპს „ა-დ-ს“ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით და 2007 წლის 3 სექტემბერს შპს „ა.დ-სა“ და სს „თ-ი-3-ს“ შორის დადებული წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზანი – ნასყიდობა თუ წარდობა.

ამასთან მიმართებით, ყურადსაღებია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება იმის შესახებ, რომ 2007 წლის 3 სექტემბერს შპს „ა.დ-სა“ და სს „თ-ი-3-ს“ შორის დადებული გარიგებით წარმოიშვა წარდობის სამართლებრივი ურთიერთობა.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და განმარტავს, რომ მითითებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები არ მოიცავენ ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის თანახმად 2009 წლის 2 აპრილს მხარეთა შორის დაიდო შეთანხმება ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ ერთმანეთის წინაშე არსებულ ფინანსურ ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვაზე. შეთანხმებით ჩაითვალა, რომ შპს „ა.დ-მა“ სს „თ-ი-3-ს“ გადაუხადა 2007 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების ნასყიდობის ფასის ნაწილი 1000 000 აშშ დოლარი, ხოლო სს „თ-ი-3-მა“ სრულად გადაიხადა 2007 წლის 3 სექტემბრის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების ნასყიდობის ფასი – 1 000 000 აშშ დოლარი. შესაბამისად, მითითებული ხელშეკრულებების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სს „თ-ი-3-ს“ მიერ მიწის ნაკვეთის შპს „ა.დ-ის“ გადაცემით გადახდილ იქნა ამ უკანასკნელის მიერ სახლის აშენების შედეგად გარკვეული ფართების სს „თ-ი-3-ის“ გადაცემის საფასური. ამდენად, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით მხარეები ისახავდნენ წარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ ურთიერთობას.

აქედან გამომდინარე, განმარტებას მოითხოვს შპს „ა.დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის 2010 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულება, რომლითაც შპს „ა.დ-მა“, როგორც გამყიდველმა, შპს „ა-ს“, როგორც მყიდველს, საკუთრებაში გადასცა უძრავი ქონება მდებარე თბილისში, კ-ას ქუჩა №10-ში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 16 524 კვ.მ. (საკადასტრო კოდი:...) და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 2 071 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები №1, №2 და №3 მშენებარე (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი:...).

საკასაციო პალატა თვლის, რომ ზემოთითხსნილი მსჯელობის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს შპს „ა.დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის 2010 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მხარეთა ნება, კერძოდ, რა მიზანს ისახავდნენ მხარეები ნასყიდობისა თუ წარდობის ხელშეკრულების დადებას.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ კასატორის მიერ მითითებული ფაქტები არ ქმნიან გარიგების მოჩვენებითად მიჩნევის საფუძველს, რადგან მის მიერ მითითებული ფაქტები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მივიჩნიოთ, რომ სადავო გარიგებას არ მოჰყვა შესაბამისი იურიდიული შედეგები. მიუხედავად ამისა, კასატორის მიერ მითითებული ფაქტები და, უპირველეს ყოვლისა, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებები მოითხოვენ კვლევას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).

წარდობის ხელშეკრულებას გააჩნია არსებითი ნიშნები რითაც იგი განსხვავდება ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან. კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ არსებით ნიშნებზე, რომლებსაც მნიშვნელობა ენიჭება ამ დავის გადანყვევისათვის, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ხელშეკრულების საგნის გადაცემა. წარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია, უპირველეს ყოვლისა, სამუშაო პროცესის დასახვა, განსაზღვრა და ა.შ. იმის გათვალისწინებით, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება და წარდობის ხელშეკრულება ორივე წარმოადგენენ კაუზალური ტიპის ხელშეკრულებებს, აუცილებელია დადგინდეს ხელშეკრულების საფუძველი, მიზანი, რომლის გარეშე შეუძლებელია კონკრეტული ხელშეკრულების სახესთან დაკავშირებული დასკვნების გაკეთება და, შესაბამისად, ქონებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს შპს „ა.დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის 2010 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულებით მხარეებს შორის წარმოიშვა წარდობის თუ ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული გარემოების დასადგენად უნდა შეფასდეს საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებები და სხვა მტკიცებულებები ერთობლივად (სსკ-ის 105-ე მუხლი).

1980 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ ვენის კონვენციის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებად ითვლება იმ საქონლის მიწოდებაზე დადებული ხელშეკრულება, რომელიც მზადდება ან იწარმოება, თუ საქონლის დამკვეთი მხარე არ კისრულობს ასეთი საქონლის დამზადებისათვის ან წარმოებისთვის საჭირო მასალის მნიშვნელოვანი ნაწილის მიწოდების ვალდებულებას.

კონვენციის მე-3 მუხლის 1-ლის ნაწილის თანახმად „საჭირო მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი“ უნდა მივიჩნიოთ, ასევე მიწის ნაკვეთი, როგორც ძირითადი ნივთი, რომლის გარეშე შეუძლებელია შენობა-ნაგე-

ბობის აშენება, ანუ მხედველობაშია მასალა, რომელიც მნიშვნელოვანია სამუშაოს შესრულებისათვის. ამდენად, განსახილველ ნორმის დათქმაში „საჭირო მასალის მნიშვნელოვან ნაწილში“ ყურადღება გამახვილებულია ისეთ მასალაზე, რაც აუცილებელია და მნიშვნელოვანია ნივთის დამზადებისათვის და რომლის გარეშე შეუძლებელია ამ ნივთის დამზადება.

განსახილველი ნორმა მოითხოვს განმარტებას კონვენციის სხვა ნორმებთან ერთობლიობაში. კერძოდ, ნორმაში მოცემული სამართლებრივი კრიტერიუმები გაგებულ უნდა იქნეს მხარეთა მიერ დასახული მიზნების გათვალისწინებით, რომლის დადგენასა და განმარტებას მოითხოვს ამავე კონვენციის მე-8 მუხლი. კერძოდ, ამ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კონვენციის მიზნებისათვის მხარის განცხადება ან სხვაგვარი მოქმედება განიხილება მისი განზრახვის შესაბამისად, თუ მეორე მხარემ იცოდა, ან არ შეიძლება არ სცოდნოდა, როგორი იყო ეს განზრახვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ წინა პუნქტი არ გამოიყენება, მაშინ მხარის განცხადებას ან სხვაგვარ მოქმედებას განიხილავენ იმის შესაბამისად, თუ როგორ გაიგებდა ამას გონიერი პიროვნება, რომელიც იმოქმედებდა იმავე სახით, როგორც მეორე მხარე ანალოგიურ ვითარებაში.

აქედან გამომდინარე, გამოსარკვევია, თუ რა მიზანს ისახავდა შპს „ა. დ-ი“, როდესაც მინის ნაკვეთი გადასცა შპს „ა-ს“ და რა ვალდებულებას კისრულობდა ეს უკანასკნელი მინის ნაკვეთის მიღების სანაცვლოდ.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს შპს „ა. დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის 2010 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულებებით წარმოშობილ ურთიერთობაზე და 2007 წლის 3 სექტემბერს შპს „ა. დ-სა“ და სს „თ-ი-3-ს“ შორის დადებული გარიგებით წარმოშობილ ურთიერთობაზე, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასდა, როგორც ნარდობის ხელშეკრულება.

ნარდობის ხელშეკრულება მიზნად ისახავს შემკვეთისათვის სამუშაოს შედეგის გადაცემას, ამიტომ მე-ნარდეს ეკისრება ამ შედეგის მიღწევის რისკიც. ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შრომითი საქმიანობის შედეგი, მაშინ, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულების მიზანია ქონების საკუთრებაში გადაცემა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოთხსენებული მსჯელობის გათვალისწინებით ხელშეკრულების შინაარსის დადგენისათვის არ არის საკმარისი ფორმალურ ნიშნებზე ყურადღების გამახვილება, შესაძლებელია გარეგნული გამოხატულება ქმნიდეს ნასყიდობის ხელშეკრულებად მიჩნევის საფუძველს, მაგრამ მთავარი და მნიშვნელოვანია მხარეთა ნება და ფაქტობრივად არსებული უფლება-ვალდებულებები, რაც შეიძლება განსხვავდებოდეს ფორმალურად არსებული ურთიერთობისაგან და ქმნიდეს სხვა გარეგნით წარმოშობილი ურთიერთობის საფუძველს.

ამდენად, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, სადავო ხელშეკრულებით მხარეები კისრულობდნენ მხოლოდ მინის ნაკვეთის ნასყიდობას თუ მიზნად ისახავდნენ მშენებლობასა და მშენებლობის შედეგის გადაცემას.

თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ სადავო ხელშეკრულებით მხარეთა შორის წარმოიშვა ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ურთიერთობა, გამოყენებულ უნდა იქნეს ნარდობის ხელშეკრულების ინსტიტუტი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება), კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 632-ე მუხლის თანახმად, მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ეს გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებებიდან ან სამუშაოს ხასიათიდან.

განსახილველი ნორმის თანახმად, კვლევას მოითხოვს სს „თ-ი 3-ს“ ინტერესი, რომ სამუშაო შესრულებინა უშუალოდ შპს „ა. დ-ს“, მაგრამ იმ შემთხვევაშიც თუ დაუშვებთ, რომ სს „თ-ი-3“ დაეთანხმა სადავო გარიგებას და ამ ურთიერთობაზე გავრცელდა ქვენარდობა და, შესაბამისად, შპს „ა. დ-ის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებები შეიძლება შეესრულებინა შპს „ა-ს“, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლი, რომლის თანახმად, მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს.

ამ შემთხვევაში ყურადსაღებია მითითებული ნორმის ის ნაწილი, რომლის თანახმად, მოვალე პასუხს აგებს იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად. განსახილველი ნორმა ხაზს უსვამს ქვენარდობის ხელშეკრულების თავისებურებაზე, რომლის საფუძველზე შემკვეთის მიმართ პასუხისმგებელია არა ქვემენარდე, არამედ მენარდე. განსახილველი ნორმა მიგვიითთებს სხვისი ბრალის გამო პასუხისმგებლობაზე.

აქედან გამომდინარე, თუ სააპელაციო სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ სადავო გარიგება თვალთმაქცურია იგი ბათილად უნდა იქნას ცნობილი, ხოლო შპს „ა. დ-ის“ პასუხისმგებლობის საკითხი განისაზღვრება ნარდობის ინსტიტუტის მოთხოვნათა დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 251-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო დაადგენს გადაწყვეტილების აღსრულების განსაზღვრულ წესსა და ვადას ან მიიღებს ზომებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, ამის შესახებ მითითებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილებაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან არ ირკვევა ვალდებულების შესრულების გადავადების ზემოაღნიშნული წესის გამოყენების წინაპირობები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული ნორმა სასამართლოს ანიჭებს დისკრეციულ უფ-



ლებამოსილებას, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას დაადგინოს გადაწყვეტილების აღსრულების ვადა. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „ა. დ-ის“ ქონებრივი მდგომარეობა მიუთითებს ამ ნორმის გამოყენების აუცილებლობაზე რის გამოც სასამართლო უფლებამოსილი იყო, სათანადო ფულადი სახსრების მოძიების მიზნით, მოპასუხისათვის ამავე გადაწყვეტილებით დაენუსებინა თანხის გადახდის გონივრული ვადა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, არ არის მითითებული შპს „ა.დ-ის“ ქონებრივი მდგომარეობა (შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები), რაც გახდებოდა გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების საფუძველი. აღნიშნულის გათვალისწინებით შეუძლებელია ამ ნაწილში გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ, ზემოაღნიშნული მითითებების გათვალისწინებით, უნდა გამოიკვლიოს მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა ზ გ ი ნ ა:

1. სს „თ-ი-3-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ივნისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ექსპერტის დასკვნის შეფასება

### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1030-965-2012 19 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

დ. კ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. ყ-ის მიმართ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება შემდეგი დასაბუთებით: 2010 წლის 1 დეკემბერს მოსარჩელემ ე. ყ-ს 1700 აშშ დოლარი 2011 წლის 5 იანვრამდე ასესხა. მხარეები ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს გადახდაზე შეთანხმდნენ, რაც ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ძირითადი თანხის 1%-ს შეადგენს. ე. ყ-მა ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა.

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მხარეებს შორის სესხის ხელშეკრულება არ დადებულა. საქმეში არსებულ სესხის ხელშეკრულებაზე არსებული ხელმოწერა ყალბია და იგი ე. ყ-ს არ შეუსრულებია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით დ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 24 მაისის განჩინებით დ. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც მოსარჩელე დ. კ-ემ თავისი მოთხოვნის – ნასესხები თანხის დაბრუნების დასადასტურებლად წარადგინა, 2010 წლის 1 დეკემბრის სესხის ხელშეკრულებაა. შსს-ს საპატრულო პოლიციის აჭარის მთავარი სამმართველოს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის 2011 წლის 20 დეკემბრის №გრ-36 გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ამ ხელშეკრულებაზე ხელი ე. ყ-მა, მისი სახელით სხვა პირმა მოაწერა.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია იმის თაობაზე, რომ შსს საპატრულო პოლიციის აჭარის მთავარი სამმართველოს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის 2011 წლის 20 დეკემბრის №გრ-36 გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნა უნდა ჩაითვალოს დაუშვებელ მტკიცებულებად. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 ნოემბრის სსდომის ოქმიდან დგინდება, რომ საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა დ. კ-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა, გამოითხოვა მტკიცებულებები და საქმეზე დანიშნა დამატებითი კალიგრაფიული ექსპერტიზა (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 ნოემბრის სსდომის ოქმი – 11:02:50-11:06:00). სასამართლოს საქმე ექსპერტიზისათვის არ გადაუგზავნია, თუმცა 2012

ნლის 1 თებერვალს მიმართა საქართველოს შსს ბათუმის საქალაქო სამმართველოს და მოითხოვა უკვე ჩატარებული კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნის ასლი. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ექსპერტის დასკვნა სასამართლოს წარედგინა მხარის ინიციატივით. 2012 წლის 20 თებერვალს ზემოხსენებული დასკვნა ჩიბარა აპელანტის წარმომადგენელმა, თუმცა არც სასამართლოს სხდომამდე და არც თავად სხდომაზე, მათ შორის, მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 12 მარტის სხდომის ოქმი – 12:35:10-12:35:35) აპელანტს ზემოხსენებული მტკიცებულების დასაშვებობა სადავოდ არ გაუხდია. პირიქით, იმ მოტივით, რომ საქმეში არსებული დასკვნები იყო ურთიერთსაწინააღმდეგო, მან რამდენჯერმე მოითხოვა განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა. ეს ნიშნავს, რომ აპელანტი ექსპერტის დასკვნას მიიჩნევდა დასაშვებად, თუმცა დაუსაბუთებლად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებს, რომლებიც მხარეს შეეძლო, წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტს შეეძლო, პირველი ინსტანციის სასამართლოშივე მიეთითებინა, რომ სადავო მტკიცებულება მოპოვებული იყო კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევით. ეს მას არ გაუკეთებია და არც ამ ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზი არ მიუთითებია. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია იმის თაობაზე, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტისა და შსს საპატრულო პოლიციის აჭარის მთავარი სამმართველოს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ექსპერტის დასკვნები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ექსპერტმა დასმულ კითხვებს პასუხი ვერ გასცა შედარებითი ნიმუშების სიმცირის გამო, ე.ი უფრო მეტი ნიმუშის არსებობის შემთხვევაში, ექსპერტს შეეძლო, დაედგინა, მოაწერა თუ არა ხელი სადავო ხელშეკრულებას ე. ყ-მა, შსს საპატრულო პოლიციის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ექსპერტს კი დასკვნისათვის ე. ყ-ის ხელმოწერის საკმარისი ნიმუში ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ამ საბუთების დასკვნითი ნაწილები ერთმანეთის საწინააღმდეგო არ არის.

დასკვნების კვლევითი ნაწილიდან კი ჩანს, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტმა გამოსაკვლევ საბუთზე არსებული ხელმოწერა შეადარა ე. ყ-ის მიერ მხოლოდ ქართულ ენაზე შესრულებულ სხვა ხელმოწერებს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, გამოსაკვლევი ნიმუში ექსპერტმა ქართულ ენაზე შესრულებულად მიიჩნია და ქართული ანბანისათვის დამახასიათებელი მოხაზულობის მიხედვით, გადაწყვიტა, რომ ეს ასოები იყო: „ე“, „ყ“ და, სავარაუდოდ – „ი“. შსს საპატრულო პოლიციის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ექსპერტის დასკვნიდან კი დგინდება, რომ ამ ექსპერტს შედარებელ ნიმუშებზე წარედგინილი ჰქონდა ე. ყ-ის მიერ, როგორც ქართულ, ასევე, რუსულ ენაზე შესრულებული ხელმოწერის ნიმუშები. ასოების გრაფიკული გამოსახულებისა და ტრანსკრიფციის მსგავსების გამო, ექსპერტმა ჩათვალა, რომ ეს ხელმოწერა შეესაბამებოდა ე. ყ-ის ხელმოწერის, რუსულ ენაზე შესრულებულ ნიმუშს, თუმცა, დაადგინა, რომ გამომუშავების ხარისხის, მოძრაობის კოორდინაციის, შესრულების ტემპისა და დახრის გათვალისწინებით, ხელმოწერა ე. ყ-ს არ შეუსრულებია, ე.ი ექსპერტმა დაასკვნა, რომ ხელშეკრულებას, ე. ყ-ის ნაცვლად, ხელი მოაწერა სხვა პირმა. ე. ყ-ის რუსულენოვან ხელმოწერასთან მიმსგავსებით. პალატამ გაიზიარა ექსპერტის დასკვნა და მიუთითა, რომ სადავო ხელწერაზე არსებული ასოების მოხაზულობა, არ შეესაბამება ქართული ანბანის არც ერთ ასოს. მათი მიჩნევა ქართული ანბანის ასოებად შეიძლება, მხოლოდ, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ხელმოწერმა პირმა ხელშეკრულებას ქართულად მოაწერა ხელი. ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები კი აპელანტს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია. ამასთანავე, როგორც აღინიშნა, შსს საპატრულო პოლიციის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ექსპერტმა დაასკვნა, რომ გამოსაკვლევი ხელმოწერის ნიმუში მსგავსი იყო ე. ყ-ის მიერ რუსულ ენაზე შესრულებული ხელმოწერის ნიმუშებისა. ეს კი ნიშნავს, რომ, ვისაც არ უნდა მოეწერა ხელი ამ ხელშეკრულებაზე, ხელნაწერი ქართულად არ იქნებოდა შესრულებული. მნიშვნელოვანია, რომ მხარეთა განმარტებით, ე. ყ-ი მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა რუსეთის ფედერაციაში და, ცხადია, საბუთებს იგი ხელს რუსულად მოაწერდა. ამასთან, ხელმოწერა პირს რა ენაზეც არ უნდა მოეწერა ხელი საბუთზე, უდავოა – ეს ხელმოწერა ე. ყ-ის ხელმოწერას ჰგავდა. ის, რომ ხელშეკრულებისათვის ხელი ე. ყ-ს არ მოუწერია, ექსპერტმა დაასკვნა არა იმიტომ, რომ ერთმანეთს არ დაემთხვა სხვადასხვა ანბანის ასოები, არამედ იმიტომ, რომ იმას, ვინც ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, არ ჰქონდა გამომუშავებული ის ხარისხი, კოორდინაცია, ტემპი და დახრა, რომელიც, ჩვეულებრივ, ახასიათებს ხელმოწერას. ამგვარად, დადგენილია, რომ სადავო ხელშეკრულებისათვის ე. ყ-ს ხელი არ მოუწერია და ეს საბუთი ყალბია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ წარედგინილი საბუთი ყალბია, მას მტკიცებულებიდან გამორიცხავს. აქედან გამომდინარე, სასამართლომ 2010 წლის 1 დეკემბრის სესხის ხელშეკრულება ვერ შეაფასა. სხვა მტკიცებულებები კი, რომლითაც აპელანტის მოთხოვნა დადასტურდებოდა, მას სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 მაისის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა დ. კ-ემ შემდეგი დასაბუთებით: ექსპერტი მ. ჯ-ე 2011 წლის 30 ივნისის №010779-2011/02/1 „ექსპერტის დასკვნაში“ არ აყენებს ეჭვქვეშ, რომ ხელმოწერა ქართული ასოებითაა შესრულებული და მიუთითებს, რომ თავისუფლად იკითხება ქართული ანბანის ასო-ბგერები „ე“, „ყ“ და „ი“, ხოლო შსს საპატრულო პოლიციის აჭარის მთავარი სამმართველოს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამსახურის ექსპერტმა ნ. ბ-ემ ხელმოწერაში დაინახა და გამოიკვლია რუსული ასო-ბგერა „К“ ექსპერტი მ. ჯ-ე 2011 წლის 30 ივნისის №010779-2011/02/1 ექსპერტის დასკვნაში აღნიშნავს: „ამ გამოსაკვლევი ხელმოწერის გამოკვლევითა და შედარებით ე. ყ-ის ხელმოწერის ნიმუშებთან, დადგენილ იქნა თანადამთხვევე-

ბი: ზომამში, დახრამში, ხელმონერის, ფუძის ხაზის ფორმაში, მიმართულებასა და შემდეგი ვარიანტის კერძო ნიშნებში: კონსტრუქციული აგებულება ასო „ე“-ს (1) შესრულებისას; მოძრაობის ფორმა ასო „ყ“-ს (2) პირველი და მეორე ელემენტის გადაბმისას კუთხოვანი“, ეი ექსპერტი მ. ჯ.-ე ეჭვის ქვეშ არ აყენებს, რომ ხელმონერა ქართული ასოებით არის შესრულებული, ხოლო ხელმონერის ნამდვილობის დადგენა, ობიექტური მიზეზების, ნიმუშების სიმცირის გამო, ვერ შეძლო.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წინაშე დაისვა შემდეგი სამი კითხვა: 1. 2010 წლის 1 დეკემბერს შედგენილ ხელშეკრულებაზე სიტყვების, „მსესხებელი ე. ყ-ის“ გასწვრივ ე. ყ-ის სახელით შესრულებული ხელმონერა ქართულ, რუსულ თუ სხვა ენაზეა? 2. 2010 წლის 1 დეკემბერს შედგენილ ხელშეკრულებაზე სიტყვების გასწვრივ, „მსესხებელი ე. ყ-ი“, რომელ ენაზეა შესრულებული? 3. შესაძლებელია თუ არა რუსული ანბანის ასოების შედარება ქართულ ანბანთან ხელნერის იდენტიფიკაციის მისაღწევად. ექსპერტიზა ჩაატარა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტმა მ. ვ-მ, რომელმაც თავის 2012 წლის 14 ივნისის დასკვნაში აღნიშნა: „1-2 ხელმონერა ე. ყ-ის სახელით, განლაგებული: 2010 წლის 1 დეკემბერს შედგენილი სესხის ხელშეკრულებაზე, მეორე გვერდზე, ნაბეჭდი ტექსტის ბოლოს, გრაფაში, „მსესხებელი ე. ყ-ი“, შესრულებულია ქართულ ენაზე, ლურჯი ფერის საღებავი ნივთიერებით, რომლის ტრანსკრიფცია და გადაბმა ასეთია: „ე+ – უასოო ჰორიზონტალური შტრიხი + ყ + ი“; 3. ქართულ და რუსულ ენაზე შესრულებული ხელმონერების ურთიერთშედარება შეუძლებელია, ვინაიდან ქართული და რუსული ანბანის ასოები ერთმანეთისაგან განსხვავდება და არ შეიცავენ ერთნაირ გრაფიკულ (წერით) ნიშნებს საიდენტიფიკაციოდ“.

აქედან გამომდინარე, ექსპერტ მ. ვ-ს 2012 წლის 14 ივნისის №018920-2012/02/1 დასკვნით ნაწილში მთლიანად არის გაქარწყლებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების შემდეგი სამართლებრივი დასაბუთება, რომ „სადავო ხელნერაზე არსებული არც ერთი ასოს მოხაზულობა, პირდაპირ, არ შეესაბამება ქართული ანბანის არც ერთ ასოს“. როგორც ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტი მ. ჯ.-ე №010779-2011/02/1 2011 წლის 30 ივნისის დასკვნის აღწერილობით ნაწილში, ისე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტი მ. ვ.-ა 2012 წლის 14 ივნისის დასკვნით ნაწილში პირდაპირ და არაორაზროვნად აღნიშნავენ, რომ 2010 წლის 1 დეკემბრის სესხის ხელშეკრულებაზე „მსესხებელი ე. ყ-ის“ გასწვრივ ხელმონერა შესრულებულია ქართული ასოებით და იკითხება „ე“, „ყ“, „ი“. კასატორის მიერ წარმოდგენილია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სადავო სესხის ხელშეკრულებაზე ხელმონერა შესრულებულია ქართული ასოებით და რუსული ასო „ჩ“ არსად იკითხება. ამასთან, წარმოდგენილია ექსპერტის პირდაპირი და არაორაზროვანი დასკვნა იმის შესახებ, რომ ქართულ და რუსულ ენაზე შესრულებული ხელმონერების ურთიერთშედარება შეუძლებელია, ვინაიდან ქართული და რუსული ანბანის ასოები ერთმანეთისაგან განსხვავდება და არ შეიცავენ ერთნაირ გრაფიკულ ნიშნებს საიდენტიფიკაციოდ.

ბათუმის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ექსპერტ ნ. ბ.-ის 2011 წლის 20 დეკემბრის №გრ-36 დასკვნა მტკიცებულებად არ უნდა გამოყენებინა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც, თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ, ესენია: ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. კონკრეტულ შემთხვევაში, არ ყოფილა დადგენილი ფაქტი ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეს, მასზე გადაწყვეტილება ჯერ კიდევ მიღებული არ არის, თუმცა, მოცემული ნორმიდან გამომდინარე, მას არსებობის შემთხვევაშიც კი, არ ექნებოდა იურიდიული ძალა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის. სამოქალაქო საქმეში არ არსებობს მოსამართლის განჩინება, რომლითაც დანიშნული იქნებოდა კალიგრაფიული ექსპერტიზა საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამსახურში, ანუ დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. ექსპერტ ნ. ბ.-ის 2011 წლის 20 დეკემბრის დასკვნა, სასამართლოს პროკურატურამ გაუგზავნა, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლ ნაწილს და მას, როგორც კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას, იურიდიული ძალა არა აქვს.

ექსპერტ მ. ვ.-ას 2012 წლის 14 ივნისის დასკვნით მთლიანად არის გაქარწყლებული ექსპერტ ნ. ბ.-ის 2011 წლის 20 დეკემბრის №გრ-36 დასკვნა. საქმეში წარმოდგენილია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სადავო სესხის ხელშეკრულებაზე ხელმონერა შესრულებულია ქართული ანბანის ასოებით და არავითარი რუსული ასო „ჩ“ არ იკითხება, ასევე, წარმოდგენილია ექსპერტის პირდაპირი და არაორაზროვანი დასკვნა, იმის შესახებ, რომ ქართულ და რუსულ ენაზე შესრულებული ხელმონერების ურთიერთშედარება შეუძლებელია.

ე. ყ-ის გარკვეული დროით რუსეთის ფედერაციაში ცხოვრება არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ის საბუთებს ხელს რუსულად მოაწერდა. მონიშნულმდეგე მხარე საქართველოში დაიბადა და გაიზარდა, ქართული საშუალო სკოლა დაამთავრა და, ცხადია, იგი ხელს საბუთებზე მშობლიურ ენაზე მოაწერდა. ამასთან, ბა-

თუმის საქალაქო სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელ მ. ზ-ის მიერ 2011 წლის 9 დეკემბერს ე. ყ-ისათვის ჩამორთმეული ხელნერის თავისუფალი ნიმუშის ტექსტით არ დგინდება, რომ იგი რუსული ენის მცოდნემ შეასრულა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადანყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მითითებული ნორმის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ამომწებს გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერებას, სამართლებრივი შეფასების სისწორეს, რაც გულისხმობს სასამართლოს მიერ დადგენილი იურიდიული ფაქტების შესაბამისობას სამართლის ნორმის შემადგენლობასთან, შინაარსთან. სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმება შეუძლებელია, თუ გადანყვეტილებით სასამართლოს მიერ არ იქნა დადგენილი საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები. ამასთან, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აღნიშნული ნორმა იმპერატიულად ადგენს საკასაციო სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთებული საკასაციო საჩივრის (პრეტენზიის) შემთხვევაში შეამოწმოს სასამართლოს მიერ დადგენილი იურიდიული ფაქტების – გარემოებების შესაბამისობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, ანუ შეამოწმოს, დაცულია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 249-ე მუხლის მოთხოვნები წარმოდგენილ მტკიცებულებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის შედეგად სასამართლოს გადანყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთებულობის შესახებ.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია მტკიცებულებათა არასრული გამოკვლევა და მის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების და, შესაბამისად, დავის სამართლებრივი შეფასების არასარწმუნოება, კერძოდ, მოცემულ დავაზე სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

დ. კ-ემ სესხად გაცემული თანხის დაბრუნების თაობაზე ე. ყ-ის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის დასადასტურებლად წარადგინა ერთადერთი მტკიცებულება – 2010 წლის 1 დეკემბრის სესხის ხელშეკრულება. შსს-ს საპატრულო პოლიციის აჭარის მთავარი სამმართველოს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის 2011 წლის 20 დეკემბრის №გრ-36 გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ამ ხელშეკრულებაზე ხელი ე. ყ-ს არ მოუწერია. სასამართლომ დაასკვნა, რომ სესხის ხელშეკრულება ყალბია.

ხელშეკრულებაზე ხელმოწერის სისწორის დადგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, კერძოდ, კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით სათანადოდ არ გამოიკვლია ექსპერტის დასკვნა. საკასაციო სასამართლო იზიარებს რა კასატორის პრეტენზიას, მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის დასკვნა სესხის ხელშეკრულების სიყალბის თაობაზე დამაჯერებელი არ არის, კერძოდ:

საქმეში წარმოდგენილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 30 ივნისის ექსპერტ მ. ჯ-სა და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის ექსპერტ ნ. ბ-ის დასკვნები.

2011 წლის 30 ივნისის ექსპერტიზის დასკვნით, ექსპერტს გამოსაკვლევი ხელმოწერასთან შესადარებლად წარდგენილი ჰქონდა როგორც თავისუფალი, ასევე პირობითად თავისუფალი და ექსპერიმენტული დოკუმენტები. მიუხედავად აღნიშნულისა, ექსპერტმა მ. ჯ-ემ დაასკვნა, რომ გადანყვეტა საკითხისა, 2010 წლის 1 დეკემბრით შედგენილი სესხის ხელშეკრულებაზე ე. ყ-ის სახელით შესრულებული ხელმოწერა შესრულებულია თუ არა ამ უკანასკნელის მიერ, ნიმუშის სიმცირის გამო, ვერ მოხერხდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2011 წლის 4 ნოემბერს განჩინებით დანიშნა დამატებითი ექსპერტიზა. ამავდროულად, კალიგრაფიული ექსპერტიზის სრულყოფილად ჩატარების მიზნით სასამართლომ 2011 წლის 7 ნოემბრის განჩინებით დააკმაყოფილა რა მოსარჩელის წარმომადგენელ კ. რ-ის შუამდგომლობა და სს „საქართველოს ბანკიდან“ და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან ე. ყ-ის ხელმოწერილი დოკუმენტები. სასამართლომ მიიღო რა ზემოაღნიშნული დოკუმენტები, საქმე დამატებითი ექსპერტიზის ჩასატარებლად არ გადაავაზვნა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადანყვეტისათვის და მის გარეშე გადანყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ საქმეზე სწორი გადანყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოების დასადგენად, რომელიც მხოლოდ სპეციალური ცოდნის გამოყენებით შეიძლება დადგინდეს, სასამართლო უფლებამოსილია, დანიშნოს ექსპერტიზა.

ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენს მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს და სასამართლო თავისი მოტივირებული გადაწყვეტილებით ასაბუთებს აღნიშნული მტკიცებულების გაზიარების ან მისი უარყოფის მართლობიერებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამდენად, სასამართლო სადავო გარემოებათა არსებობა-არარსებობის დადგენისას ინდივიდუალურად და ერთობლიობაში აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის შედეგად აყალიბებს თავის შინაგან რწმენას გამოსაკვლევი საკითხის მიმართ.

დასახელებული ნორმების შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სადავო საკითხის გამოსაკვლევად ჩატარებული ექსპერტიზის ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნები, ექსპერტიზის დასკვნით ნაწილში შეუსაბამოები ან სასამართლო არსებულ ექსპერტიზის დასკვნას უსწოროდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევა. განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება მიზანშეწონილია მაშინ, თუ მის გარეშე საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა შეუძლებელია. მტკიცებულებათა სრულფასოვნად გამოკვლევის მიზნით ექსპერტის დასკვნა მათი სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთშედარების გზით უნდა შემოწმდეს ან, თუ თვით დასკვნა განმარტებას მოითხოვს, სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად, შეუძლია, მოიწვიოს ექსპერტი.

სასამართლომ საქმეზე დამატებითი ექსპერტიზა არ ჩაატარა იმ დასაბუთებით, რომ 2012 წლის 1 თებერვალს სასამართლოს მიმართვის საფუძველზე შსს ბათუმის საქალაქო სამმართველოდან გამოთხოვილი იქნა სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა.

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს ექსპერტ ნ. ბ-ის 2011 წლის 20 დეკემბრის დასკვნით: გამოსაკვლევად წარმოდგენილი ხელმოწერის შედარებით ე. ყ-ის ხელმოწერის წარმოდგენილი ნიმუშებთან (შესრულებული რუსული ანბანის ასოებით), მიუხედავად გრაფიკული გამოსახულების და ტრანსკრიფციის მსგავსებისა, დადგინდა განსხვავებები საერთო ასევე კერძო ნიშნებში. გამოვლენილი განმასხვავებელი ნიშნები მყარია და ერთობლიობაში საკმარისია დადასკვნათ, რომ გამოსაკვლევად წარმოდგენილი ხელმოწერა შესრულებულია არა ე. ყ-ის, არამედ სხვა პირის მიერ. ექსპერტ ნ. ბ-ეს გამოსაკვლევად ხელმოწერასთან შესადარებლად წარმოდგენილი ჰქონდა როგორც თავისუფალი, ასევე პირობითად თავისუფალი და ექსპერიმენტული დოკუმენტები.

2011 წლის 20 დეკემბრის ექსპერტიზის დასკვნის კვლევით ნაწილში ექსპერტი ერთმანეთს ადარებს რა ე. ყ-ის ხელმოწერის გრაფიკულ გამოსახულებას ქართული და რუსული ანბანის ასოებით, უთითებს: „გამოსაკვლევად წარმოდგენილი ხელმოწერის შედარებით ე. ყ-ის ხელმოწერის წარმოდგენილი ნიმუშებთან (შესრულებული რუსული ანბანის ასოებით) მიუხედავად გრაფიკული გამოსახულების და ტრანსკრიფციის მსგავსებისა დადგინდა განსხვავებები საერთო (გამომუშავების ხარისხი, მოძრაობის კოორდინაცია, შესრულების ტემპი, დახრა) ასევე კერძო (ასოს „კ“ შესრულების ფორმა სირთულე აცეხილება უკითხავი ელემენტების შესრულების რაოდენობა სირთულე საწყისი და დამამთვარებელი წერტილების განთავსება) ნიშნებში გამოვლენილი განმასხვავებელი ნიშნები მყარია მნიშვნელოვანი და ერთობლიობაში საკმარისი დასკვნისათვის, რომ გამოსაკვლევად წარმოდგენილი ხელმოწერა შესრულებულია არა ე. ყ-ის, არამედ სხვა პირის მიერ“.

სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე დაიკითხა ექსპერტი ნ. ბ-ე, რომელმაც დაადასტურა, რომ ქართული ნიმუშები რუსულს შეადარა.

ამდენად, ექსპერტი ერთმანეთს ადარებს რუსული და ქართული ასოებით შედგენილი ნიმუშების გრაფიკულ გამოსახულებას და ტრანსკრიფციას. აღნიშნულთან დაკავშირებით დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ ხელშეკრულებისათვის ხელი ე. ყ-ს არ მოუწერია, ექსპერტმა დაასკვნა არა იმიტომ, რომ ერთმანეთს არ დაემთხვა სხვადასხვა ანბანის ასოებით, არამედ იმიტომ, რომ იმას, ვინც ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, არ ჰქონდა გამომუშავებული ის ხარისხი, კოორდინაცია, ტემპი და დახრა, რომელიც, ჩვეულებრივ, ახასიათებს ხელმოწერას.

ქართული და რუსული ენის ანბანის წარმოშობისა და გრაფიკული გამოსახულების მიხედვით სხვაობა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და ასეთი სხვაობის დადგენა და მათი ურთიერთშედარების შეუძლებლობა აუცილებელ სპეციალურ ცოდნას არ საჭიროებს. აღნიშნული ეჭვქვეშ აყენებს შსს ექსპერტის დასკვნის დასაბუთებულობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და სადავოდ ქცეული ფაქტი, სესხის ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ეკუთვნის თუ არა ე. ყ-ს, დამატებით გამოკვლევას და დამაჯერებელ დასაბუთებას საჭიროებს, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

დ. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

### განჩინება

№ას-985-925-2012 19 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ე. პ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. თ-ის, ნ. უ-ის, დ. ბ-ისა და ხ. ი-ის მიმართ კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ე. პ-ის წარმომადგენლების – ი. და ლ. პ-ების შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, არსებითი გადაწყვეტილების გამოტანის გზით ე. პ-ს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხეები – ნ. თ-ე, ნ. უ-ე, ხ. ი-ი და დ. ბ-ი არ არიან ქ.თბილისში, ლ-ის ქუჩა №4/2-ში მდებარე სახლის მე-2 სართულზე განთავსებული სადავო 18,07 კვ.მ ფართის საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრეები.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ე. პ-მა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო საჩივარში ე. პ-მა მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხეთა საკუთრებაში არსებულ ქ.თბილისში, ლ-ის ქ.№4/2-ში მდებარე უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნ. თ-ის საკუთრებაში არსებულ 9/20 ნაწილზე, ხ. ი-ის საკუთრებაში არსებულ 5/20 ნაწილზე და დ. ბ-ის საკუთრებაში არსებულ 3/20 ნაწილზე. განმცხადებელმა მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოპასუხეთა საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების გამოყენების აუცილებლობა გამოწვეულია მოპასუხეთა მხრიდან მათ საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების რეალური საშიშროებით, რის შემდეგაც შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება, ხოლო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უზრუნველყოფს გადაწყვეტილების შესრულებისაგან თავის ასარიდებლად მიმართული მოპასუხის მოქმედებების მყისიერ და ეფექტურ შეკავებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ივნისის განჩინებით ე. პ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დაადგინა, რომ აპელანტის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხეებისათვის – ნ. თ-ის, ნ. უ-ის, ხ. ი-ისა და დ. ბ-ისათვის 2626 ლარის გადახდის სანაცვლოდ ქ.თბილისში, ლ-ის ქუჩა №4/2 მისამართზე მდებარე სახლის (საკადასტრო კოდი ...) მე-2 სართულზე განთავსებული 18,07 კვ.მ ფართის მქონე საცხოვრებელ სადგომზე მოსარჩელე ე. პ-ის მესაკუთრედ ცნობა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში არა სასარჩელო განცხადება, არამედ სააპელაციო საჩივარი საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტის მოთხოვნას ფორმალური თვალსაზრისით წარმოადგენს არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, არამედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად კანონით დადგენილი წესით. იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით არ იქნა დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნა, პალატა მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით აღუსრულებლობისაგან დაიცვას ის გადაწყვეტილება, რომელიც არ ექვემდებარება აღსრულებას.

ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ სარჩელის (გადაწყვეტილების) უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ე. პ-მა შეიტანა საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო პალატამ მხარის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განიხილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლის დარღვევით.

დარღვეულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი, ვინაიდან ე.პ.-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე კანცელარიის მუშაკმა რამდენჯერმე განუხილველად გაუგზავნა საქალაქო სასამართლოს. ამდენად, მართლმსაჯულება განახორციელა კანცელარიის მუშაკმა.

სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილების უპირველეს მიზეზზე – სანივთო უფლებების უფლებრივი შეცვლის (მისი გასხვისების) საფრთხეზე.

სარჩელის უზრუნველყოფის ეტაპზე სასამართლომ არ უნდა შეაფასოს სარჩელის საფუძვლიანობა, არამედ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე – სამომავლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის საფრთხეზე. მოცემულ შემთხვევაშიც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება განპირობებულია მოპასუხეთა მიერ სადავო ქონების გასხვისების საშიშროებით.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ განცხადებელი ფაქტობრივად მოითხოვდა არა სარჩელის, არამედ მის სანივთად მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფას. ამდენად, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის დანაწესი.

პალატამ არ გაითვალისწინა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იყოს საკმარისად არგუმენტირებული და ემყარებოდეს არა მხოლოდ საპროცესო სამართლის იმ ნორმების ციტირებას, რომელიც მოსამართლეს ანიჭებს საპროცესო მოქმედების გამოყენების უფლებამოსილებას, როგორც ეს გასაჩივრებულ შემთხვევაში, არამედ ამ ჭრილში უნდა იხილავდეს ყველა ასპექტს, რომელიც ამართლებს კონკრეტულ გადაწყვეტილებას, რათა აცილებულ იქნეს მართლმსაჯულების ფორმალური გამოყენება. ამდენად, სასამართლომ ვერ უზრუნველყო სრულფასოვანი მართლმსაჯულების განხორციელება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 ივლისის განჩინებით ე.პ.-ის საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო განსახილველად გაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგი დასაბუთებით:

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>, 191-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანი არის განსახილველ საქმეზე მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება-გამოუყენებლობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო არ ამონებს, რამდენად დასაბუთებულია სარჩელი, რამდენად გამომდინარეობს მის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან.

სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია მხარეთა თანასწორობის პრინციპზე. ამ პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების დროს ორივე ურთიერთდაპირისპირებული მხარის ინტერესების თანაბრად გათვალისწინება.

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

კანონმდებლის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის დანესება არ გულისხმობს მის ავტომატურ გამოყენებას ნებისმიერი სარჩელის მიმართ, არამედ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ხდება ყოველ კონკრეტულ საქმეზე სასამართლოს განსაკუთრებული მსჯელობის შედეგად.

კანონი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ზოგად საფუძველს, ხოლო სასამართლო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა ამგვარი საფუძველი განსახილველ საქმესთან დაკავშირებით და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას იყენებს იმ შემთხვევაში, თუ მის გამოყენებას მიზანშეწონილად ჩათვლის. შესაბამისად, საპროცესო კანონმდებლობაში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გათვალისწინება გულისხმობს აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების დანესებას ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც იგი გამართლებულია.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას სასამართლო გამოიყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა განმცხადებელი შესძლებს, დაამტკიცოს კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა რატომ გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ აპელანტის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხეებისათვის – ნ. თ.-ის, ნ. უ.-ის, ხ. ი.-ისა და დ. ბ.-ისათვის მოსარჩელის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ ქ.თბილისში, ლ.-ის ქუჩა №4/2-ში მდებარე სახლის (საკადასტრო კოდი ...) მე-2 სართულზე განთავსებული 18,07 კვ.მ ფართის მქონე საცხოვრებელ სადგომზე ე.პ.-ის მესაკუთრედ ცნობა.

პალატამ განმარტა, რომ „საცხოვრებელი სადგომით წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი როგორც მესაკუთრეს ასევე მოსარგებლეს აკისრებს ურთიერთვალდებულებებს, რომელიც გადადის მათ უფლებამონაცვლეებზეც როგორც სანივთო უფლება. უძრავ ნივთზე მესაკუთრის შეცვლა თავისთავად არ ათავისუფლებს ახალ მესაკუთრეს მითითებული კანონით გათვალისწინებული ვალდებულებისაგან.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვისას სასამართლო აფასებს, არსებობს თუ არა ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა გამო შესაძლოა, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გართულდეს ან ვერ აღსრულდეს საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება.

მოცემულ შემთხვევაში პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობა არ არსებობს, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებლობისაგან დაცვის სავალდებულო საფუძველი, რის გამოც საჩივრის ავტორს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ამასთან, პალატამ კვლავ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ე. პ-ის სასარჩელო მოთხოვნა. პალატამ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორის მოთხოვნას ფორმალური თვალსაზრისით წარმოადგენს არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, არამედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, იმ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით არ იქნა დაკმაყოფილებული.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. პ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენდაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადაწყვეტილების აღსრულება.

ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სარჩელის უზრუნველყოფისას სასამართლო ითვალისწინებს სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ პერსპექტიულობას, თუმცა თავისთავად უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სასამართლოს სადავო მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით რაიმე შეზღუდვას არ აწესებს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას, რომ განსახილველ შემთხვევაში ე. პ-ის მოთხოვნას ფორმალური თვალსაზრისით წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უზრუნველყოფა, თუმცა ეთანხმება სააპელაციო პალატის მითითებას, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობა არ არსებობს და მხარემ სადავო საპროცესო ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა სარწმუნოდ ვერ დაასაბუთა, კერძოდ:

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ე. პ-ის სარჩელი მოპასუხეთა კუთვნილი საცხოვრებელი სადგომის სანაცვლოდ კომპენსაციის გადახდის შემდეგ სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ აღრიცხვის შესახებ. მეტიც, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო უძრავი ნივთი მოპასუხეთა საკუთრებას არ წარმოადგენს და ედვარდ პეტრიაშვილი მოპასუხეთა კუთვნილ ფართში არ ცხოვრობს. აღნიშნული კი წარმოადგენს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ საჩივრის ავტორი ვერ ადასტურებს ისეთი გარემოების არსებობას, რაც სამომავლოდ გაართულებს ან ხელს შეუშლის მოცემულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. განსახილველი საქმიდან არ გამომდინარეობს არც სადავო ფართის გასხვისების ან სხვაგვარად დატვირთვის საშიშროება.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება მხარის მიერ საჩივარში მითითებული არგუმენტები, რომ სასამართლომ დაგვიანებით განიხილა მისი განცხადება და სააპელაციო სასამართლოს კანცელარიის მოხელემ რამდენჯერმე გადააგზავნა მისი განცხადება ქვემდგომ სასამართლოში.



ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ე. პ-ის საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი წანამძღვრები არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:  
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197' მუხლის მე-4 ნაწილით, 419-ე მუხლით და

და ა ა ზ ბ ი ნ ა:

ე. პ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ივნისისა და 3 ივლისის განჩინებები დარჩეს უცვლელად.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

### ბანჩინება

№ას-1461-1379-2012 3 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 სექტემბრის განჩინებით დამტკიცდა მორიგება მოდავე მხარეებს: აპელანტ (მოსარჩელე) მ. კ-სა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მ-ის ქ. №18-ს“ შორის შემდეგი პირობებით:

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მ-ის ქ. №18“, თავმჯდომარე დ. ტ-ე თანახმაა ქ.თბილისში, მ-ის ქუჩა №18-ში არსებული 113.91 კვ.მ ფართი საკუთრებაში გადასცეს მ. კ-ეს;

მ. კ-ე თანახმაა საკუთრებაში მიიღოს ქ.თბილისში, მ-ის ქ. №18-ში არსებული 113.91 კვ.მ ფართი; მხარეები თანახმანი არიან გაუქმდეს მოცემულ საქმეზე სარჩელის უზრუნველყოფის სახით გამოყენებული ყადაღა მ-ის ქ. №18-ში მდებარე 113.91 კვ.მ ფართზე.

2012 წლის 10 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მ-ის ქუჩა №18-ის“ წევრებმა: პ. ყ-მა, ნ. ლ-ემ, დ. კ-ემ, გ. თ-მა, მ. მ-მა, ა. გ-ემ, ე. მ-მა, ჯ. ლ-ემ, შ. მ-მა, მ. რ-მა, გ. ხ-მა და დ. გ-მა, რომლებმაც მოითხოვეს ამავე სასამართლოს 2011 წლის 29 სექტემბრის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება. ამავდროულად, განმცხადებლებმა მოითხოვეს მათი განცხადების უზრუნველყოფის მიზნით მოწინააღმდეგე მხარის – მ. კ-ის უძრავ ქონებაზე (ქ.თბილისი, მ-ის ქ. №18) ყადაღის დადება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მ-ის ქუჩა №18-ის“ წევრების: პ. ყ-ის, ნ. ლ-ის, დ. კ-ის, გ. თ-ის, მ. მ-ის, ა. გ-ის, ე. მ-ის, ჯ. ლ-ის, შ. მ-ის, მ. რ-ის, გ. ხ-სა და დ. გ-ის ზემოაღნიშნული განცხადება არ დაკმაყოფილდა.

დასახელებული განჩინება საჩივრით გაასაჩივრეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მ-ის ქუჩა №18-ის“ შემდეგმა წევრებმა: დ. გ-მა, გ. თ-მა, მ. რ-მა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მათი განცხადების დაკმაყოფილება.

საჩივრის ავტორთა განმარტებით, საჭირო იყო მოწინააღმდეგე მხარის ქონებაზე ყადაღის დადება, ვინაიდან არსებობდა სადავო ქონების გასხვისების საშიშროება. ამ ქონების გასხვისების შემთხვევაში, მათთვის დავას აზრი დაეკარგებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ნოემბრის განჩინებით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მ-ის ქუჩა №18-ის“ წევრების: დ. გ-ის, გ. თ-სა და მ. რ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იგი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: განცხადებაში უნდა მიეთითოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა გამო უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას; მასში ასევე მითითებული უნდა იყოს უზრუნველყოფის იმ ღონისძიებებზე, რომელთა გატარებაც განმცხადებელს მიზანშეწონილია და გამართლებულად მიაჩნია. სარჩელის უზრუნველყოფა დამოკიდებულია ვარაუდზე, რომ შესაძლოა მოკასუხემ სარჩელის მოთხოვნებისაგან თავის დაღწევის მიზნით განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც საბოლოოდ შეუძლებელს გახდის მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა იმ რეალობის ან მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინებით, რომ

მოპასუხე, შესაძლოა, არაკეთილსინდისიერი აღმოჩნდეს და საკუთარი ქონება გაასხვისოს, რის შედეგადაც მოსარჩელის უფლება განუხორციელებელი დარჩება. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, წარდგენილი საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოპასუხის განზრახვა ქონების გასხვისების თაობაზე.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 198-ე მუხლების თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას სასამართლომ პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღსრულების შეუძლებლობის საშიშროებაზე და ასევე იმაზეც, თუ იურიდიულად რამდენად გამართლებულია მოთხოვნა. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოკვეთილი უნდა იყოს მოთხოვნის იურიდიული დასაბუთებულობა. მოთხოვნის იურიდიული გამართლების შეფასება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებაზე მსჯელობისას საჭიროა მხოლოდ იმის გამო, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს წარმოადგენს ვარაუდი, რომ მომავალში სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გართულება ან შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება. სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების საფუძველი მოიცავს ასევე ვარაუდს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველიც არ არსებობს. შესაბამისად, სასამართლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, ვალდებულია შეაფასოს როგორც სარჩელის საფუძველიანობა, ასევე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული რისკები და ის სამართლებრივი შედეგები, რაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას შეიძლება მოყვეს. კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელთა მოთხოვნის არსის გათვალისწინებით, სასამართლოს არ გაუჩნდა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილების ვარაუდი.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მ-ის ქუჩა №18-ის“ ნევრების: დ. გ-ის, გ. თ-სა და მ. რ-ის საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინებები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოპასუხის განზრახვა ქონების გასხვისების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნ პირს ავალდებულებს მიუთითოს იმ კონკრეტული გარემოების არსებობა, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელმა მიუთითეს ასეთ გარემოებაზე, კერძოდ, აღნიშნეს, რომ მონინაალმდეგე მხარე აპირებს იმ ქონების გასხვისებას, რომელიც მას გადაეცა კანონსაწინააღმდეგო მორიგების საფუძველზე და, რომელზეც, გასაჩივრებული განჩინების ბათილად ცნობის შემთხვევაში, კვლავ აღირიცხება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრების უფლება. ცხადია, რომ სადავო ქონების გასხვისების შემთხვევაში გაძნელება ან შეუძლებელი გახდება აღნიშნული ქონების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებაში აღრიცხვა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ნორმის იმგვარი გაგება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენით დაამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, არ გამომდინარეობს არც მითითებული და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მარეგულირებელი სხვა ნორმებიდან. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია მხოლოდ ალბათობის მაღალი ხარისხით იმ გარემოებების არსებობის ვარაუდი, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, სხვაგვარად, აღნიშნული გარემოებების არსებობის ალბათობა უნდა გადასწონიდეს ვარაუდს მისი არარსებობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში იმ გარემოების არსებობის ალბათობა, რომ მონინაალმდეგე მხარემ შესაძლოა გაასხვისოს სადავო ქონება, გადასწონის ვარაუდს მისი არარსებობის, ანუ იმის შესახებ, რომ იგი არ გაასხვისებს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას.

სააპელაციო სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა ასევე იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებელთა მოთხოვნის არსის გათვალისწინებით, სასამართლოს არ გაუჩნდა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილების ვარაუდი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მოსაზრება დაუსაბუთებელია, ვინაიდან იგი არ შეიცავს მსჯელობას, თუ რამ განაპირობა სასამართლოს ასეთ დასკვნამდე მისვლა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას სასამართლომ პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღსრულების შეუძლებლობის საშიშროებაზე, და ასევე იმაზეც, თუ იურიდიულად რამდენად გამართლებულია სასარჩელო მოთხოვნა, რაც

იმას ნიშნავს, რომ გამოკვეთილი უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთებულობა. სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა არის სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მისაღებად. არ არის გამართლებული იმ უფლების უზრუნველყოფა, რომელიც არ არსებობს და ეს იმთავითვე ნათელია სასამართლოსათვის. თუ არ არსებობს უფლება, არც იმის საშიშროებაა, რომ იგი დაირღვევა სარჩელის უზრუნველყოფის მიუღებლობით. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისადმი, როგორც საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტისადმი, ფორმალური მიდგომა დაუშვებელია და იგი უმეტესწილად სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ვარაუდზეა დამოკიდებული. ზემოაღნიშნული, ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას იმავდროულად იმსჯელოს მოთხოვნის დასაბუთებულობაზე და გადაწყვიტოს, დააკმაყოფილებს თუ არა მას მომავალში, მაგრამ სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, თუ რას ემყარება მისი ვარაუდი, რომ არ არის გამოკვეთილი სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთებულობა. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ მას არ გაუჩნდა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილების ვარაუდი. გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას იმასთან დაკავშირებით, თუ რას ემყარება სასამართლოს ზემოხსენებული ვარაუდი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შეადგენლობას შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აბსოლუტური საფუძველი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლი, ამავე კოდექსის 394-ე მუხლის ე)“ ქვეპუნქტი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, ამავე კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### და ა დ გ ი ნ ა:

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მ-ის ქუჩა №18-ის“ წევრების: დ. გ-ის, გ. თ-სა და მ. რ-ის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ოქტომბრის და 5 ნოემბრის განჩინებები და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მ-ის ქუჩა №18-ის“ წევრების: დ. გ-ის, გ. თ-სა და მ. რ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

#### ბანჩინება

№ას-1630-1530-2012

11 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სარჩელი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ი-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების: ვ. შ-ას, ე. გ-ის, მ. ა-სა და ტ. შ-ას წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხეებისათვის, მის სასარგებლოდ, 218738.15 აშშ დოლარის ანაზღაურება და 2011 წლის 5 აგვისტოდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 3450 აშშ დოლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. ი-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ვ. შ-ას, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 115000 აშშ დოლარის გადახდა, მასვე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2009 წლის 5 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველწლიურად 115000 აშშ დოლარის 8%-ის ანაზღაურება, ა. ი-ის სარჩელი ე. გ-ის, მ. ა-სა და ტ. შ-ას ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ი-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

2012 წლის 3 დეკემბერს ა. ი-ემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება; კერძოდ, ყადაღის დადება ნ. შ-ას სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე, მდებარე: თბილისი გ-ის ქ. 30/15, საკადასტრო კოდი – №...,, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გ-ი, საკადასტრო კოდი – №...) და მ. ს-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე მდებარე, თბილისი გ-ის ქ. 30, საკადასტრო კოდი – №....

განმცხადებლის განმარტებით, თავისმა მეუღლემ, მ. ა-ემ, მისივე დავალებით კ. შ-ის გადასაცემად კ. შ-ას მეუღლეს – მ. ს-ეს ჩაურიცხა 110 000 აშშ დოლარი მის პირად ანგარიშზე. ანგარიშზე ჩარიცხული თანხიდან თანხების გამოტანა ხდებოდა, როგორც კ. შ-ას ასევე მისი მეუღლის მ. ს-ის მიერაც. 2012 წლის 24 ივნისს მ. ს-ემ თავის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონება (მდებარე ქ. თბილისი, გ-ის ქ. 30/15 (ნაკვ. 005/013), ზონა – თბილისის 01, სექტორი – მთაწმინდა 15, კვარტალი 05, ნაკვეთი 005/013, ნაკვეთის საკუთრების ტიპი – თანასაკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი – 1069.00 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი – 05. შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი – №1-დან №7-ის ჩათვლით. საკადასტრო კოდი ....) და უძრავი ქონება (მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გ-ი ზონა ლანჩხუთი 27, სექტორი – სუფსა 15, კვარტალი 42, ნაკვეთი 327, ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დაზუსტებული ფართობი – 300.00 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი – ...შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი – შენობა-ნაგებობა, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – №...) გააჩუქა საკუთარ შვილზე ნ. შ-ას სახელზე. განმცხადებელმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1158-ე, 1159-ე, 1169-ე და 1170-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტა, რომ კ. შ-ას მეუღლის მ. ს-ის სახელზე ირიცხებოდა ზემოაღნიშნული უძრავი ქონება, რაც წარმოადგენდა მათი ქორწინების პერიოდში შექმნილ საერთო საკუთრებას და მისი ფლობა-სარგებლობა და განკარგვა უნდა მომხდარიყო ურთიერთშეთანხმებით. უძრავი ქონება რიცხული მ. ს-ის სახელზე ჩუქების ხელშეკრულებით გადავიდა მისი შვილის ნ. შ-ას საკუთრებაში. ჩუქების ხელშეკრულება კ. შ-ას მეუღლესა და შვილს შორის დაიდო მოსაჩვენებლად; იმ მიზნით, რომ კ. შ-სა და მ. ს-ეს შემდგომი ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით გადაერჩინათ მოცემული ქონება, შესაბამისად, არსებობს ალბათობა იმისა, რომ შესაძლებელია ქონების გასხვისება, რითაც მას ხელი შეეშლება სასამართლოს მიერ მის სასარგებლოდ მოპასუხეზე დაკისრებული ზიანის ანაზღაურებაში, რის გამოც ა. ი-ემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე მითითებით, მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 დეკემბრის განჩინებით ა. ი-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაზეც 2012 წლის 10 დეკემბერს ა. ი-ემ საჩივრი წარადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოში და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება შემდეგი დასაბუთებით:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის 2-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი დასაშვებად მიიჩნევს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ქონებაზე, რომელიც შესაძლებელია მოპასუხეს ეკუთვნოდეს, ქონება იყოს მასთან ან სხვა პირთან. საჩივრის ავტორის განმარტებით, სწორედ ამ ნორმით გათვალისწინებულ „სხვა პირს“ წარმოადგენს კ. შ-ა და მისი შვილი, რადგან კ. შ-ამ და მისმა მეუღლემ – მ. ს-ემ წინასწარი განზრახვით, ქონების მოსალოდნელი დაკარგვის შიშით, შვილზე გააფორმეს თავიანთი ქონება. შესაბამისად, კ. შ-ას შვილი – ნ. შ-ა, მიჩნეულ უნდა იქნას საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ „სხვა პირად“, რომლის მფლობელობაშიც იმყოფება ქონება. სასამართლოს მიერ სწორად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ კ. შ-ამ ა. ი-ან უკანონოდ მიღებული თანხა თავის მეუღლის ანგარიშზე განათავსა; მეუღლეები თანაცხოვრების პერიოდში ერთად იყენებდნენ ამ თანხებს და მათ მოჩვენებითი გარიგებით, ჩუქების ხელშეკრულებით გადააფორმეს ქონება შვილზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 დეკემბრის განჩინებით ა. ი-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო და საქმის მასალებთან ერთად გადმოგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა ა. ი-ის საჩივარი და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით, ხოლო 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებაზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანი მოსარჩელის ინტერესებს ემსახურება და ადგენს მყარ გარანტიას იმისა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს გადაწყვეტილების აღსრულება. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შესაძლოა დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

ამავე კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალაქებსა თუ ფულად სახსრებზე, რომელიც ეკუთვნის მოპასუხეს და არის მასთან ან სხვა პირთან.

განსახილველ შემთხვევაში აპელანტ ა. ი-ის დავის საგანს წარმოადგენდა მოაპსუხეებისათვის: კ. შ-ას, ე. გ-ის, მ. ა-სა და ტ. შ-ის, მის სასარგებლოდ, თანხის დაკისრება.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერებით დადგინდა, რომ უძრავი ქონება, რომელზედაც უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებას მოითხოვდა ა. ი-ე, ირიცხებოდა ნ. შ-ას (მდებარე: თბილისში გ-ის ქ. 30/15, საკადასტრო კოდი – №... და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გ-ი, საკადასტრო კოდი – №...) და მ. ს-ის სახელზე (თბილისში გ-ის ქ. 30, საკადასტრო კოდი – №...), რაც ცხადყოფს, რომ ვინაიდან სარჩელი არ იყო მიმართული ნ. შ-სა და მ. ს-ის წინააღმდეგ, ხოლო სააპელაციო სასამართლო საქმეს განიხილავდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის გამოყენება იმ პირთა ქონებაზე, რომლებიც არ წარმოადგენდნენ მოცემული დავის მოპასუხეებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უსაფუძვლო იყო, ვინაიდან მითითებული ნორმიდან გამომდინარე, უზრუნველყოფის ღონისძიებად ყადაღა შეიძლება დადებულ იქნას უშუალოდ მოპასუხის ქონებაზე, რაც შესაბამისი მტკიცებულების წარდგენით უნდა იქნას დადასტურებული, თუმცა აღნიშნული ქონება შეიძლება იმყოფებოდეს მასთან ან სხვა პირთან. განსახილველ შემთხვევაში კი, ა. ი-ის მიერ მითითებული ქონება, რომელზეც იგი ითხოვდა ყადაღის დადებას, არ წარმოადგენდა მოპასუხის საკუთრებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ა. ი-ის კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, ქვეპუნქტით, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ა. ი-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 დეკემბრის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი**

**განჩინება**

№ას-1561-1561-2011

26 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

საჩივრის დავის საგანი: გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 აპრილის განჩინებით დაკმაყოფილდა მ. ს-ის 4.04.2011წ. განცხადება, რომლითაც მან მოითხოვა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება; ყადაღა დაედო ს. ხ-ე-ს-ის საკუთრებაში არსებულ, ქუთაისში, კ-ას ქ. №31-ში მდებარე უძრავ ქონებას, აგრეთვე, ქ. ქუთაისში, ფ-ის ქ. №31-ში და ლ-ის ქ. №5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო ფართს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მაისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ს. ხ-ე-ს-ის საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 აპრილის განჩინებაზე. კერძოდ, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 აპრილის განჩინებამ ნაწილში, რომლითაც ყადაღა დაედო ს. ხ-ე-ს-ის საკუთრებაში არსებულ, ქ.ქუთაისში, ფ-ის ქ.№31-ში და ლ-ის ქ.№5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო ფართს; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად; მ. ს-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ს. ხ-ე-ს-ის საკუთრებაში არსებული, ქ.ქუთაისში, ფ-ის ქ.№31-ში და ლ-ის ქ.№5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო ფართის დაყადაღების თაობაზე დაკმაყოფილდა; ყადაღა დაედო ს. ხ-ე-ს-ის საკუთრებაში არსებულ, ქ.ქუთაისში, ფ-ის ქ.№31-ში და ლ-ის ქ.№5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო ფართს; მ. ს-ეს ს. ხ-ე-ს-ისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების მიზნით დაევალა, განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე 50000 ლარის შეტანა.

მოგვიანებით, იმის გათვალისწინებით, რომ მ. ს-ემ ზემოაღნიშნული განჩინებით დადგენილ ვადაში არ განახორციელა მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 24 ივნისის განჩინებით გააუქმა მის მიერ 2011 წლის 31 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, კერძოდ, ყადაღა მოეხსნა ს. ხ-ე-ს-ის საკუთრებაში არსებულ, ქ.ქუთაისში, ფ-ის ქ.№31-ში ბ-ის ქუჩა (ყოფილი ფ-ი) და ლ-ის ქ.№5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო ფართს.

2011 წლის 14 ივნისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა მ. ს-ემ, რომელმაც მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლა, კერძოდ, უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების ნაცვლად, ს. ხ-ისათვის ქ.ქუთაისში, ფ-ის ქ.№31-სა და ლ-ის ქ.№5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო ფართის რეალიზაციის აკრძალვა ნებისმიერი ფორმით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის განჩინებით მ. ს-ის განცხადება დაკმაყოფილდა: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 აპრილის განჩინებით ს. ხ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (ქ.ქუთაისში, კ-ას ქ.№31-ში მდებარე უძრავი ქონება, აგრეთვე, ქ.ქუთაისში, ფ-ის ქ.№31-ში ბ-ის ქუჩა (ყოფილი ფ-ი) და ლ-ის ქ.№5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო ფართი) სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით დადებული ყადაღა შეიცვალა სარჩელის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებით, კერძოდ: ს. ხ-ეს აკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ.ქუთაისში, კ-ას ქ.№31-ში მდებარე უძრავი ქონება, აგრეთვე, ქ.ქუთაისში, ფ-ის ქ.№31-ში ბ-ის ქუჩა (ყოფილი ფ-ი) და ლ-ის ქ.№5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო ფართი) რეალიზაცია ნებისმიერი ფორმით, ასევე სესხის უზრუნველსაყოფად მისი დატვირთვა ნებისმიერი ფორმით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 8 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ამავე სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის განჩინებაზე წარდგენილი ს. ხ-ის საჩივარი და იგი გადაეგზავნა ზემდგომ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 აგვისტოს განჩინებით ს. ხ-ე-ს-ის საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისისა და 2011 წლის 8 ივლისის განჩინებები.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მართალია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა იცნობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის ინსტიტუტს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა არსებობდეს რაიმე სახის უზრუნველყოფის ღონისძიება. კონკრეტულ შემთხვევაში საქმეზე დგინდებოდა, რომ ს. ხ-ის საკუთრებაზე, მ. ს-ის მოთხოვნით არსებული უზრუნველყოფის ღონისძიება კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 24 ივნისის განჩინებით გაუქმდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ს. ხ-ე-ს-ის საჩივარი დაკმაყოფილებას, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისისა და 2011 წლის 8 ივლისის განჩინებები გაუქმებას ექვემდებარებოდა.

მ. ს-ემ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა მოპასუხე ს. ხ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ ძირითადი თანხის – 43800 აშშ დოლარისა და ყოველთვიურად ძირითადი თანხის 10%-ის დაკისრება გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

სარჩელის თანახმად, მ. ს-ეს 2011 წლის 28 მარტის მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე ზ. კ-ასაგან გადაეცა მოთხოვნის უფლება 2010 წლის 15 თებერვალს კრედიტორ ზ. კ-ასა და მოვალე ს. ხ-ეს შორის დადებული სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე. ზ. კ-ასა და ს. ხ-ეს შორის დადებული სესხის ხელშეკრულების მიხედვით, ზ. კ-ამ ს. ხ-ეს ასესხა 62800 აშშ დოლარი, რომელიც უნდა დაებრუნებინა 2010 წლის 15 ივლისამდე. მოვალემ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ვალდებულება არ შეასრულა. ამ უკანასკნელმა მიღებული თანხიდან 2010 წლის 13 დეკემბერს ზ. კ-ას გადაუხადა მხოლოდ 19000 აშშ დოლარი.

მოგვიანებით, ს. ხ-ემ იმავე სასამართლოში წარადგინა შეგებებული სარჩელი მოპასუხეების – მ. ს-ის და ზ. კ-ას მიმართ. შეგებებულმა მოსარჩელემ მოითხოვა მასა და ზ. კ-ას შორის არსებული სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებულად (ვალის გადახდილად) აღიარება, 2010 წლის 13 დეკემბრის ხელწერილის ბათილად ცნობა, მოთხოვნის დათმობის შესახებ 2011 წლის 28 მარტის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ზ. კ-ასათვის ზიანის სახით 36000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ს. ხ-ეს მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა ძირითადი თანხის – 43800 აშშ დოლარის და ამ თანხის 10%-ის გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე. ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ს. ხ-ის შეგებებული სარჩელი. გადაწყვეტილებითვე მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა უზრუნველყოფის ღონისძიების განცხადებაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 50 ლარი და სახელმწიფო ბაჟი – 1314 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, შეგებებულ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩა სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ხ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

2011 წლის 30 აგვისტოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა მ. ს-ემ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, მესაკუთრე ს. ხ-ისათვის ქ.ქუთაისში, ფ-ის ქ.№31-სა (ბ-ის ქუჩა, ყოფილი ფ-ი) და ლ-ის ქ.№5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო ფართის რეალიზაციის ნებისმიერი ფორმით აკრძალვა, აგრეთვე, სესხის უზრუნველსაყოფად მისი დატვირთვა ნებისმიერი ფორმით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 აგვისტოს განჩინებით მ. ს-ის განცხადება დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით ს. ხ-ეს-ს აკრძალა ქ.ქუთაისში, ფ-ის ქ.№31 ბ-ის ქუჩა (ყოფილი ფ-ის ქუჩა მე-3 შესახვევი) №1, ლ-ის ქ.№5-ში მდებარე, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების – არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (საკადასტრო კოდი №...) გასხვისება, ასევე სესხის უზრუნველყოფის მიზნით ნებისმიერი ფორმით უფლებრივი დატვირთვა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ თანხის დაკისრება, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ს. ხ-ე-ს-ეს მ. ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის – 43800 აშშ დოლარის და ამ თანხის 10%-ის გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თუკი გადაწყვეტილება შევიდოდა კანონიერ ძალაში და მის აღსრულებამდე მოპასუხე გაასხვისებდა უძრავ ქონებას, შესაძლოა მოპასუხეს აღარ აღმოჩენოდა გადაწყვეტილების აღსრულებისათვის საჭირო ღირებულების ოდენობის ქონება, რაც გაართულებდა ან შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თუკი გამოყენებული არ იქნებოდა ისეთი სახის უზრუნველყოფის ღონისძიება, რაც მოპასუხეს აუკრძალავდა სადავო ქონების უფლებრივ დატვირთვას და მოპასუხე სესხის უზრუნველსაყოფად უძრავ ქონებას დატვირთავდა იპოთეკით, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, იპოთეკარის უპირატესობის გათვალისწინებით გაძნელებდებოდა ან შეუძლებელი გახდებოდა მოცემულ საქმეზე სამომავლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია განმცხადებლის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა აუცილებელი იყო.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 31 აგვისტოს განჩინება ს. ხ-ემ გაასაჩივრა საჩივრით. მან მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული განჩინება კანონშეუსაბამო იყო, ვინაიდან სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ იმავე მოთხოვნაზე, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად დაუშვებელს ხდიდა მ. ს-ის განცხადებას გადაწყვეტილების უზრუნველყოფის თაობაზე. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სასამართლომ არავითარი ზომები არ მიიღო მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ასეთი უზრუნველყოფის გამოყენების წინაპირობები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით ს. ხ-ის საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით ირკვეოდა, რომ აღნიშნულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 24 ივნისის განჩინებით გაუქმდა ს. ხ-ე-ს-ის მიმართ წარდგენილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა ს. ხ-ე-ს-ის საკუთრებაში არსებულ, ქ.ქუთაისში, ფ-ის ქ.№31 ლ-ის ქ.№5-ში მდებარე უძრავ ქონებას.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალაქებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა. ამავე კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლოსათვის იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე ხელმოკრულ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რაც გასაჩივრდება საჩივრით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მითითებული ნორმის დაუშვებელია იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე და იმავე საფუძვლით სარჩელის უზრუნველყოფის ერთი და იმავე ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადების წარდგენა.

ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 24 ივნისის განჩინებით გადაწყდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონებაზე ყადაღის დადების საკითხი, ხოლო მ. ს-ის ამჟამინდელ მოთხოვნას წარმოადგენდა არა სარჩელის იმავე ღონისძიების გამოყენება, არამედ მისი სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა და უზრუნველყოფის ღონისძიების სახით 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სხვა ღონისძიების გამოყენება (მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა), სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, რაც გამორიცხავდა ს. ხ-ე-ს-ის საჩივრის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ს. ხ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე ს. ხ-ეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის – 43800 აშშ დოლარის და ამ თანხის 10%-ის გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

მ. ს-ის 2011 წლის 30 აგვისტოს განცხადების საფუძველზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 აგვისტოს განჩინებით საქალაქო სასამართლოს ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით ს. ხ-ე-ს-ის აკრძალა ქ.ქუთაისში, ფ-ის ქ.№31 ბ-ის ქუჩა (ყოფილი ფ-ის ქუჩა მე-3 შესახვევი) №1, ლ-ის ქ.№5-ში მდებარე, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების – არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (საკადასტრო კოდი №...) გასხვისება, ასევე სესხის უზრუნველყოფის მიზნით ნებისმიერი ფორმით უფლებრივი დატვირთვა.

საჩივრის ავტორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას იმ მოტივით, რომ მოცემულ საქმეზე ერთხელ უკვე იყო გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ის ღონისძიება, რომლის გამოყენებაც მოხდა გასაჩივრებული განჩინებით. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აღნიშნული წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს საჩივრის ავტორის აღნიშნულ მოსაზრებას, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული შემთხვევა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლოსათვის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

მითითებული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვის აკრძალვა ეხება განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის იმავე სახის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, რომლის დაკმაყოფილებაზეც განმცხადებელს ერთხელ უკვე ეთქვა უარი.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დგინდება, რომ მ. ს-ემ სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა მოპასუხის უძრავი ქონებაზე ყადაღის დადება, რაც დაკმაყოფილდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 აპრილის განჩინებით. ხსენებულ განჩინებაზე საჩივრის განხილვის ფარგლებში გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება (ყადაღა) გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ივნისის განჩინებით. ამის შემდეგ მ. ს-ემ განცხადებით მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის (ყადაღის) შეცვლა უზრუნველყოფის ღონისძიების მეორე სახით, კერძოდ, მოპასუხისათვის უძრავი ქონების გასხვისების და სესხის უზრუნველსაყოფად ამ ქონების ნებისმიერი ფორმით დატვირთვის აკრძალვით. მოსარჩელის აღნიშნული მოთხოვნა, მართალია, დაკმაყოფილდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის განჩინებით, მაგრამ მოპასუხის საჩივრის საფუძველზე მითითებული განჩინება გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 აგვისტოს განჩინებით. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის საფუძველი, ვინაიდან გაუქმებული იყო და აღარ არსებობდა უზრუნველყოფის ღონისძიების ის სახე (ყადაღა), რომლის შეცვლასაც განმცხადებელი ითხოვდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლაზე და, შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიებად მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების აკრძალვაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა არა არსებითი საფუძვლით, კერძოდ, რომ არ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, არამედ – ფორმალური საფუძვლით. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა კერძო საჩივრის ავტორის მითითება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ამ ნორმის გამოყენება



ნების წინაპირობა არ არსებობს, რადგან სახეზე არაა იგივე განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, რომლის დაკმაყოფილებაზეც განმცხადებელს ერთხელ უკვე ეთქვა უარი.

საჩივრის ავტორის პრეტენზია მდგომარეობს ასევე იმაში, რომ სასამართლომ არავითარი ზომები არ მიიღო მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ასეთი უზრუნველყოფის გამოყენების წინაპირობები.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს საჩივრის ავტორის აღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი, მართალია, ითვალისწინებს მოპასუხის განცხადების საფუძველზე სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების შესაძლებლობას, მაგრამ ამავე ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი დაასაბუთებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოსალოდნელი ზარალის არსებობის ფაქტს. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო იმ გარემოებათა დამტკიცება, რომელიც დაასაბუთებდა უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების აუცილებლობას. კერძოდ, საჩივრის ავტორი ვერ ასაბუთებს, რომ სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით (მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვით) მას ადგება ზიანი, რისი მტკიცების ტვირთიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.1 და 103.1 მუხლების შესაბამისად, სწორედ მას აკისრია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი საჩივარი დაუსაბუთებელია და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 419-ე-420-ე მუხლებით და

#### და ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ხ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 აგვისტოს განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა**

#### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1185-1114-2012

13 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების – ყადაღის საგნის შეცვლა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ც. გ-ის მიმართ უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად მიღებული თანხის ანაზღაურების თაობაზე. მ. მ-მა ასევე მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის სახით ყადაღა დაედო ც. გ-ის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, რადგან მოპასუხეს გააჩნდა დავალიანება 27738.6 ლარი. არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი და საშიშროება იმისა, რომ მოპასუხე თავის ქონებას გაასხვიებდა, რაც გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელე მ. მ-ის განცხადება დაკმაყოფილდა. ყადაღა დაედო ც. გ-ის (პ/ნ ...) თანასაკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, გ-ას გამზირი 36-ში მდებარე უძრავ ქონებას, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 1675.00კვ.მ, ნაკვეთის წინა ნომერი 12, შენობა-ნაგებობები №1.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

2012 წლის 28 ივნისს ც. გ-ის წარმომადგენელმა ზ. ყ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ყადაღის გაუქმება ქ. თბილისში, გ-ას გამზირ №36-ში მდებარე უძრავ ქონებაზე და მ. მ-ის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღა დაედო ქ. თბილისში, გ-ის ქ. №60-ში მდებარე უძრავი ქონებიდან ც. გ-ის თანასაკუთრებაში არსებულ 1/2 ნაწილზე შემდეგი დასაბუთებით: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მოსარჩელე მ. მ-ის განცხადება და ყადაღა დაედო მოპასუხე ც. გ-ის თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას – მდებარე, ქ. თბილისში, გ-ას გამზირ №36-

ში. დაყადაღებული უძრავი ქონება წარმოადგენდა მოპასუხე ც. გ-სა და მ. კ-ის თანასაკუთრებას 1/2 და 1/2 პროპორციით. მათი წილები არ იყო გამიჯნული. მითითებული ფართი 2012 წლის 4 მაისის იჯარის ხელშეკრულებით, 3 წლის ვადით, გადაეცა შპს „ს. და კ-ას“, რომელმაც აღნიშნულ ფართში ჩაატარა ძვირადღირებული სარემონტო სამუშაოები და კომერციული საქმიანობის დაწყების მიზნით, ესაჭიროებოდა საიჯარო ფართის ფასადის რეკონსტრუქცია, რაც ვერ ხერხდებოდა ქონებაზე ყადაღის არსებობის გამო. ასეთ ვითარებაში, მნიშვნელოვან ზარალს განიცდიდა როგორც მოპასუხე ც. გ-ი, ისე დაყადაღებული ქონების მეორე თანამესაკუთრე (მ. კ-ე, რომელიც არ იყო მხარე საქმეში) და მოიჯარე კომპანია. ამასთან, განმცხადებელმა მოითხოვა მიღებული განჩინების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა, ვინაიდან, დაყოვნებას შესაძლებელია გამოეწვიო ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტა, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა მოპასუხეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ივნისის განჩინებით ც. გ-ის წარმომადგენელ ზ. ყ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ დაკმაყოფილდა, ამავე სასამართლოს 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო ც. გ-ის თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, მდებარე, ქ. თბილისში, გ-ას გამზირ №36-ში, შენობა-ნაგებობები №1, შეიცვალა დაედა დაედო ც. გ-ის თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, ც. გ-ის 1/2 ნაწილს, მდებარე, ქ. თბილისში, ტ-ის ქ. №60-ში, დაზუსტებული ფართობი: 763.00 კვ.მ, ნაკვეთის წინა №25, შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი №1, №2, №3, №4, №5, №6, №7 და განჩინება გადაეცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მოსარჩელე მ. მ-ის განცხადება და ყადაღა დაედო მოპასუხე ც. გ-ის თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას მდებარე, ქ. თბილისში, გ-ას გამზირ №36-ში. განსახილველი სარჩელის ღირებულება შეადგენდა 27738.6 ლარს, რომლის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხე ითხოვდა, თბილისში, გ-ას გამზირ №36-ში არსებული დაყადაღებული უძრავი ქონების ჩანაცვლებას თბილისში, ტ-ის ქ. №60-ში მდებარე უძრავი ქონებით. დავის საგნის ღირებულებისა და სანაცვლოდ შემოთავაზებული დასაყადებელი ქონების სავარაუდო საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, ასევე, მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილების მიზნით, სააპელაციო პალატამ ადეკვატურად მიიჩნია სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის, 196-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებისა და 268-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ წარმოდგენილი განცხადება ჩათვალა დასაბუთებულად და დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა მ. მ-ის წარმომადგენელმა მ. ლ-ამ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა დასაშვებია მხარეთა თხოვნით, ანუ ორივე მხარის თხოვნით. განსახილველ შემთხვევაში კი, სასამართლომ მხოლოდ ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე დააკმაყოფილა განცხადება. ამასთან, სასამართლომ ვერ მიუთითა კონკრეტული ნორმა და გამოიყენა კანონის ანალოგია. საჩივრის ავტორმა ასევე მიიჩნია, რომ უზრუნველყოფის ახალი საგანი არ იყო საკმარისი მ. მ-ის ინტერესის დასაკმაყოფილებლად, ვინაიდან, ც. გ-ის თანასაკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, გ-ას 36-ში მდებარე უძრავი ქონების დაზუსტებული ფართობი იყო 1675.00 კვ.მ, 1 შენობა-ნაგებობით, კაპიტალურად გაკეთებული და გარემონტებული კომერციული ფართი, ხოლო თბილისში, ტ-ის ქ. №60-ში მდებარე ც. გ-ის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება 763.00 კვ.მ-ია, გააჩნია 7 შენობა-ნაგებობა, არის გაუმიჯნავი, დანგრევის პირას მყოფი, ძველებური საცხოვრებელი სახლი იტალიურ ეზოში. გასაჩივრებულ განჩინებაში უზრუნველყოფის ძველი და ახალი საგნის მიმართ მითითებული იყო ერთი და იგივე საკადასტრო კოდი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 ივლისის განჩინებით ძალაში დარჩა გასაჩივრებული განჩინება შემდეგი დასაბუთებით: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. აღნიშნული ინსტიტუტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა წინასწარი და დროებითი ხასიათის ღონისძიებაა და ხდება დარღვეული ან სადავო უფლების შესახებ სასამართლოს არსებითი მსჯელობისაგან დამოუკიდებლად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა დასაშვებია მხოლოდ ორივე მხარის ერთდროული თხოვნის არსებობის შემთხვევაში. პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზოგადი ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის 1-ლი ნაწილი მითითებული „მხარეთა თხოვნა“ გულისხმობს ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობას უზრუნველყოფის ერთი საგნის მეორეთი შეცვლის თაობაზე, რაც საკმარისი პროცესუალური საფუძველია სასამართლოს მიერ მითითებული ნორმის გამოსაყენებლად. პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითება მასზე, რომ უზრუნველყოფის ახალი საგანი არ არის საკმარისი მ. მ-ის ინტერესის დასაკმაყოფილებლად. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით ც. გ-ს, მ. მ-ის სასარგებლოდ, დაეკისრა 20 891.8 ლარის გადახდა. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ივნისის განჩინებით, ქ. თბილისში, ტ-ის ქ. №60-ში მდებარე უძრავი ქონებით, რომლის დაზუსტე-

ბული ფართობი 763.00 კვ.მ-ია, უზრუნველყოფილ იქნა 20 891.8 ლარის ღირებულების დავის საგანი. დავის საგნის ღირებულებისა და სანაცვლოდ შემოთავაზებული დასაყადებელი ქონების სავარაუდო საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, ასევე, მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილების მიზნით, პალატამ ადეკვატურად მიიჩნია სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, აუცილებელია მხარეთა ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, რაც უნდა გამორიცხავდეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხის შესაძლო დაზარალების ვარაუდს.

გასაჩივრებულ განჩინებაში უზრუნველყოფის ძველი და ახალი საგნის ერთი და იგივე საკადასტრო კოდით მითითებასთან დაკავშირებით, პალატამ მიუთითა ამავე სასამართლოს 2012 წლის 28 ივნისის განჩინებაზე, რომლის შესაბამისადაც ქ. თბილისში, გ-ას გამზირ №36-ში მდებარე უძრავი ქონების საკადასტრო კოდია №..., ხოლო ქ. თბილისში, ტ-ის ქ. №60-ში მდებარე უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - ... შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოსაზრება, განჩინებაში არასწორი საიდენტიფიკაციო კოდების მითითების შესახებ, პალატამ არ გაიზიარა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ის წარმომადგენელ მ. ლ-ას საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებები გაუქმდეს და საქმე იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩინდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

დასახელებული ნორმით, მოსარჩელე მხარეს შეუძლია, სადავოდ გამხდარი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფა. ამავდროულად, მოსარჩელემ დამაჯერებლად უნდა დაასაბუთოს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და დაარწმუნოს სასამართლო, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის მტკიცების ტვირთს, მართალია, მოსარჩელეს აკისრებს, თუმცა ადგენს, რომ სასამართლოს სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნას სარჩელი, ამასთან, მიუხედავად შუამდგომლობის ავტორის მითითებისა, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭიროა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, იგი არაა შეზღუდული, თავად გადაწყვიტოს უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება იქნება უფრო ეფექტური. აღნიშნულის სწორად გადაწყვეტის წინაპირობა კი სწორედ უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტერესების შესაძლო შელახვისა და სარჩელის საფუძვლიანობის წინაპირობების ურთიერთშეჯერება და ერთობლიობაში განხილვა-გადაწყვეტაა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული მოქმედებები პირდაპირ უკავშირდება რა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს და მხარეთა მატერიალურ უფლებებს, მასთან დაკავშირებული რისკი მომეტებულია, რის გამოც სასამართლოსგან საკითხის მაქსიმალურად სწრაფი და სწორი გადაწყვეტისთვის სპეციფიკური და განსაკუთრებული საკანონმდებლო დანაწესებია გათვალისწინებული.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო, დარწმუნდა რა სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობაში, 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინებით მ. მ-ის განცხადება დაკმაყოფილდა და ქ. თბილისში, გ-ას გამზირ №36-ში ც. გ-ის თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას ყადაღა დაედო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ივნისის გასაჩივრებული განჩინებით ც. გ-ის წარმომადგენელ ზ. ყ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების - ყადაღის საგანი შეიცვალა სხვა საგნით - სხვა მისამართზე მდებარე უძრავი ნივთით. განჩინება დაუყოვნებლივ აღსარულულად გადაეცა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. იმავე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე.

აღნიშნული ნორმით კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლას საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დასაშვებად მიიჩნევს, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხე მხარის მოთ-

ხოვნით და მისი სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო პროცესის სუბიექტთა ინტერესების სრულყოფილი დაცვა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებაა. სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებიდან გამომდინარე, კანონმდებელი გონივრულად ვარაუდობს, რომ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შესაძლო უარყოფითი შედეგები დასაშვებია, გამოვლინდეს საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, მხარე თავად წყვეტს, თუ როდის მოითხოვოს აღნიშნული ცვლილების განხორციელება სასამართლოს მიერ და მას ამ ღონისძიების შეცვლის მოთხოვნის უფლება ენიჭება საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, როდესაც საჭიროდ ჩათვლის. კანონი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით ითვალისწინებს რა მოპასუხის საფუძველიან შიშს, უზრუნველყოფის ღონისძიების შესაძლო არამართებულობაზე (სარჩელის დაუკმაყოფილებლობა), მოპასუხის ინტერესების დაცვის სხვადასხვა სამართლებრივ ბერკეტებს (მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა) ადგენს, მათ შორის, საჩივრის ავტორის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, მოპასუხეს აძლევს შესაძლებლობას, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დათქმა მხარეთა თხოვნით სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის თაობაზე არ შეიძლება განიმარტოს მხოლოდ ორივე მხარის თხოვნის აუცილებლობით, რადგან გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის თანმდევი ტვირთი და რისკი ორივე მხარეს აქვს. შესაბამისად, თუკი ესა თუ ის მხარე კონკრეტულ საქმეში ასაბუთებს გამოყენებული უზრუნველყოფის უპერსპექტივობას, მაგალითად, ღირებულების დაკარგვის ან პირიქით, მის სასარჩელო მოთხოვნასთან შეუსაბამობით, მას მონიშნაღმდეგე მხარის თანხმობის გარეშე შეუძლია, მოსთხოვოს სასამართლოს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა.

მოცემულ შემთხვევაში, მართალია, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ შეცვლილა, არამედ შეიცვალა უზრუნველყოფის საგანი, რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დამოუკიდებლად არ არეგულირებს, მაგრამ ასეთი შემთხვევაც მითითებული ნორმის საფუძველზე უნდა დარეგულირდეს, რაც სასამართლოსაგან მოსარჩელის მოთხოვნასა და მოპასუხის კანონით დაცვად ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დაცვას მოითხოვს.

სასამართლოს სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებაში ცვლილების შეტანა გამართლებულია და გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხების, თუ შეუძლებლობის საფრთხე არ დასტურდება. აღნიშნულის გადაწყვეტის წინაპირობა უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტერესების შესაძლო შელახვისა და სარჩელის საფუძველიანობის წინაპირობების ურთიერთშეჯერება და ერთობლივად განხილვა-გადაწყვეტაა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ მოცემულ შემთხვევაში, გამოყენებულ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაში ყოველგვარი დასაბუთებისა და ამ საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებული რისკების გამორიცხვის გარეშე შეიტანა ცვლილება. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტი, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი დაყადაღებული ქონების ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი და შესაბამისად, ვერ დასტურდება, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სრულად იქნება უზრუნველყოფილი გადაწყვეტილების აღსრულება დაყადაღებული ქონებიდან. ამ მიმართებით ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ დავის საგნის ღირებულებისა და სანაცვლოდ შემოთავაზებული დასაყადაღებელი ქონების სავარაუდო საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლა ადეკვატურია. სასამართლოს ასეთი დასკვნა ობიექტური მდგომარეობით – ყადაღის საგნის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტით, და არა მოსამართლის მიხედვლებით უნდა დადგინდეს.

გასაჩივრებული განჩინება მოტივირებულია რა მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილების მიზნით, სააპელაციო პალატა აღნიშნულის დასტურად უთითებს საქმეში წარმოდგენილ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის არქიტექტურის სამსახურის №194096 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც განმცხადებლის მოთხოვნა ქ. თბილისში, გ-ას გამზირ №36-ში ფართის ფასადის რეკონსტრუქციის თაობაზე არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ ობიექტს ყადაღა ადევს. ამავე გადაწყვეტილებით აქტის გამოცემი ორგანო ალტერნატივის სახით დამყადაღებლის თანხმობის წარდგენის შემთხვევაში შესაძლებლად მიიჩნევს ნებართვის გაცემას. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არც ყადაღადაღებულ ფართზე ფასადის რეკონსტრუქციაზე დამყადაღებელ – მ. მ-ის ნება არ გამოარკვია და არც ყადაღის საგნის შეცვლაზე მოსარჩელის მოსაზრებით არ დაინტერესდა, რითაც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის ძირითადი პრინციპები და საკანონმდებლო მოთხოვნები დაარღვია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ივნისისა და 2012 წლის 25 ივლისის განჩინებები უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:  
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მეოთხე, 419-ე, 420-ე, მუხლით და

მ. მ-ის წარმომადგენელ მ. ლ-ას საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.  
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ივნისი-სა და 2012 წლის 25 ივლისის განჩინებები და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

### ბანჩინება

№ას-516-490-2011

14 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

ფ. ძ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. რ-ის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: 2008 წლის 11 ოქტომბერს ქ. ძ-სა და ფ. ძ-ს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფილ იქნა ქ. ძ-ის კუთვნილი ქონებით, მდებარე ქ. თბილისი, ბ-ის ქ. №65-ში. ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ყველა დავა უნდა გადაწყვეტილიყო არბიტრაჟში ან სასამართლოში მიმართვის გზით. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით იპოთეკა დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. სესხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2009 წლის 11 იანვარი, თუმცა ქ. ძ-მა ვალდებულება არ შეასრულა, ამიტომ, კუთვნილი თანხის მისაღებად ფ. ძ-მა მიმართა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს შპს „ბ-ს“. არბიტრაჟის 2009 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით ფ. ძ-ის პრეტენზია დაკმაყოფილდა და ქ. ძ-ს დაეკისრა მის სასარგებლოდ ხელშეკრულების გათვალისწინებული თანხის გადახდა. მოსარჩელე აცხადებს, რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება ასევე დატვირთული იყო პირველი რიგის იპოთეკარის – ვ. რ-ის სასარგებლოდ, კერძოდ, მის მიერ ქ. ძ-ისათვის გაცემული სესხის სანაცვლოდ. როგორც მოსარჩელისათვის გახდა ცნობილი, მოვალემ არც მას დაუბრუნა ნასესხები თანხა, რის გამოც ვ. რ-მა მიმართა მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟ „მართალს“ და მოითხოვა იპოთეკით დატვირთული ქონების მის საკუთრებაში გადაცემა. 2009 წლის 9 თებერვლის არბიტრაჟის გადაწყვეტილებით პრეტენზია დაკმაყოფილდა და ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №65-ში მდებარე უძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცა მოპასუხეს. აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 დღის ვადაში ვ. რ-მა მიმართა მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „მართალს“ და მოითხოვა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის გზით მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყველა იპოთეკის გაუქმება, რაც დაკმაყოფილდა 2009 წლის 12 თებერვლის დამატებითი გადაწყვეტილებით. ფ. ძ-ის განცხადებით, მან მიმართა აღნიშნულ არბიტრაჟს მისი იპოთეკის აღდგენის მიზნით. 2009 წლის 16 მარტის არბიტრაჟის გადაწყვეტილებით იპოთეკა აღდგა.

მოპასუხე ვ. რ-მა სარჩელი არ ცნო და მიუთითა შემდეგი: ვ. რ-სა და ქ. ძ-ს შორის არსებულ ხელშეკრულებაში პირდაპირ იქნა მითითებული, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იპოთეკის საგანი გადავიდოდა კრედიტორის საკუთრებაში. ფ. ძ-ის იპოთეკა წარმოიშვა მისი იპოთეკის შემდეგ. მოპასუხე მიიჩნევს, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დროს იპოთეკარის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ იპოთეკით დატვირთული ქონებიდან. ამდენად, არც კანონისა და არც არბიტრაჟის გადაწყვეტილების საფუძველზე ფ. ძ-ს ვერ ექნებოდა პრეტენზია მის საკუთრებაში გადასული სახლის რეალიზაციაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 1-ლი დეკემბრის გადაწყვეტილებით ფ. ძ-ის სარჩელი ვ. რ-ის მიმართ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფ. ძ-მა.

2010 წლის 9 დეკემბრის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით ფ. ძ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პალატამ სრულად გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2008 წლის 11 ოქტომბერს ქ. ძ-სა და ფ. ძ-ს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფილ იქნა ქ. ძ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, მდებარე ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №65-ში. ზემოთ აღნიშნული სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ქ. ძ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება იპოთეკით იყო დატვირთული ვ. რ-ისა და ქ. ძ-ს შორის არსებული სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად. ხელშეკრულების შესრულების ვადად განისაზღვრა სამი თვე – 2009 წლის 11 იანვარი. ვ. რ-ი წარმოადგენს პირველი რიგის იპოთეკარს. ვ. რ-სა და ქ. ძ-ს შორის არსებული სესხის ხელშეკრულება ითვალისწინებდა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში იპოთეკით დატვირთული ქონების პირდაპირ საკუთრებაში გადაცემას.

მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი „მ-ის“ 2009 წლის 9 თებერვლის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №65-ში არსებული უძრავი ქონება გადავიდა ვ. რ-ის საკუთრებაში.

პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. ძ-ი წარმომადგენდა უძრავი ქონების, მდებარე: თბილისში, ბ-ის ქუჩა №65-ში მესაკუთრეს. აღებული სასესიო ვალდებულებების გამო ქ. ძ-ის კუთვნილი უძრავი ქონება რამდენჯერმე დაიტვირთა იპოთეკით, შემდეგი რიგითობით: I რიგის იპოთეკარი – ვ. რ-ი; II რიგის იპოთეკარი – ე. ფ-ი; III რიგის იპოთეკარი – ხ. კ-ე; IV რიგის იპოთეკარი – ქ. ბ-ე; V რიგის იპოთეკარი – ფ. ძ-ი. ამდენად, მოსარჩელე (აპელანტი) ფ. ძ-ი მესაკუთრე ქ. ძ-ის მიმართ წარმომადგენდა მეხუთე რიგის იპოთეკარს. მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი „მართალის“ 09.02.2009 წლის გადაწყვეტილებით პრეტენდენტ ვ. რ-ის პრეტენზია ქ. ძ-ის მიმართ დაკმაყოფილდა სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე და მის საკუთრებაში გადავიდა მოპასუხე ქ. ძ-ის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული თბილისში, ბ-ის ქ. №65-ში მდებარე უძრავი ქონება. ვ. რ-ი აღირიცხა სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ. საჯარო რეეტრში რეგისტრირებული დარჩა ვ. რ-ის იპოთეკის შემდგომ რეგისტრირებული იპოთეკები. მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი „მართალის“ 12.02.2009 წლის დამატებითი გადაწყვეტილებით გაუქმდა ყველა იპოთეკა და სხვა სანივთო უფლება, რომელიც თბილისში, ბ-ის ქ. №65-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მიმართ წარმოიშვა 29.09.2008 წელს, ანუ ვ. რ-ის მიერ თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იმ დროს ქ. ძ-ის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის იპოთეკით დატვირთვის შემდეგ. მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი „მართალის“ 16.03.2009 წლის განჩინებით შეტანილ იქნა ცვლილება 12.02.2009 წლის დამატებით გადაწყვეტილებაში და აღდგენილ იქნა ფ. ძ-ის იპოთეკა თბილისში, ბ-ის ქუჩა №65-ში მდებარე, ამჟამად უკვე ვ. რ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე. ამდენად, აღდგა მხოლოდ მეხუთე რიგის იპოთეკარი, რომელიც სარჩელით ითხოვს უძრავი ქონების რეალიზაციას შპს იურიდიული კომპანია „ბ-ის“ საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 16.02.2009 წლის გადაწყვეტილებით ქ. ძ-ისათვის დაკისრებული თანხის მიღების მიზნით. სამოქალაქო კოდექსის 268-ე, 290-ე, 300-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ფ. ძ-ის სარჩელი, რაც სრულად გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ფ. ძ-მა და მიუთითა შემდეგი: სასამართლომ უტყუარ ფაქტობრივ გარემოებად ცნო, ის ფაქტი, რომ ფ. ძ-ის სესხი ქ. ძ-ის მიმართ უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, მდებარე თბილისში, ბ-ის ქ. №65-ში, ასევე ის ფაქტი, რომ აღნიშნული ქონების მესაკუთრეს დღეს წარმომადგენს ვ. რ-ი. სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ ვ. რ-ი არის პირველი რიგის იპოთეკარი, რაც ურთიერთგამომრიცხავია და ეწინააღმდეგება ჭეშმარიტად და ობიექტურად არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რაც უტყუარად ადასტურებს ფ. ძ-ის იპოთეკისა და ვ. რ-ის საკუთრების უფლებას აღნიშნულ ქონებაზე.

სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველად უთითებს სამოქალაქო კოდექსის 300-ე მუხლს, შესაბამისად, გამარტივებულია იპოთეკარის სამართლებრივი მდგომარეობა, ვინაიდან, მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის გზით, რაც შეიძლება განხორციელდეს საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული შეთანხმების საფუძველზე. სასამართლო აღნიშნავს, რომ სწორედ ამდაგვარი შეთანხმების საფუძველზე გახდა ვ. რ-ი ქ. ძ-ის კუთვნილი ქონების მესაკუთრე. განსახილველ შემთხვევაში ვ. რ-ს მისი მოთხოვნა უძრავი ქონების რეალიზაციით რომ დაეკმაყოფილებინა, ბუნებრივია, ეს არ გამორიცხავდა ფ. ძ-ის, როგორც მომდევნო რიგის იპოთეკარის დაკმაყოფილებასაც, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსი და კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ არ გამორიცხავს რამოდენიმე კრედიტორის დაკმაყოფილებას მათი რიგითობის მიხედვით. კასატორი არ იზიარებს სასამართლოს მსჯელობას, რომ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში აუქციონის ჩატარება გამოიწვევს საწინააღმდეგო შედეგს, ვინაიდან ნივთის რეალიზაციის შემდეგ შესაძლებელია პირველი რიგის იპოთეკარი დაუკმაყოფილებელი დარჩეს, თუმცა ფაქტია, რომ ვ. რ-მა, თავად იტვირთა რისკი, რასაც იპოთეკით დატვირთული ქონების საკუთრებაში მიღებას მოსდევს, მანვე განკარგა თავისი უფლება, მოთხოვნა დაკმაყოფილებულიყო ქონების იძულებითი რეალიზაციით თუ, სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის შესაბამისად, საკუთრებაში მიღებით.

2011 წლის 15 სექტემბერს ფ. ძ-ის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად გამართულ სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმომადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

ვ. რ-ი კისრულობს ვალდებულებას, 2012 წლის 1 მაისამდე გადაუხადოს ფ. ძ-ს 12000 ევრო.

ფ. ძ-ი კისრულობს ვალდებულებას, 12000 ევროს ვ. რ-ის მიერ გადახდის შემდეგ ორი დღის ვადაში გააუქმოს იპოთეკა და ყადაღა ვ. რ-ის საკუთრებაში არსებულ ბინაზე მდებარე ქ.თბილისში ბ-ის ქუჩა №65-ში.

2012 წლის 5 აპრილს საქართველოს უზენაეს სასამართლოს მომართა ფ. ძ-ის წარმომადგენელმა დემნა მჭედლიშვილმა და მოითხოვა ვ. რ-ის უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ.თბილისში, ბ-ის ქუჩა №65-ში (საკადასტრო კოდი ...) უზრუნველყოფის ღონისძიების – ყადაღის გაუქმება. აღნიშნული განცხადებას თან დაურთო ვ. რ-ის მიერ ფ. ძ-ისათვის შესრულებული ვალდებულების დამადასტურებელი მტკიცებულება, 12 000 ევროს ჩარიცხვის ქვითარი. საკასაციო სასამართლომ, ვერ იმსჯელა წარმოდგენილ განცხადებაზე, ვინაიდან წარმომადგენლის უფლებამოსილებას ვადა ჰქონდა გასული. აღნიშნული ხარვეზის შესახებ ფ. ძ-ის დისშვილს ეცნობა სატელეფონო შეტყობინებით.

2012 წლის 4 მაისს ვ. რ-მა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესს სასამართლოს და მოითხოვა თავის საკუთრებაში არსებული ქონების (მდებარე ბ-ის ქ. №65-ში) ყადაღისაგან განთავისუფლება. აღნიშნულ განცხადებას თან დაურთო ხელწერილი, რომელსაც ხელს აწერს ფ. ძ-ის წარმომადგენელი ხ. ძ-ი და უთითებს, რომ, ვინაიდან, ვ. რ-მა შეასრულა მორიგების აქტით გათვალისწინებული პირობა მას და მის მარწმუნებელს ვ. რ-ის მიმართ პრეტენზია აღარ გააჩნიათ. ამასთან, განცხადებას თან დაურთო თანხის ჩარიცხვის ქვითარი (ასლი).

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 სექტემბრის განჩინებით ფ. ძ-სა და ვ. რ-ს შორის დამტკიცდა მორიგება და საქმეზე შეწყდა წარმოება მორიგების დამტკიცების გამო. მორიგების პირობების თანახმად, ვ. რ-ი კისრულობდა ვალდებულებას, 2012 წლის 1 მაისამდე გადაეხადა ფ. ძ-ისათვის 12000 ევრო. ფ. ძ-ი კისრულობდა ვალდებულებას, 12000 ევროს ვ. რ-ის მიერ გადახდის შემდეგ ორი დღის ვადაში გაეუქმებინა იპოთეკა და ყადაღა ვ. რ-ის საკუთრებაში არსებულ ბინაზე მდებარე ქ.თბილისში ბ-ის ქუჩა №65-ში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 16 სექტემბრის განჩინებით ყადაღა დაედო ვ. რ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №65-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს (სარეგისტრაციო ნომერი ...).

2012 წლის 4 მაისს ვ. რ-მა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესს სასამართლოს და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული ქონების (უძრავი ქონება, მდებარე ბ-ის ქუჩა №65-ში) ყადაღისაგან განთავისუფლება, რადგან მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულებები მხარეთა მიერ შესრულებულია სრულად და მოცემულ დეკლარაციასთან დაკავშირებით ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, ქ.თბილისში, ბ-ის ქ. №65-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს (სარეგისტრაციო ნომერი ...) უნდა მოეხსნას საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 16 სექტემბრის განჩინებით დადებული ყადაღა შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო 191-ე-199<sup>1</sup> მუხლებიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ხანგრძლივობა უკავშირდება საქმეზე წარმოების დასრულებასა და მის შედეგს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობაზე თანდართულია მხარეთა შორის შედგენილი ხელწერილი და თანხის ჩარიცხვის ქვითარი (ასლი), რომლითაც დგინდება, რომ მხარეებს შორის 2011 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული მორიგების პირობა შესრულებულია, კერძოდ, ხ. ძ-მა, როგორც ფ. ძ-ის მინდობილმა პირმა მოვალე ვ. რ-ისაგან მიიღო მორიგების აქტით გათვალისწინებული თანხა 12000 ევრო, რის გამოც მხარეებს ერთმანეთის მიმართ ვალდებულება აღარ გააჩნიათ.

ამდენად, მხარეთა შორის შეთანხმებული მორიგების პირობა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, შესრულდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 16 სექტემბრის განჩინებით მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა გაუქმდეს, კერძოდ, ქ.თბილისში, ბ-ის ქ. №65-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე (სარეგისტრაციო ნომერი ...) ყადაღა უნდა მოიხსნას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>, 399-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. რ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

ქ.თბილისში, ბ-ის ქ. №65-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე, (სარეგისტრაციო ნომერი ...) საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 16 სექტემბრის განჩინებით დადებული ყადაღა მოიხსნას.

მოცემული განჩინების ასლი დადგენილი წესით გაეგზავნოს მხარეებს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა არ საჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

ბანკინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
 შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
 ვ. როინიშვილი,  
 პ. ქათამაძე

დავის საგანი: გარიგების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. გ-ისა და გ. გ-ის მიმართ 2010 წლის 26 იანვრის იპოთეკის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, ქ.თბილისში, ც-ის გასავალ №3-ში მდებარე 219 კვ.მ მიწის ნაკვეთის, ასევე შენობის 1/2-ის მოსარჩელისათვის დაბრუნებისა და საჯარო რეესტრში მის სახელზე აღრიცხვის თაობაზე.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

აღნიშნულ განჩინებაზე ვ. გ-მა წარადგინა საკასაციო საჩივარი, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 მაისის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და დარჩა განუხილველად.

2012 წლის 21 აგვისტოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განცხადებით მიმართა ვ. გ-მა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 10 მაისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება ქ.თბილისში, ც-ის გასავალის №3-ში მდებარე მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 სექტემბრის განჩინებით ვ. გ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 10 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის შემდეგი ღონისძიება: გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვა მოეხსნა ვ. გ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, მდებარე ქ.თბილისში, ც-ის გასავალის №3-ში (საკადასტრო კოდი №...) შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1991 მუხლზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ვ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. იმის გათვალისწინებით, რომ ვ. გ-ის სარჩელი, რომლის უზრუნველსაყოფადაც იქნა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, არ დაკმაყოფილდა, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამავე სასამართლოს 2011 წლის 10 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ძალაში დატოვების კანონით გათვალისწინებული ფაქტობრივი საფუძველი აღარ არსებობდა.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საჩივარი წარადგინა ვ. გ-მა და მოითხოვა მისი სრულად გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 დეკემბრის განჩინებით ვ. გ-ის საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 სექტემბრის განჩინებაზე, დაუსაბუთებლობის გამო, საქმის მასალებთან ერთად, გადმოიგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, საჩივრის ავტორს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის გადახდა შემდეგი გარემოებების გამო:

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად ჩათვალა, რომ საჩივარი დაუსაბუთებელი იყო, რადგანაც მასში არ იყო მითითებული, თუ რაში მდგომარეობდა გასაჩივრებული განჩინების უსწორობა (ფაქტობრივი, ან სამართლებრივი კუთხით). ამასთანავე, პალატამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჩივრის ავტორს უნდა დაკისრებოდა გადაუხდელი სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის გადახდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. გ-ის საჩივარი დაუშვებელია და არ ქმნის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების წინაპირობებს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:



საქმის მასალებით დადასტურებულია და საჩივრის ავტორს სადავოდ არ გაუხდია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. გ-ის სარჩელი 2010 წლის 26 იანვარს დადებული იპოთეკის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და ვ. გ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

უდავოა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლითაც განსაზღვრულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნები და კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ ღონისძიების გამოყენება ემსახურება მოსარჩელის სადავოდ ქცეული უფლების ეფექტურ დაცვას გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების დაბრკოლებისაგან თავდაცვის გზით.

იმ უდავო გარემოების გათვალისწინებით, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურდა მოსარჩელის მიერ სადავოდ გახდილი უფლების უსაფუძვლობა, საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას, რომ არ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ძალაში დატოვების საფუძველი, კერძოდ, არ არსებობდა ის სამართლებრივი რისკი, რის გამოც გამართლებული იქნებოდა მესაკუთრის კონსტიტუციით აღიარებული საკუთრებით სარგებლობის უფლების შეზღუდვის საფუძველი.

რაც შეეხება ვ. გ-ის საჩივარს, საკასაციო პალატა ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია, რადგანაც მასში არ არის მითითებული ის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები, რომლითაც მხარე სადავოდ ხდიდა გასაჩივრებულ განჩინებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ განსახილველად გადმოცემულ საჩივარში მხარის მიერ სადავოდ მიჩნეული განჩინების გაუქმების საფუძვლები არ არის მითითებული, საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი, თავისი ინიციატივით შეამოწმოს დარღვევები, რომელთა თაობაზეც მხარეს პრეტენზია არ განუცხადებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>, 419-ე, 420-ე მუხლებით და

## დ ა ა ღ გ ი ნ ა :

1. ვ. გ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 სექტემბრისა და 2012 წლის 7 დეკემბრის განჩინებები დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

### განჩინება

№ას-939-882-2012

26 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება – ყადაღის მოხსნა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 19 სექტემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა ო. კ-მ, სადაც აღნიშნა, რომ სადავო ქონებაზე არსებობდა ე.წ. შინაურული ანდერძი, რომლის ნამდვილობაც ეჭვს იწვევდა, რის გამოც აპირებდა დავის აღძვრას ნ. ნ-სა და დ. ხ-ის მიმართ, ანდერძის ბათილობის მოთხოვნით, რომლითაც ქუთაისში გ-ის ქ. №48-ში არსებული უძრავი ქონება ეანდერძა ნ. ნ-ს, შესაბამისად, განმცხადებელ-

მა მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის დადება ქუთაისში, გ-ის ქ. №48-ში მდებარე უძრავ ქონებაზე და დ. ხ-ისათვის ამავე ქონებაზე ნ. ნ-ზე სამკვიდრო მონუმობის გაცემის აკრძალვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 20 სექტემბრის განჩინებით ო. კ-ის განცხადება, სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით გაუქმდა და ყადაღა დაედო ქ. ქუთაისში, გ-ის ქ. №48-ში მდებარე ლ. კ-ის დანაშთ ქონებას; დავალდებულდა ქ. ქუთაისის ნოტარიუსი დ. ხ-ი არ გაეცა სადაო ქონებაზე სამკვიდრო მონუმობა ნ. ნ-ს სახელზე. აღნიშნულ განჩინებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2009 წლის 14 იანვარს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ო. კ-მ, მოპასუხეების ნ. ნ-ს და დ. ხ-ის მიმართ და მოითხოვა შუნაურული ანდერძის ბათილად ცნობა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით ო. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ლ. კ-ის სახელით 1998 წლის 21 სექტემბერს შედგენილი ანდერძი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. ნ-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება; ო. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის განჩინებით, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ო. კ-ის საკასაციო საჩივარი.

2012 წლის 22 მაისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ნ. ნ-მ და იმ საფუძვლით, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა ო. კ-ის სარჩელი, მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის განჩინების გაუქმება, რომლითაც ყადაღა დაედო ქ. ქუთაისში, გ-ის ქ. №48-ში მდებარე ლ. კ-ის დანაშთ ქონებას, რომელზეც ან გარდაცვლილ ლ. კ-ის მიერ შედგა ანდერძი და სწორედ ამ ანდერძის ბათილობასთან დაკავშირებით აღძრული დავა დამთავრდა მის სასარგებლოდ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 მაისის განჩინებით ნ. ნ-ს განცხადება დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, ყადაღა მოეხსნა ქ. ქუთაისში, გ-ის ქ. №48-ში მდებარე ლ. კ-ის დანაშთ ქონებას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ლ. კ-ის სახელით 1998 წლის 21 სექტემბერს შედგენილი ანდერძით ქუთაისში, გ-ის ქ. №48-ში მდებარე უძრავი ქონება, რომელზეც ო. კ-ის განცხადების საფუძველზე (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით) ყადაღა იყო დადებული, მას ეანდერძა. ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ ის მიზანი, რომლისთვისაც მოსარჩელემ მოითხოვა უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება, რომ მომავალში ხელი არ შეშლოდა საქმეზე მისაღებ გადაწყვეტილების აღსრულებას, უკვე აღარ არსებობდა, ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოხდა მოსარჩელე მხარის ო. კ-ის განცხადების საფუძველზე, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით ო. კ-ის სარჩელი, რომლის უზრუნველყოფის მიზნითაც მოხდა ყადაღის გამოყენება ქ. ქუთაისში, გ-ის ქ. №48-ში მდებარე უძრავ ქონებაზე მდებარე არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1991 მუხლზე მითითებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ნ. ნ-ს განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერს მიღებული განჩინების გაუქმების თაობაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ, დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 მაისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ო. კ-მ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ იმ შემთხვევაში თუკი სააპელაციო სასამართლომ კანონიერად და დასაბუთებულად მიიჩნია უძრავ ქონებაზე ყადაღის მოხსნა, მას ასევე უნდა ემსჯელა ნოტარიუსის მიმართ დაკისრებული ვალდებულების მოხსნაზეც, რადგან იმ შემთხვევაში, თუ ძალაში დარჩება ნოტარიუსის მიმართ აკრძალვა სადავო ქონებაზე სამკვიდრო მონუმობის ნ. ნ-ს სახელზე გაცემის შესახებ, აზრი ეკარგება ყადაღის გაუქმებას, ვინაიდან ნ. ნ-ა ვერ მიიღებს ყადაღისაგან გათავისუფლებულ ქონებაზე სამკვიდრო მონუმობას, რომლის გარეშეც ვერ დაირეგისტრირებს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას საჯარო რეესტრში, რაც მის საბოლოო მიზანს წარმოადგენს.

ამას გარდა, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მის მიერ მოპოვებულია ახალი მტკიცებულებები ლ. კ-ის სახელით 1998 წლის 21 სექტემბერს შედგენილი ანდერძის სიყალბის თაობაზე, რის გამოც აპირებს აღძვას სარჩელი ახალი საფუძველით და იმ შემთხვევაში თუკი ყადაღა მოეხსნება სადავო ქონებას, შეუძლებელი გახდება მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა ო. კ-ის კერძო საჩივარი და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს

მითითებას იმ გარემოებაზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანი მოსარჩელის ინტერესებს ემსახურება და ადგენს მყარ გარანტიას იმისა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შესაძლოა დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

განსახილველ შემთხვევაში სამქმის მასალებით ირკვევა, რომ ო. კ-მ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის დადება ქუთაისში, გ-ის ქ. 48-ში მდებარე უძრავ ქონებაზე და დ. ხ-ისათვის ამავე ქონებაზე ნ. ნ-ზე სამკვიდრო მონუმობის გაცემის აკრძალვა იმ საფუძველით, რომ რომ სადავო ქონებაზე არსებობდა ე.წ. შინაურული ანდერძი, რომლის ნამდვილობაც ეჭვს იწვევდა, რის გამოც აპირებდა დავის აღძვრას ნ. ნ-ს და დ. ხ-ის მიმართ, ანდერძის ბათილობის მოთხოვნით, რომლითაც ქუთაისში გ-ის ქ. №48-ში არსებული უძრავი ქონება ეანდერძა ნ. ნ-ს.

საქმის მასალებით ირკვევა ასევე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით ო. კ-ის მოთხოვნის საფუძველზე, ყადაღა დაედო ქ. ქუთაისში, გ-ის ქ. №48-ში მდებარე ლ. კ-ის დანაშთ ქონებას; დავალდებულდა ქ. ქუთაისის ნოტარიუსი დ. ხ-ი არ გაეცა სადავო ქონებაზე სამკვიდრო მონუმობა ნ. ნ-ს სახელზე.

საქმის მასალებითვე დასტურდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ო. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მასზე, რომ ის მიზანი, რომლისთვისაც მოსარჩელემ მოითხოვა უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება, რომ მომავალში ხელი არ შეშლოდა საქმეზე მისაღებ გადაწყვეტილების აღსრულებას, უკვე აღარ არსებობდა, ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოხდა მოსარჩელე მხარის ო. კ-ის განცხადების საფუძველზე, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით ო. კ-ის სარჩელი, რომლის უზრუნველყოფის მიზნითაც მოხდა ყადაღის გამოყენება ქ. ქუთაისში, გ-ის ქ. №48-ში მდებარე უძრავ ქონებაზე მდებარე არ დაკმაყოფილდა, რაც ცხადყოფდა, რომ აღარ არსებობდა სარჩელის დაცვის ინტერესი, რისთვისაც თავის დროზე მიღებული იყო უზრუნველყოფის ღონისძიება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება ო. კ-ის მიერ კერძო საჩივარში მითითებული არგუმენტები, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ დასახელებული ნორმის საფუძველზე, კანონის მოთხოვნათა დაცვით დააკმაყოფილა ნ. ნ-ს განცხადება, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე და სწორად მოხსნა ყადაღა ქ. ქუთაისში, გ-ის ქუჩა №48-ში მდებარე ლ. კ-ის დანაშთ ქონებას, ვინაიდან სარჩელი ანდერძის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით არ იქნა დაკმაყოფილებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ო. კ-ის კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა ღ ი ნ ა :

ო. კ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 მაისის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

განჩინება

№ას-910-855-2012

19 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობა, კომპენსაციის სანაცვლოდ საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

ე. პ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. თ-ის, ნ. უ-ის, დ. ბ-ის, ხ. ი-ისა და ე. თ-ის მიმართ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობის შესახებ.

ე. თ-მ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს ე. პ-ისათვის კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 მარტის განჩინებით მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება, საქმის წარმოება ნ. თ-ის, ნ. უ-ის, ხ. ი-ისა და დ. ბ-ის მიმართ შეწყდა სარჩელის გამოხმობის გამო.

ე. პ-მა განცხადებით მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქ.თბილისში, ლ-ის ქ. №4/2-ში მდებარე სახლის ე. თ-ის კუთვნილ 3/20-ზე ყადაღის დადების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 მარტის განჩინებით ე. პ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა და სადავო ქონებას დაედო ყადაღა.

2012 წლის 29 მარტს სასამართლოს საჩივრით მიმართა ე. თ-მ და მოითხოვა 2012 წლის 26 მარტის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის განჩინებით ე. თ-ის საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 მარტის განჩინება და არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ქ. თბილისში, ლ-ის ქ. №4/2-ში მდებარე ე. თ-ის (პირადი №...) საკუთრებაში არსებულ 3/20 ნაწილის უძრავ ქონებას ყადაღა მოეხსნა შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დაადგინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 მარტის საოქმო განჩინებით მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება შემდეგი პირობებით:

ა) ე. თ-ე ვალდებულია, 2012 წლის 1 აპრილამდე ე. პ-ს გადაუხადოს 7875 ლარი;

ბ) ე. პ-ი ვალდებულია, ე. თ-ის მიერ თანხის სრულად გადახდის დღიდან 5 კალენდარული დღის ვადაში გაათავისუფლოს თბილისში, ლ-ის ქუჩა 4/2 მისამართზე მდებარე სახლში მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი და დატოვოს ხსენებულ მისამართზე მდებარე სახლი;

გ) ე. თ-ე იღებს ვალდებულებას განჩინების სარეზოლუციო ნაწილის „ა“ პუნქტში მითითებული ვადის განმავლობაში (2012 წლის 1 აპრილამდე) გადაუხადოს ე. პ-ს საექსპერტო კვლევისათვის განეული ხარჯის – 400 ლარის ნახევარი – 200 ლარი;

დ) ე. თ-ის მხრიდან განჩინების სარეზოლუციო ნაწილის „ა“ პუნქტში მითითებული ვალდებულების სრულყოფილად დადგენილ ვადაში (2012 წლის 1 აპრილამდე) შეუსრულებლობის შემთხვევაში ე. პ-ს უფლება აქვს, ე. თ-ს გადაუხადოს 2625 ლარი და ამ თანხის გადახდის დღიდან ე. პ-ი მიიჩნევა ქ.თბილისში, ლ-ის ქუჩა 4/2 მისამართზე მდებარე საცხოვრებელ სახლში და ე. თ-ის საკუთრებად რეგისტრირებულ 3/20 (სამი მეოცედი) ნაწილში განთავსებული 18,07 კვ.მ ფართის მესაკუთრედ;

ე) მხარეთა შორის ანგარიშსწორება (გადახდა) იწარმოებს საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანის გზით. შესაბამისად, მოსარჩელე ე. პ-ი ვალდებულია 7 კალენდარული დღის ვადაში საკუთარი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები შეატყობინოს ე. თ-ს. ასეთი შეტყობინების განხორციელება უნდა დადასტურდეს წერილობითი დოკუმენტით.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა ე. თ-ის მითითება, რომ მან მორიგების განჩინებით აღებული ვალდებულება შეასრულა სრულად და დადგენილ ვადაში – 2012 წლის 1 აპრილამდე, რაც დასტურდება საჩივარზე დართული ე. პ-ის საბანკო ანგარიშზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 მარტის საოქმო განჩინების აღსრულების მიზნით ე. თ-ის მიერ 2012 წლის 27 მარტს 8075 ლარის გადარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის ასლით. სალაროს შემოსავლის ორდერში გარკვევით არის აღნიშნული როგორც თანხის მიმღები, ისე გადახდის დანიშნულება. თანხა ჩარიცხულია თავად ედვარდ პეტრიაშვილის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 271-ე მუხლების, 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ე. თ-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 მარტის საოქმო განჩინებით აღებული ვალდებულება შეასრულა სრულად, დადგენილ ვადაში და მორიგების განჩინების უზრუნველყოფის მიზნით ქ.თბილისში, ლ-ის ქ.№4/2-ში მდებარე ე. თ-ის (პირადი №...) საკუთრებაში არსებულ 3/20 უძრავ ქონებაზე ყადაღის შენარჩუნების საფუძველი აღარ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ე. პ-მა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და ისე გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომ აღნიშნულის მოტივებზე არ მიუთითებია. გასაჩივრებული განჩინების მოტივაცია შემოიფარგლება მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ტექსტის ციტირებით, რითაც დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლომ ვერ დაასაბუთა მიღებული გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივნისის განჩინებით ე. პ-ის საჩივარი ამავე პალატის 2012 წლის 30 აპრილის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო და საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. პ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემადგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. ამავე კოდექსის 271-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით მოითხოვოს ჯერ კიდევ აღსრულებელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 მარტის განჩინებით მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება.

მოცემულ შემთხვევაში ე. პ-ი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს განჩინებას მის სასარგებლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 მარტის განჩინების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე.

სააპელაციო პალატამ დაადგინა და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის ფაქტი, რომ ე. თ-მ საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 1 მარტის განჩინებით დადგენილი მორიგების პირობა შეასრულა და ე. პ-ის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე შეთანხმებულ ვადაში – 2012 წლის 27 მარტს ჩარიცხა 8075 ლარი, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი ქვითრის ასლით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი აღარ არსებობს, აღნიშნული განჩინება ე. პ-ისათვის თანხის გადაცემის ნაწილში უკვე აღსრულებულია და სადავო ქონებას ყადაღა მართებულად მოეხსნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება მიღებულ იქნა კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც ე. პ-ს უარი უნდა ეთქვას საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, 419-ე მუხლებით და

ღ ა ა ლ გ ი ნ ა:

ე. პ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილისა და 5 ივნისის განჩინებები დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

## ბანრინება

№ას-439-416-2012

9 იანვარი, 2013 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ვ. როინიჭვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

განმცხადებელთა მოთხოვნა: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ა-ამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში ი. მ-ის, ი. გ-სა და ი. გ-ის მიმართ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილებით თ. ა-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით თ. ა-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ი. მ-ემ, ი. გ-მა და ი. გ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის განჩინებით თ. ა-ას, ი. მ-ის, ი. გ-სა და ი. გ-ის შუამდგომლობა მორიგების თაობაზე დაკმაყოფილდა. დამტკიცდა მორიგება ერთი მხრივ თ. ა-სა და მეორეს მხრივ, ი. მ-ის, ი. გ-სა და ი. გ-ის შორის შემდეგი პირობებით:

1. ი. მ-ე, ი. გ-ი და ი. გ-ი თ. ა-ას გადაუხდინან 27000 აშშ დოლარს წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლო განჩინების დამტკიცების დღიდან 06 თვის ვადაში. აღნიშნული ვალდებულება შესაძლებელია შესრულდეს ვადადევ.

2. იმ შემთხვევაში, თუ ი. მ-ე, ი. გ-ი, ი. გ-ი ვერ შესრულებენ მორიგების აქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ფულად ვალდებულებას, თ. ა-ას საკუთრებაში გადაეცემა ქ.თბილისში, სოფელ წ-ი მდებარე, ი. მ-ის, ი. გ-სა და ი. გ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლში (საკადასტრო კოდი №...) მხოლოდ მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის ფართი, (სარჩელში აღნიშნული საცხოვრებელი ფართი 75 კვ.მ და ეზოში განთავსებული დამხმარე სათავსო 14 კვ.მ.) ხოლო ამის სანაცვლოდ თ. ა-ა ვალდებულია, ი. მ-ეს, ი. გ-სა და ი. გ-ს გადაუხადოს 8000 აშშ დოლარი (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულება 25%).

3. ი. მ-ის, ი. გ-სა, ი. გ-ის მიერ მორიგების აქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შესრულებამდე თ. ა-ა უფლებამოსილია ისარგებლოს ქ.თბილისში, სოფელ წ-ი, ი. მ-ის, ი. გ-სა და ი. გ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლში მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომით.

4. ი. მ-ის, ი. გ-სა, ი. გ-ის მიერ მორიგების აქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შესრულებამდე ყადაღა დაედოს ქ.თბილისში, სოფელ წ-ი მდებარე, ი. მ-ის, ი. გ-სა და ი. გ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლში (საკადასტრო კოდი №...) არსებულ 75 კვ.მ. ფართს და ეზოში განთავსებული დამხმარე 14 კვ.მ ფართის ნაგებობას, ხოლო მორიგების აქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შესრულებისთანავე აღნიშნულ უძრავ ნივთზე დადებული ყადაღა გაუქმდეს.

5. ი. მ-ის, ი. გ-სა, ი. გ-ის მიერ მორიგების აქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შესრულების მომენტიდან 10 დღის ვადაში თ. ა-ა ვალდებულია უზრუნველყოს ქ.თბილისში, სოფელ წ-ი, ი. მ-ის, ი. გ-სა და ი. გ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (№...) ფარგლებში მის მიერ დაკავებული მთლიანი ფართის გამოთავისუფლება და სრულად დაცლა, გარდა საცხოვრებელ ფართში და მის ეზოში არსებული ტექნიკური და საკომუნიკაციო აღჭურვილობებისა (წყლის ავზი და სხვ.). შესაბამისად, თ. ა-ამ აღნიშნული ფართი ი. მ-ს, ი. გ-სა და ი. გ-ს უნდა გადასცეს გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში.

6. იმ შემთხვევაში, თუ თ. ა-ა დაარღვევს მორიგების აქტის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე ვალდებულებას, მას ი. მ-ის, ი. გ-სა და ი. გ-ის მიმართ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მორიგების აქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მთლიანი თანხის (27000 აშშ დოლარის) 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცემაზე დადებული დღეზე.

7. მორიგების აქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუფერხებლად შესრულების მიზნით თ. ა-ა ვალდებულია გადასცეს ი. მ-ეს, ი. გ-სა და ი. გ-ს თავის კუთვნილი საბანკო რეკვიზიტები წერილობითი ფორმით, რომლის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება თ. ა-ას, ხოლო არასწორი საბანკო რეკვიზიტების მიწოდების შემთხვევაში ი. მ-ეს, ი. გ-ს და ი. გ-ის ეხსნებათ ყოველგვარი პასუხისმგებლობა.

8. წინამდებარე მორიგების აქტით განსაზღვრული პირობებით მთლიანად არის მოწესრიგებული თ. ა-ას უფლებრივი საკითხები, რომლებიც გამომდინარეობს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან და ი. მ-ის, ი. გ-სა და ი. გ-ის მიერ მორიგების აქტის პირველი პუნქტით ნაკისრი ფულადი ვალდებულების შესრულებისთანავე თ. ა-ას უწყდება მოსარგებლის სტატუსი ი. მ-ან, ი. გ-ან და ი. გ-ან არსებული სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში.

შენწყდა სამოქალაქო საქმის წარმოება თ. ა-ას სარჩელისა გამო ი. მ-ის, ი. გ-სა და ი. გ-ის მიმართ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე.

2012 წლის 27 დეკემბერს ი. მ-ემ, ი. გ-მა და ი. გ-მა განცხადებით მომართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოითხოვეს მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, განცხადების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

განმცხადებლები მოითხოვენ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების (ყადალის) გაუქმებას იმ საფუძვლით, რომ მათ მიერ ჯეროვნად და დათქმულ დროს იქნა შესრულებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის განჩინებით დამტკიცებული მორიგების პირობები.

აღნიშნულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის განჩინებით (საქმე №ას-439-416-2012), ერთი მხრივ, თ. ა-ას, ხოლო მეორეს მხრივ, ი. მ-ეს, ი. გ-სა, ი. გ-ს შორის დამტკიცდა მორიგება და საქმეზე შეწყდა წარმოება მორიგების დამტკიცების გამო. მორიგების აქტის პირველი პუნქტის თანახმად, ი. მ-ეს, ი. გ-სა და ი. გ-ს თ. ა-ის უნდა გადაეხადათ 27000 აშშ დოლარი წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლო განჩინების დამტკიცების დღიდან 6 თვის ვადაში. აღნიშნული ვალდებულების შესრულება შესაძლებელი იყო ვადამდეც. ხოლო, მორიგების აქტის მეოთხე პუნქტის თანახმად, ი. მ-ის, ი. გ-სა, ი. გ-ის მიერ მორიგების აქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შესრულებამდე ყადალა დაედო ქ.თბილისში, სოფელ წ-ი მდებარე, ი. მ-ის, ი. გ-სა და ი. გ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლში (საკადასტრო კოდი №...) არსებულ 75 კვ.მ. ფართს და ეზოში განთავსებული დამხმარე 14 კვ.მ ფართის ნაგებობას, ხოლო მორიგების აქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შესრულებისთანავე აღნიშნულ უძრავ ნივთზე დადებული ყადალა უნდა გაუქმებულიყო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების პირობების მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქ.თბილისში, სოფელ წ-ი მდებარე, ი. მ-ის, ი. გ-სა და ი. გ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლში (საკადასტრო კოდი №...) არსებულ 75 კვ.მ. ფართს და ეზოში განთავსებული დამხმარე 14 კვ.მ ფართის ნაგებობას ყადალა მოეხსნებოდა მორიგების აქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შესრულებისთანავე.

განმცხადებლებმა მოითხოვეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების (ყადალის) გაუქმება და წარმოადგინეს 27 000 აშშ დოლარის გადარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის დედანი. ზემოაღნიშნულ მოთხოვნას დაეთანხმა თ. ა-აც, რომელმაც განმარტა, რომ განმცხადებლებმა ნამდვილად შეასრულეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის განჩინებით დამტკიცებული მორიგების პირობა, მათგან მიიღო 27 000 აშშ დოლარი და იგი თანახმაა ყადალა მოეხსნას უძრავ ქონებას, რის დასადასტურებლადაც საქმეში წარმოდგენილია სასამართლო მოხელის მიერ 2013 წლის 8 იანვარს შედგენილი აქტი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. განსახილველ შემთხვევაში, გადაწყვეტილება, რომლის აღსრულების უზრუნველსაყოფადაც მხარის ქონების მიმართ გამოყენებული იყო ყადალა, აღსრულებულია. შესაბამისად, დასაბუთებულია განმცხადებელთა მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე.

#### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

ღ ა ა ღ გ ი ნ ა :

1. ი. მ-ის, ი. გ-სა და ი. გ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის №ას-439-416-2012 განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, კერძოდ, მოეხსნას ყადაღა ქ.თბილისში, სოფელ წ-ი მდებარე, ი. მ-ის, ი. გ-სა და ი. გ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლში (საკადასტრო კოდი №...) არსებულ 75 კვ.მ. ფართს და ეზოში განთავსებული დამხმარე 14 კვ.მ ფართის ნაგებობას.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე გამოტანილი განჩინების გასაჩივრება

### განჩინება

№ას-1360-1283-2012

17 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
მოსამართლე: პ. ქათამაძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნ. ნ-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება, ო. კ-ის სარჩელი ლ. კ-ის შინაურული ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

2012 წლის 2 აგვისტოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ნ. ნ-მ, რომელმაც მოითხოვა აღნიშნულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც დაევალა ქ.ქუთაისის ნოტარიუს დ. ხ-ს, არ გაეცა სადავო ქონებაზე სამკვიდრო მონაწილეობა ნ. ნ-ს სახელზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინებით ნ. ნ-ს განცხადება დაკმაყოფილდა, გაუქმდა ამავე სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც დაევალა ქ.ქუთაისის ნოტარიუს დ. ხ-ს, არ გაეცა სადავო ქონებაზე სამკვიდრო მონაწილეობა ნ. ნ-ს სახელზე.

დასახელებულ განჩინებაზე ო. კ-მ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი კერძო საჩივარი განსახილველად უნდა გადაეცეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა. განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს 5 დღეს. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მხარისათვის გადაცემის მომეტიდან. ამავე კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, სასამართლო საჩივარს წარმოებაში იღებს შესაბამისი ინსტანციის სასამართლოსათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული წესების თანახმად. თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. ამდენად, კანონით დადგენილია სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოტანილი განჩინებების, მათ შორის, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრებისა და განხილვის წესი, კერძოდ, დადგენილია ყველა ასეთი განჩინების საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობა 5 დღის ვადაში, ხოლო საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოდ – განჩინების გამომტანი სასამართლო.

წარმოდგენილი კერძო საჩივრით გასაჩივრებულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინება. ხსენებული განჩინებით გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც დაევალა ქ.ქუთაისის ნოტარიუს დ. ხ-ს, არ გაეცა სადავო ქონებაზე სამკვიდრო მონაწილეობა ნ. ნ-ს სახელზე.

ამდენად, ნათელია, რომ კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების თაობაზე მიღებული განჩინების მართლზომიერებას, რაც არ შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრის საპროცესო ფორმით. აქვე, საყურადღებოა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ



განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე მიღებული განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობას საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ასეთი განჩინება, როგორც ზემოთ განიმარტა, შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით და არა კერძო საჩივრით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული საჩივარი განსახილველად უნდა გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომელმაც საჩივარი უნდა განიხილოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 197<sup>1</sup> მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა ღ გ ი ნ ა:

1. ო. კ-ის საჩივარი განსახილველად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## დაუსრულებელი გადაწყვეტილება

### განჩინება

№ას-987-927-2012

25 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ც. ც-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ლ-ის მიმართ და მოითხოვა, 2008 წლის 16 ოქტომბრის განვადებით ნასყიდობისა და 2011 წლის 24 ივნისის მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, ნასყიდობის საგნის ღირებულების დარჩენილი თანხის – 51591,68 აშშ დოლარის ანაზღაურება, ასევე 2009 წლის 16 აპრილიდან 2011 წლის 5 ივლისამდე მიუღებელი შემოსავლის – 29984 აშშ დოლარის გადახდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით ც. ც-ის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ა. ლ-ს ც. ც-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2009 წლის 16 აპრილიდან 2011 წლის 5 ივლისამდე მიუღებელი შემოსავლის – 9994.66 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 მარტის დაუსრულებელი გადაწყვეტილებით ა. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, რაზეც ა. ლ-მა შეიტანა საჩივარი.

სააპელაციო პალატის 2012 წლის 10 მაისის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო დაუსრულებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2012 წლის 22 მარტის სასამართლო სხდომის თაობაზე, ასევე გამოუცხადებლობის შედეგებთან დაკავშირებით, სასამართლომ გააფრთხილა აპელანტ ა. ლ-ის წარმომადგენელი ა. ჩ-ი, რაც დასტურდება 2012 წლის 15 მარტის სხდომის განაწილების მხარეთა შესაბამისი გაფრთხილების დადასტურების მიზნით შედგენილ ხელწერილზე ა. ჩ-ის ხელმოწერით.

აღნიშნული გარემოება ისევე, როგორც მისი დამადასტურებელი მტკიცებულება, საჩივრის ავტორს სადავოდ არ გაუხდია.

პალატამ მიუთითა, რომ ა. ლ-ის მიერ გაცემული მინდობილობის შესაბამისად, ა. ჩ-ი წარმოადგენს ა. ლ-ს ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში. იგი უფლებამოსილია, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლისა და 216-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, 2012 წლის 22 მარტის სხდომასა და გამოუცხადებლობის შედეგებთან დაკავშირებით ა. ჩ-ის გაფრთხილებით ა. ლ-ი ასევე გაფრთხილებულად ითვლება.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ 2012 წლის 22 მარტის სასამართლო სხდომაზე აპელანტ ა. ლ-ისა და მისი წარმომადგენელი ა. ჩ-ის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი საქმის მასალებიდან არ ირკვევა. საჩივრის მიხედვით, 2012 წლის 22 მარტის სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობა ასევე გამოუცხადებლობის განმარტებული გარემოებების სასამართლოსათვის შეუტყობინებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, თუმცა აღნიშნული მიზეზისა და მისი არსებობის დამადასტურებელ რაიმე სახის მტკიცე-

ბუღალტრულ საჩივრის ავტორს არ მიუთითებია. საჩივარი შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი ხასიათის სიტყვიერი განმარტებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 105-ე მუხლის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს საჩივრის საფუძვლად მითითებული გარემოება – პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობის მიზეზები – შესაბამისი მტკიცებულებებით არ დაუდასტურებია. საქმის გადანყვეტილის მნიშვნელობის მქონე სადავო გარემოების ობიექტურად ამსახველ მტკიცებულებად მხოლოდ სიტყვიერი განმარტება ვერ მიიჩნევა. ამდენად, მტკიცებულებათა წარუდგენლობის პირობებში არ არსებობს საჩივრის ავტორის პრეტენზიის გაზიარების საფუძველი.

სააპელაციო პალატამ იხლემძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლით, 233-ე, 241-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება საჩივარში მითითებული გარემოება, რომ აპელანტის გამოუცხადებლობა 2012 წლის 22 მარტის სხდომაზე გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით. შესაბამისად, საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება ა. ლ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მათი გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლოს არ უნდა მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგან მხარე სასამართლოში ვერ გამოცხადდა საპატიო მიზეზით. აღნიშნულის შესახებ მან დაწვრილებით მიუთითა თავის საჩივარში.

ასევე აღსანიშნავია, რომ მ. ს-მა, რომელმაც მოთხოვნის უფლება ც. ც-ს დაუთმო, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას წარადგინა არასწორი ინფორმაცია გასაყიდი ქონების თაობაზე და ხელოვნურად გაზარდა ქონების ღირებულება. სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ქონების რეალური საბაზრო ღირებულება ხელშეკრულების დადებისას იყო არა 150000 აშშ დოლარი, არამედ 2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით – 68500 ლარი. 2008 წლის 8 აგვისტოს შემდგომ კი გაცილებით ნაკლები.

მ. ს-მა არაერთხელ მიმართა საჩივრებით პროკურატურას და ითხოვდა კასატორის დაპატიმრებას. დანყვეტილმა გამოძიებამ ხელი შეუშალა მხარის მუშაობას, რადგან სისტემატურად უხდებოდა სამართალდამცავ ორგანოებში სიარული. მ. ს-ი ითხოვდა და სძალავდა კასატორს სოლიდურ თანხებს.

ფაქტობრივად, ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელე ვალდებულების შესრულებას ითხოვდა, იყო ბათილი და ვალდებულების შესრულება მოსარჩელის ბრალით გაჭიანურდა.

ამდენად, მოპასუხის ვალდებულება არ არსებობს, შესაბამისად, უსაფუძვლოა მოთხოვა მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებითაც.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემომწების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მონინალმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. თუ საქმის განხილვაზე მონინალმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. ამავ ე კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების შესაბამისად კი, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება.

დასახელებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, არ დააკმაყოფილოს სააპელაციო საჩივარი, თუ აპელანტი, რომელსაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით ეცნობა საქმის განხილვის თარიღი და პროცესზე გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგის შესახებ, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა საქმის განხილვაზე და არც თავისი გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოს არ აცნობა.

მოცემულ შემთხვევაში ა. ლ-ის სააპელაციო საჩივრის მთავარ სხდომაზე განხილვა დაინიშნა 2012 წლის 22 მარტს, 10.00 საათზე. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის ფაქტი, რომ საქმის განხილვის დროის, ასევე სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ ა. ლ-ის წარმომადგენელ ა. ჩ-ს ეცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

აღსანიშნავია, რომ კასატორმა დადასტურა მისი წარმომადგენლის უფლებამოსილება და საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ა. ჩ-ს გააჩნდა მარწმუნებლის სახელით პროცესში მონაწილეობის უფლებით აღმჭურველი შესაბამისი მინდობილობა.

სავსებით დასაბუთებულია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ წარმომადგენლისათვის საქმის განხილვის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება თავად აპელანტ ა. ლ-ისათვის მისი შეტყობინების ტოლფასია (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

ყოველივე ზემოხსენებულის მიუხედავად არც ა. ლ-ი და არც მისი წარმომადგენელი სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდნენ. პროცესზე გამოცხადებულმა მონინალმდეგე მხარემ მოითხოვა და-

უსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და ა. ლ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ განსახილველ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ხელშეშლელი გარემოებანი არ არსებობს.

დაუსაბუთებელია საკასაციო საჩივრის არგუმენტი, რომ აპელანტის წარმომადგენელ ა. ჩ-ის სადავო გამოუცხადებლობა განპირობებული იყო საპატიო მიზეზით, რის შესახებაც იგი სასამართლოს დროულად ვერ აცნობებდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს იმ საპატიო მიზეზებს, რომელთა არსებობისას დასაშვებია გარკვეული საპროცესო მოქმედებების შეუსრულებლობა საპატიოდ იქნეს მიჩნეული, ასეთებია: ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას.

აღნიშნული ნორმით განსაზღვრული საპატიო მიზეზის არსებობა აპელანტ მხარეს არ დაუდასტურებია და საერთოდ არ მიუთითებია, თუ რას გულისმობდა სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიობაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამომწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ამდენად, კანონმდებელი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას უკავშირებს მხარისაგან დამოუკიდებლად არსებული ისეთი გარემოების არსებობას, რომლის პროგნოზირება, მართვა და წინასწარ თავიდან აცილება მას არ შეეძლო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების სამართლებრივი წინაპირობის არსებობა ვერ დაასაბუთა, რის გამოც მის მოთხოვნას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

ა. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 მაისის განჩინება და 22 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### დაუსწრებელი გადაწყვეტილება

#### განჩინება

№ას-284-273-2012

4 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ს. ა-მ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს რ. შ-ის მიმართ და მოითხოვა საზიარო უფლების გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: 2009 წლის იანვარში ს. ა-მ შეიძინა ქ. ბათუმში, ზ. დ-ა 101-ში მდებარე უძრავი ქონებიდან №9 ბინა, 17,83 კვ.მ ერთი ოთახი და მოპასუხე რ. შ-თან საერთო სარგებლობის დამხმარე ფართი 26,93 კვ.მ, რაც დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში. მოპასუხე და მისი ოჯახის წევრები ხელს უშლიან საკუთრებით სარგებლობაში. ქონების გაყოფის მიზნით მოსარჩელემ მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რომელმაც მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგან საერთო სარგებლობაში არსებული ფართის რეალური გაყოფა შეუძლებელია, რაც დადასტურებულია ექსპერტიზის დასკვნით.

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო იმ დასაბუთებით, რომ მოსარჩელე არარსებულ ფართზე დავობს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით ს. ა-ს სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ს. ა-სა და რ. ს-ს საზიარო უფლება მათ საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე, აღნიშნული ქონების აუქციონზე რეალიზაციის გზით და ამონაგები თანხა მხარეთა შორის მათი კუთვნილი წილის შესაბამისად უნდა განაწილებულიყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 6 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, რ. შ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი, რომელიც სხდომის თაობაზე გაფრთხილებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. აპელანტის წარმომადგენელმა სასამართლოს ტელეფონის მეშვეობით განუმარტა, რომ იგი ვერ გამოცხადდებოდა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, რადგან მონაწილეობას იღებდა საქმის განხილვაში სხვა სასამართლოში. ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები მას არ წარმოუდგენია. სხდომაზე გამოცხადებულმა მონაწილემდეგე მხარის წარმომადგენელმა იშუამდგომლა გამოუცხადებელი მხარის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დააკმაყოფილა. აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა რ. შ-მ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის განჩინებით რ. შ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 6 ოქტომბრის სხდომაზე საჩივრის ავტორი მონაწილე იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სასამართლო სხდომაზე აპელანტი არ გამოცხადდა და სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის საფუძვლებს, ამ კოდექსის 224-ე მუხლი კი, იმ საფუძვლებს, რაც იწვევს გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას. საჩივრის ავტორს არ მიუთითებია გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების კანონით დადგენილ არც ერთ საფუძვლებზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ, საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, სხდომაზე იგი ვერ გამოცხადდა, ვინაიდან, იმავე დღეს მონაწილეობას იღებდა საქმის განხილვაში სხვა სასამართლოში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა საჩივრის ავტორს, მას კი თავისი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლო სხდომის თაობაზე საჩივრის ავტორს ეცნობა 2011 წლის 15 დეკემბერს, ე.ი სხდომამდე 7 დღით ადრე. პალატამ მიიჩნია, რომ ეს დრო საკმარისი იყო საჩივრის ავტორის პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებისა და სასამართლოსათვის წარმოდგენისათვის.

პალატა არ დაეთანხმა რ. შ-ს, რომ სასამართლო ვალდებული იყო, შეეფასებინა მონაწილემდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მოთხოვნილი საფუძვლები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქმის ზეპირ განხილვაზე აპელანტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ისე რომ არ აფასებს სააპელაციო საჩივარში მითითებულ ფაქტებსა და მტკიცებულებებს. ამის გამო არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე და 241-ე მუხლებით დადგენილი საფუძვლები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ი. შ-მ შემდეგი დასაბუთებით: დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც წესი, სასამართლო არსებითად არ განიხილავს საქმეს და ეყრდნობა მხარის ახსნა-განმარტებებს. მოცემულ შემთხვევაში კი, დაეყრდნო რა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უკანონოდ დადგენილ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს, მიიღო დაუსაბუთებელი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. საცხოვრებელი ბინა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ი. შ-ს 1994 წლის 27 დეკემბერს, როგორც, სამხედრო მოსამსახურეს გადასცა. ბინის ფართი მხოლოდ 67.30 კვ.მ-ია, ხოლო მოსარჩელე დავობს არარსებულ ფართს და ითხოვს არარსებული საზიარო უფლების გაუქმებას.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ რ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2011 წლის 22 დეკემბრის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. აღნიშნული ნორმის შინაარსი სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, საქმის განხილვისას იხელმძღვანელოს პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვის მომწესრიგებელი ნორმებით. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა 387-ე მუხლით ნესრიგდება. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით კი, ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე (სააპელაციო სასამართლოში – აპელანტი) და გამოცხადდა მოპასუხე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება შემდეგი პირობების არსებობისას: გამოუცხადებელი მხარე მონვეული იყო საქმის განხილვაში და მას დროულად და კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დღისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ; ადგილი არა აქვს რაიმე დაუძლეველ ძალას ან სხვა ისეთ მოვლენას, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; სასამართლოზე გამოცხადებული მოპასუხე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა მან გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, გამოუცხადებელი მოსარჩელის წინააღმდეგ, ეი გამოიტანოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამდენად, გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძველად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

საკასაციო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად დგინდება, რომ კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვს იმ დასაბუთებით, რომ პროცესზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ადვოკატის არაკეთილსინდისიერი ქმედებით, კერძოდ, სასამართლო სხდომის დღეს ადვოკატმა შეატყობინა პროცესის გადადების შესახებ, რაც არ მომხდარა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს შემდეგზე: დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი შინაარსით საქმის განხილვაში ერთ-ერთი მხარის მონაწილეობის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებაა. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი მიზნად ისახავს სასამართლოს ეფექტურ საქმიანობას, სასამართლო დავების სწრაფად და გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტას, მხარეთა „იძულებას“, განახორციელონ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები – საქმის განხილვაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა და ხელი შეუწყონ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანაში. დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს სანქციას იმ მხარისათვის, რომელიც არ ცხადდება საქმის განხილვაზე (სსკ-ის 229-ე, 230-ე, 231-ე, 232-ე მუხლები) ანდა არ ახორციელებს თავის საპროცესო უფლებებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლი), რითაც ქმნის ვარაუდს, რომ მას არა აქვს ინტერესი, შეენიხააღმდეგოს მის მიმართ აღძრულ სარჩელს (პრეზუმცია). შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება ერთგვარ სასჯელს წარმოადგენს უპასუხისმგებლო მხარისათვის. ამასთან, ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა დასაშვებია მხოლოდ კანონით იმპერატიულად განსაზღვრული გარემოებებისა და პირობების აშკარად, ეჭვის გარეშე არსებობისას.

რაც შეეხება პროცესზე გამოუცხადებლობას, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი, რომელიც სხდომის თაობაზე გაფრთხილებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. აპელანტის წარმომადგენელმა სასამართლოს ტელეფონის მეშვეობით განუმარტა, რომ იგი ვერ გამოცხადდებოდა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, რადგან მონაწილეობას იღებდა საქმის განხილვაში სხვა სასამართლოში. ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები სასამართლოში არ წარმოუდგენია. ამდენად, სადავო არაა ის გარემოება, რომ რ. შ-ე კანონით დადგენილი წესით მინვეული იყო სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვაზე. საკასაციო საჩივარი არ შეიცავს სათანადო დასაბუთებას პროცესზე მხარის საპატიო გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით, მხოლოდ ადვოკატის არაკეთილსინდისიერება კი ვერ გახდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებას, რომ საკასაციო საჩივარში საუბარია სასამართლო სხდომაზე უშუალოდ რ. შ-ის წარმომადგენლის და არა მისი გამოცხადების შეუძლებლობაზე, რაც თავისთავად არ დასაბუთებს პროცესზე კასატორის გამოუცხადებლობის საპატიოობას. ამასთან, კასატორს შეეძლო, გადაემონწმებინა ადვოკატის მიერ მიწოდებული ინფორმაცია პროცესის გადადებისთან დაკავშირებით, რაც შესაძლებელს გახდიდა, თავიდან აეცილებინა მისთვის არასასურველი პროცესუალური შედეგი – დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონის დარღვევის გარეშეა მიღებული და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

რ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2011 წლის 21 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## დაუსწრებელი გადაწყვეტილება

### განჩინება

№ას-1144-1073-2012

5 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ლ. 1-მა“ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა გადახდის ბრძანების გაცემის შესახებ და შპს „ა. ი-ის საქართველოს წარმომადგენლობისათვის“ (შპს „ა-ი“) 5789,63 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2011 წლის 5 დეკემბერს სს „ლ. 1-ის“ განცხადება დააკმაყოფილა და შპს „ა-ის“ წინააღმდეგ გადახდის ბრძანება გასცა.

შპს „ა-მა“ აღნიშნულ ბრძანებაზე კანონით დადგენილ ვადაში პროტესტი წარადგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 19 დეკემბრის განჩინებით იმავე სასამართლოს 2011 წლის 5 დეკემბრის გადახდის ბრძანება გაუქმდა და საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა დადგინდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით სს „ლ.1-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „ა-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ 5621 ლარისა და 168,63 ლარი სახელმწიფო ბაჟის გადახდა დაეკისრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს „ა-მა“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2012 წლის 24 მაისს, სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც შპს „ა-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება და სს „ლ.1-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება სს „ლ. 1-ის“ წარმომადგენელმა კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივლისის განჩინებით სს „ლ. 1-ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იმავე სასამართლოს 2012 წლის 24 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სს „ლ. 1-ის“ წარმომადგენელ ე.ი-ის განმარტება, რომ სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული. სასამართლომ შეაფასა მხარის მიერ წარდგენილი ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ე.წ. ფორმა 100), მიუთითა საქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მასზე ხელი არ მოუწერია სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელს, ამასთან, სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე არ იყო მითითებული.

სააპელაციო სასამართლომ ასევე უარყო მხარის მტკიცება, რომ შპს „ა-ის“ საჩივარი ფაქტობრივად დაუსაბუთებელი იყო და აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი დასაბუთება ემყარებოდა იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის წინაშე მათი დავალიანება იყო არა 5612 ლარი, არამედ – 1961 ლარი, რაც საქმეში წარმოდგენილი ინვოისებით დასტურდებოდა. სწორედ, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ დამტკიცებულად და საფუძვლად დაუდო სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებას.

რაც შეეხება სს „ლ. 1-ის“ წარმომადგენლის მითითებას, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელი იყო, რადგანაც სარჩელის აღძვრის წინაპირობები არ არსებობდა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, უსაფუძვლო იყო, რადგანაც მოსარჩელემ შპს „ა. ი-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ მოპასუხედ თავად დაასახელა, გარდა ამისა, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა, რომელიც შპს „ა. ი-ის“ საქართველოს წარმომადგენლობის წინააღმდეგ იყო მიღებული.

აღნიშნული განჩინება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება სს „ლ. 1-ის“ წარმომადგენელმა საკასაციო წესით გაასაჩივრა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შპს „ა-ი“ უცხოური საწარმოს ფილიალია და არ არის იურიდიული პირი, შესაბამისად, იგი არასათანადო მოპასუხეა. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არც ის გარემოება გაითვალისწინა, რომ შპს „ა-ის“ წარმომადგენლებზე მინდობილობა ფილიალის და არა თავად საზოგადოების დირექტორმა გასცა, საქმის მასალებით კი, არ ირკვევა, დირექტორს შესაბამის უფლებამოსილება გააჩნდა თუ არა. სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად მიიჩნია, რომ სს „ლ. 1-ის“ წარმომადგენლის მიერ წარდგენილ ჯანმრთელობის ცნობაზე სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელს ხელი არ მოუწერია. ცნობას ხელს აწერენ მთავარი ექიმი და სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლი. სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები სასარჩელო მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ სს „ლ. 1-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დამაბრკოლებელი გარემოებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მონააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა სააპელაციო საჩივარში მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივ უსწორობებს, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, აპელანტის ახსნა-განმარტებას სასამართლო სხდომაზე და თუ ისინი მოთხოვნას იურიდიულად ამართლებენ, გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მითითებას, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა მოთხოვნას. განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანი იყო ფულადი ვალდებულების შესრულება. სააპელაციო საჩივარი კი, იმ გარემოებას ემყარებოდა, რომ შპს „ა-ის“ დავალიანება სს „ლ. 1-ის“ წინაშე იყო არა 5621, არამედ - 1961 ლარი. მოპასუხემ აღნიშნული თანხა გადაიხადა, რასაც საქმეში არსებული ინვოისები ადასტურებდა, ანუ მოსარჩელის მოთხოვნას თანხის დაკისრების თაობაზე დაუპირისპირდა დადასტურებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხემ ვალდებულება სრულად შეასრულა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავდა.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგანაც არ არსებობდა სარჩელის აღძვრის წინაპირობები, კერძოდ, საქმეში არასათანადო მოპასუხე მონაწილეობდა. შპს „ა. ი-ის“ წარმომადგენლობა საქართველოში“ უცხოური საწარმოს ფილიალია, ამდენად, საქმეში უშუალოდ „ა. ი-ი“ უნდა ყოფილიყო ჩაბმული. კასატორის ლოგიკით, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლომ სს „ლ. 1-ის“ სარჩელი შპს „ა. ი-ის“ საქართველოს ფილიალის წინააღმდეგ დააკმაყოფილა, ეს უკანასკნელი სათანადო მოპასუხე იყო, ხოლო გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შემდეგ არასათანადო მხარედ იქცა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ა. ი-ის“ წარმომადგენლობა საქართველოში“ სათანადო მხარეა და განმარტავს, რომ იურიდიული პირის ფილიალის მონაწილეობა საქმეში დასაშვებია. ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც იურიდიული პირის ფილიალის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის განსჯადობას ადგენს. აღნიშნული მუხლის თანახმად, სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს წარედგინება მხოლოდ ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით, შესაბამისად, თუ დავა წარმოიშვა იურიდიული პირის ფილიალის როგორც სამეწარმეო, ისე სხვა სახის კერძო სამართლებრივი საქმიანობიდან, იგი საქმის განხილვაში დამოუკიდებლად მონაწილეობს. განსახილველ შემთხვევაში, დავა შეეხებოდა სს „ლ. 1-ის“ მიერ შპს „ა. ი-ის“ საქართველოს ფილიალისათვის განეული მომსახურების საფასურის ანაზღაურებას, ანუ სარჩელი შპს „ა-ის“ საქართველოს წარმომადგენლობის საქმიანობიდან გამომდინარეობდა.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სასამართლო სხდომაზე შპს „ა-ის“ არაუფლებამოსილი წარმომადგენელი გამოცხადდა, ამიტომ, სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება კი არ უნდა გამოეტანა, არამედ ჩაეთვალა, რომ სხდომაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადდა და სააპელაციო საჩივარი განუხილველად დაეტოვებინა. კასატორის მტკიცებით, შპს „ა-ის“ წარმომადგენელს ფილიალის დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობა ჰქონდა, საქმეში კი არ არის წარმოდგენილი დოკუმენტები, რომლებიც დირექტორის უფლებამოსილებას დაადასტურებდა.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შპს „ა-ის“ ადვოკატებს, თ. კ-სა და პ. ხ-ს, ჰქონდათ ორგანიზაციის სახელით ლ. შ-ის მიერ გაცემული მინდობილობები. შპს „ა. ი-ის“ წარმომადგენლობა საქართველოში“ არის უცხო ქვეყნის იურიდიული პირის ფილიალი, რომელიც რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის (მუდმივი დაწესებულების) საქართველოში დაარსების შემთხვევაში მარეგისტრირებულ ორგანოს უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება ფილიალის რეგისტრაციის შესახებ;  
ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამონმებული საწარმოს გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამონმებული ამ კანონით დადგენილი მონაცემები საწარმოსა და მისი ხელმძღვანელის შესახებ.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, უცხო ქვეყნის იურიდიული პირი ნიშნავს ფილიალის ხელმძღვანელს ან მინდობილობის საფუძველზე კონკრეტულ პირს გადასცემს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებას. უფლებამოსილების ფარგლები აღნიშნული უნდა იყოს შესაბამის დოკუმენტში, დადგენილი შეზღუდვები კი – ასახული სარეგისტრაციო მონაცემებში.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი ადასტურებს, რომ ლ. შ-ი იყო შპს „ი-ის“ ფილიალის ერთპიროვნული ხელმძღვანელი. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც, თუ შეზღუდვა დადგენილი და რეგისტრირებული არ არის სათანადო წესით. მოცემულ შემთხვევაში, ლ. შ-ის უფლებამოსილების შეზღუდვა სამეწარმეო რეესტრში არ არის რეგისტრირებული, შესაბამისად, უცხოური იურიდიული პირის მიერ ამ უკანასკნელს გადაეცა რა ხელმძღვანელობის უფლებამოსილება, ასევე გადაეცა ფილიალის საქმიანობასთან დაკავშირებით წარმომადგენლობის უფლებამოსილება სრულად, ამდენად, მის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე პ. ხ-სა და თ. კ-ეს საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლებამოსილება გააჩნდათ.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ე. ი-ის მითითებას, რომ იგი სასამართლო სხდომაზე საპატიო მიზეზით არ გამოცხადდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამომწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამგვარი „სხვა საპატიო მიზეზი“ მითითებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, ერთ-ერთი საპატიო მიზეზია ავადმყოფობა. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დანებსებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ ე. ი-ის მიერ წარდგენილი ჯანმრთელობის ცნობა არ ადასტურებს სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობას. საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ ადვოკატის ავადმყოფობის შემთხვევაში, სს „ლ. 1-ს“, როგორც იურიდიულ პირს, შეეძლო, თავად უზრუნველყო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი მოცემულ საქმეზე არ არსებობდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ კანონიერი, დასაბუთებულია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და  
დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ლ. 1-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
  2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2012 წლის 5 ივლისის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დაუსწრებელი გადაწყვეტილება

### განჩინება

№ას-739-695-2012

14 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება



აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „ტ. ტ. ს-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „პ-ს“ მოსარჩელე შპს „ტ. ტ. ს-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 6125.22 ლარის გადახდა.

ზემოაღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „პ-მა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და შპს „ტ. ტ. ს-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს „პ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მონინალმდევე მხარის (შპს „ტ. ტ. ს-ის“) მიერ სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის გამო, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება და შპს „ტ. ტ. ს-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით აპელანტის მონინალმდევე მხარეს – შპს „ტ. ტ. ს-ს“ დაევალა, შპს „პ-ის“ სააპელაციო საჩივრის ასლის ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში წარედგინა სააპელაციო პასუხი, მასვე განემარტა, რომ სააპელაციო პასუხის წარუდგენლობის შემთხვევაში შეიძლებოდა მის წინააღმდეგ გამოსულიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნული განჩინება შპს „ტ. ტ. ს-ს“ სამჯერ გაეგზავნა მის მიერ მითითებულ ორ სხვადასხვა მისამართზე, თუმცა გზავნილი მას ვერ ჩაბარდა მისამართის უსწორობის გამო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73.1.<sup>1</sup> მუხლის დანაწესიდან გამომდინარე გზავნილი მხარისათვის ჩაბარებულად ითვლებოდა ბოლო ჩაუბარებლობის დღიდან – 2011 წლის 30 ნოემბრიდან. საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ სააპელაციო პასუხი არ ყოფილა წარდგენილი.

სააპელაციო სასამართლომ, სააპელაციო პასუხის წარუდგენლობის გამო დადგენილად ჩათვალა შემდეგი გარემოებები: მოსარჩელე შპს „ტ. ტ. ს-ს“ ჯეროვნად არ განუხორციელებია გადაზიდვა; მოპასუხე შპს „პ-ის“ ვალდებულება განისაზღვრებოდა მომსახურების ღირებულების (პროვიზიის) გადახდით, მოსარჩელემ კი ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად არ შეასრულა; 2679140 კგ. ხორბლის გადაზიდვა განხორციელდა დანაკარგით; ფოთის პორტში თბომავალ „ნ-დან“ ჩამოიჭვირთა 21312 ტონით ნაკლები ხორბალი.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ზემოთ დასახელებული ფაქტები იურიდიულად ამართლებდა მოთხოვნას სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 730-ე, 369-ე მუხლების საფუძველზე, მოპასუხეს (აპელანტს) არ უნდა დაეკისრებოდა იმ გადაზიდვის ღირებულების გადახდა, რაც მოსარჩელეს არ განუხორციელებია. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე და 2321 მუხლების თანახმად, არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 5 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა შპს „ტ. ტ. ს-მა“, რომელმაც მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 მარტის განჩინებით შპს „ტ. ტ. ს-ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი გარემოებები:

შპს „ტ. ტ. ს-ს“ კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა შპს „პ-ის“ სააპელაციო საჩივარი და 2011 წლის 17 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც იგი გაფრთხილებულ იქნა 15 დღის ვადაში სააპელაციო პასუხის წარდგენის ვალდებულებასა და წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. დასახელებული გზავნილი შპს „ტ. ტ. ს-ისათვის“ ჩაბარებულად ითვლებოდა 2011 წლის 30 ნოემბრიდან.

შპს „ტ. ტ. ს-მა“ თავის მისამართად 2010 წლის 19 ოქტომბრისათვის წარდგენილ სააპელაციო შესაგებელში მიუთითა თბილისი, კ-ას პირველი შესახვევის №33ა, იგივე მისამართი დაფიქსირდა წარმომადგენლის მისამართად. ანალოგიურ მონაცემებს შეიცავდა შპს „ტ. ტ. ს-ის“ მიერ წარდგენილი სარჩელი და შესაგებელი, ხოლო საქმეში არსებული მინდობილობიდან არ ირკვეოდა წარმომადგენლის ან მარწმუნებლის რეკვიზიტები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. თუ მხარის მიერ მითითებულ მისამართზე მას უწყება ვერ ჩააპარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2011 წლის 28 დეკემბრის ცვლილებამდე 73-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილი ითვალისწინებდა მხარისათვის გზავნილის პირველად გაგზავნისას ჩაუბარებლობის შემთხვევაში მის გაგზავნას დამატებით ერთხელ მაინც, ხოლო ცვლილების შემდეგ აღნიშნული დანაწესი გაერთიანდა 73-ე მუხლის 1-ლ ნაწილში. შესაბამისად, მხარის მიერ მითითებულ მისამართზე გზავნილის გაგზავნისას იგი ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლება განმეორებით გაგზავნის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა მან გზავნილი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს „ტ. ტ. ს-ს“ 2011 წლის 17 ოქტომბრის განჩინება და შპს „პ-ის“ სააპელაციო საჩივარი გაეგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე – ქ.თბილისში, კ-ას 1-ლი შესახვევის 33ა-ში, 2011 წლის 19 ოქტომბერსა და 2011 წლის 25 ნოემბერს, თუმცა

გზავნილი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ჩაბარდა იმ საფუძვლით, რომ ამ მისამართზე ადრესატი ვერ იძებნებოდა. ამდენად, მისთვის გზავნილი ჩაბარებულად ითვლებოდა 2011 წლის 25 ნოემბერს გაგზავნის საფუძველზე კურიერის მიერ ჩაბარების შეუძლებლობის თაობაზე ჩანაწერის განხორციელების დროიდან – 2011 წლის 30 ნოემბრიდან.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითება იმის თაობაზე, რომ სასამართლოს ჰქონდა შესაძლებლობა, უზრუნველყო გზავნილის ჩაბარება მხარის მიერ მითითებული სხვა რეკვიზიტების (ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა) გამოყენებით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, თუ უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება და არ არის ვალდებული, დაიცვას თანმიმდევრობა. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, შპს „ტ. ტ. ს-ისათვის“ ჩასაბარებელი გზავნილის ხასიათიდან გამომდინარე სასამართლომ მართებულად მიიჩნია მიზანშეწონილად მისი მხარისათვის ფოსტის მეშვეობით ჩაბარება და ადრესატის მიერ მითითებული მისამართით ხელმძღვანელობა. შესაბამისი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად საჭირო მისამართის მითითების ვალდებულება მხარეებს ეკისრებათ საქმის წარმოების აღძვრისა თუ მასში ჩართვისას ნებისმიერი საპროცესო დოკუმენტის – სარჩელის, შესაგებლის, სააპელაციო საჩივრისა თუ სხვა დოკუმენტის წარდგენისას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე, 201-ე, 368-ე მუხლები). აღნიშნული ვალდებულების დადგენით უზრუნველყოფილია სასამართლო წარმოების შეფერხების თავიდან აცილება, მისი შეუსრულებლობის პირობებში მხარე თავის თავზე იღებს სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ცნობების დროულად მიუღებლობიდან გამომდინარე შედეგების დადგომის რისკს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, როგორც საქმეზე განხორციელებული გზავნილებიდან ირკვეოდა, შპს „ტ. ტ. ს-ის“ წარმომადგენლის მიერ წარდგენილი სარჩელითა და შესაგებლებით მითითებული არ ყოფილა ორგანიზაციის მისამართი, ასეთი მისამართი – თბილისი, ნ-ის გზატკეცილი №25 (რომელზეც განხორციელდა ბოლო გზავნილის – დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარება) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა უბნის ინსპექტორის მიერ შედგენილი 2012 წლის 24 იანვრის ოქმით (საქმეში ასეთი მისამართი არ ფიქსირდებოდა, კერძოდ, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერსა და მინდობილობაში დაფიქსირებულია თბილისი, ვ-ას 45 და ს-ის ქუჩა, რომლებზეც გზავნილების ჩაბარება ასევე ვერ მოხერხდა. ამდენად, შპს „ტ. ტ. ს-ის“ სააპელაციო შესაგებლებსა და სარჩელში ამ ორგანიზაციის მისამართად მითითებული მისამართი – კ-ას პირველი შესახვევის №33ა არასწორი იყო, რაც დასტურდებოდა ამ მისამართზე განხორციელებული გზავნილების ჩაუბარებლობის თაობაზე საფოსტო შეტყობინების ბარათებითა და უბნის ინსპექტორის მიერ შედგენილი აქტით. დასახელებულ მისამართზე გზავნილის ჩაბარება მთელი სამართალწარმოების განმავლობაში განხორციელდა ერთხელ – 2010 წლის 8 ივნისს, რა დროსაც გზავნილის მიმღებად დაფიქსირებულია ოფის-მენეჯერი ნ. გ-ი, თუმცა ჩაბარება არ არის დადასტურებული ორგანიზაციის ბეჭდით, როგორც ეს ამ ორგანიზაციის მისამართზე გზავნილის ჩაბარებისას განხორციელდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ შპს „ტ. ტ. ს-ის“ წარმომადგენელს მის მიერ სასამართლოში შეტანილ არც ერთ დოკუმენტში არ მიუთითებია ორგანიზაციის მიმართი, იგი ორგანიზაციის მისამართად უთითებდა თავის მისამართს.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქმეში არსებული მინდობილობის მიხედვით შპს „ტ. ტ. ს-ის“, მისამართს სარჩელის აღძვრის დროისათვის წარმომადგენდა თბილისი, ს-ის ქ.№40, ორგანიზაციამ საქმის წარმოების განმავლობაში მისამართი შეიცვალა, კერძოდ, უბნის ინსპექტორის ოქმის მიხედვით, შპს „ტ. ტ. ს-ის“ მისამართი 2012 წლის 24 იანვრისათვის არის თბილისი, დაბა ნ-ის №25. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან, აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას გზავნილი გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები. 233-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ: 1. სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; 2. გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა იმ საფუძველით, რომ მონინაალმდევე მხარეს არ გაეგზავნა სააპელაციო საჩივარი. რამდენადაც დადგინდა, რომ ასეთი გარემოების არსებობა საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, სააპელაციო სასამართლომ საჩივარი დაუსაბუთებლად ჩათვალა და არ გაიზიარა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად ჩათვალა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვითაც, აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები არ ამართლებდა მის მოთხოვნას. როგორც დადგინდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „პ-ს“ შპს „ტ. ტ. ს-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 6125 ლარის გადახდა, შემდეგი გარემოებების საფუძველზე: 2009 წლის 26 ივნისის ხელშეკრულებით შპს „ტ. ტ. ს-მა“ იკისრა ვალდებულება, განეხორციელებინა შპს „პ-ის“ ტვირთის გადაზიდვა როსტოვიდან ფოთამდე, შემდეგ კი სადგურ ავჭალამდე და

სადგურ რუსთავამდე; შპს „ტ. ტ. ს-მა“ მოახდინა 2679140 კგ. ხორბლის ტრანსპორტირება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, რომლის ღირებულებამაც, მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობებით, შეადგინა 89009.74 ლარი; შპს „პ-მა“ შპს „ტ. ტ. ს-ს“ 89009.74 ლარიდან არ აუნაზღაურა 6125.22 ლარი; შპს „პ-ის“ სააპელაციო საჩივრის მიხედვით კი, შპს „ტ. ტ. ს-ის“ მიერ განხორციელებული გადაზიდვისას შპს „პ-მა“ მიიღო 6125.22 ლარის ღირებულების ხორბლის დანაკლისი.

სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლის შესაბამისად, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „პ-ის“ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოება შპს „ტ. ტ. ს-ის“ მიერ 6125.22 ლარის ღირებულების ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ, სამართლებრივად ამართლებდა მის პოზიციას, უარი ეთქვა ამ ღირებულების საპასუხო შესრულებაზე.

სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 22 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ტ. ტ. ს-მა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

საკასაციო საჩივრის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველად მითითებული გარემოება შპს „ტ. ტ. ს-ისათვის“ სააპელაციო საჩივრის ასლის სამჯერ გაგზავნის და სამივე შემთხვევაში ჩაუბარებლობის თაობაზე, არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან საქმის მასალებში მითითებულია როგორც შპს „ტ. ტ. ს-ის“, ასევე წარმომადგენლის მისამართი, გარდა ამისა, მითითებულია ტელეფონის ნომრები და ელ.ფოსტის მისამართი. პირველი ინსტანციის სასამართლო სწორედ ამ მისამართებზე ახდენდა სასამართლო გზავნილების და უწყებების ჩაბარებას. კასატორისათვის გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მითითებულ მისამართზე უწყების სამჯერ ჩაუბარებლობასთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც ამავე მისამართზე ჩაბარდა მხარეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

კასატორი აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული გარემოების გამო, მხარეს არ მიეცა სასამართლო განხილვაში მონაწილეობისა და შესაბამისი არგუმენტაციის წარდგენის შესაძლებლობა. შედეგად, დაირღვა შეჯობრებითობის პრინციპი. სააპელაციო სასამართლოს შეეძლო მხარისათვის გზავნილის ჩაბარება მისამართზე, მას ასევე შეეძლო გამოეყენებინა ტელეფონი ან ელექტრონული ფოსტა, რაც არ განუხორციელებია. სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია კანონის სრული დაცვით და დავალიანება, რომელიც შპს „პ-ს“ გააჩნია, გამომდინარეობს ამ უკანასკნელის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ტ. ტ. ს-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში სადავო სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინების მართლზომიერება. სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოებს პირველი ინსტანციის სასამართლოებისათვის დადგენილი ნორმების შესაბამისად, თუ სპეციალური წესებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამდენად, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია საქმის განხილვისას იხელმძღვანელოს პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვის მომწესრიგებელი ნორმებით, თუ საპროცესო კოდექსი სააპელაციო ინსტანციაში საქმეთა განხილვის თავისებურებებიდან გამომდინარე, არ ადგენს საქმის წარმოებისათვის სპეციალურ ნორმებს. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის წარმოების წესებში არ არსებობს ნორმა, რომელიც განსაზღვრავს, სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში დამდგარ სამართლებრივ შედეგებს. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის სახით კანონმდებელი ადგენს დანაწესს, რომლითაც განისაზღვრება სააპელაციო სასამართლოში სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები, თუმცა ეს სხვა ურთიერთობაა და ამ ნორმას ვერ გავავრცელებთ შესაგებლის წარმოდგენლობის შემთხვევაზე. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ შესაგებლის წარუდგენლობისას ურთიერთობა უნდა დაარეგულიროს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის.

პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაგებლის წარდგენის სავალდებულობას ადგენს და მისი შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგს განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი. ამ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის მიხედვით, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეუ-

ლია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოსმენის მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა. აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს (სააპელაციო მოპასუხეს) კანონით დადგენილი წესით ჩაბარებული უნდა ჰქონდეს სააპელაციო საჩივრის ასლი; ბ. იგი გაფრთხილებული უნდა იყოს სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგენლობის სამართლებრივ შედეგთან დაკავშირებით; გ. სააპელაციო საჩივარში მოთხოვნის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს (ასაბუთებდეს) აპელანტის მოთხოვნას; დ. არ უნდა არსებობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ ვერ უზრუნველყო სააპელაციო საჩივრის მისთვის ჩაბარება, რის გამოც შპს „ტ. ტ. ს-ს“, როგორც აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს, არ მიეცა საქმის განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ამდენად, მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში კასატორის მიერ მითითებული გარემოება იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ ვერ უზრუნველყო მისთვის სააპელაციო საჩივრის ჩაბარება, ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან დადგენილია, რომ შპს „პ-ის“ სააპელაციო საჩივრისა და აღნიშნული სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის განჩინების ასლები შპს „ტ. ტ. ს-ს“ სამჯერ გაეგზავნა მის მიერ მითითებულ ორ სხვადასხვა მისამართზე, თუმცა გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება ვერც ერთხელ ვერ მოხერხდა. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 1-ლი და 1<sup>1</sup> ნაწილები, ასევე ამავე კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილი, კერძოდ, 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების წესის მიხედვით. სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება, და არ არის ვალდებული, დაიცავს თანმიმდევრობა. ამავე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის მიხედვით, თუ პირველად გაგზავნისას უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, იგი დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე (სასამართლო შეტყობინების გაგზავნის დროს მოქმედი რედაქციით). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სასამართლო გზავნილი სააპელაციო სასამართლომ გააგზავნა დამატებით ორჯერ, მათ შორის, იმავე და საქმეში არსებულ სხვა მისამართზე, თუმცა გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება მაინც ვერ მოხერხდა ერთ შემთხვევაში მოუძიებლობის, ხოლო მეორე შემთხვევაში მისამართის უსწორობის გამო (19-20). ამდენად, მითითებული ფაქტობრივი გარემოებების არსებობა სააპელაციო სასამართლოს აძლევდა საფუძველს, გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73.1 და 72.2 მუხლები და მათზე დაყრდნობით სასამართლო გზავნილი შპს „ტ. ტ. ს-ისათვის“ ჩაბარებულად ჩათვალიდა.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 იანვრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს VII განყოფილებას დაევალა ამავე სასამართლოს 2012 წლის 5 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების შპს „ტ. ტ. ს-ისათვის“ ჩაბარება, რის შემდგომაც საქმეში წარმოდგენილ იქნა ხსენებული განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებლის 2012 წლის 27 იანვრის №11650 წერილი. წერილის თანახმად, შპს „ტ. ტ. ს-ის“ ამჟამინდელი მისამართია: ნ-ის გზატკეცილი №25.

ინსპექტორ-გამომძიებელმა წერილს თან დაურთო მის მიერ შედგენილი ოქმი, საიდანაც ირკვევა, რომ ქ.თბილისში, ს-ის ქ. №40-ში მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი ფართის მესაკუთრის ინფორმაციით, შპს „ტ. ტ. ს-ი“ დასახელებულ მისამართზე აღარ იმყოფება, იგი გადავიდა დაბა წ-ში, №25-ში. აღნიშნული, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას საქმის წარმოების განმავლობაში შპს „ტ. ტ. ს-ის“ მიერ მისამართის შეცვლის თაობაზე, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლიდან გამომდინარე, დამატებით საფუძველს წარმოადგენს სასამართლო გზავნილის შპს „ტ. ტ. ს-ისათვის“ ჩაბარებულად მიჩნევისათვის. ხსენებული ნორმის თანახმად, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს მისთვის შეტყობინება უნდა გაეგზავნა ტელეფონის მეშვეობით. აღნიშნულ პრეტენზიასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, თუ უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება და არ არის ვალდებული, დაიცვას თანმიმდევრობა. მოცემულ შემთხვევაში, შპს „ტ. ტ. ს-ისათვის“ ჩასაბარებელი გზავნილის ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლომ მართებულად მიიჩნია მიზანშეწონილად მისი მხარისათვის ფოსტის მეშვეობით ჩაბარება და ადრესატის მიერ მითითებული მისამართით ხელმძღვანელობა. შესაბამისი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად საჭირო მისამართის მითითების ვალდებულება მხარეებს ეკისრებათ საქმის წარმოების აღძვრისა თუ მასში ჩართვისას ნებისმიერი საპროცესო დოკუმენტის – სარჩელის, შესაგებლის, სააპელაციო საჩივრისა თუ სხვა დოკუმენტის წარდგენისას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე, 201-ე, 368-ე მუხლები). აღნიშნული ვალდებულების დადგენით უზრუნველყოფილია სასამართლო წარმოების შეფერხების თავიდან აცილება, მისი შეუსრულებლობის პირობებში მხარე თავის თავზე იღებს სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ცნობების დროულად მიუღებლობიდან გამომდინარე უარყოფითი შედეგების დადგომის რისკს.

კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად უთითებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სააპელაციო მოთხოვნას, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება გამოტანილი იყო კანონის სრული დაცვით და სადავო დავალიანება შპს „პ-ს“ დაეკისრა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს შემდეგ: შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, ისევე როგორც სასამართლო სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის (სააპელაციო მოპასუხის) გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ სააპელაციო მოსარჩელის (აპელანტის) მიერ მითითებული გარემოებების იურიდიულ შესაბამისობაზე სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასთან მიმართებით, თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილისა. სააპელაციო სასამართლო ამონიშნავს გადაწყვეტილებას არა მარტო სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი თვალსაზრისითაც. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პრეზუმფციასაც ეფუძნება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად გაამართლებენ მასში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას. დასახელებული საპროცესო ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მიიჩნევა დამტკიცებულად და, თუ ისინი იურიდიულად ასაბუთებენ აპელანტის მოთხოვნას, სასამართლო დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ სააპელაციო მოპასუხემ ვერ დაადასტურა საპირისპირო.

განსახილველ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საპროცესო თავისებურებებიდან გამომდინარე, შპს „პ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა არა საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, არამედ იმის გამო, რომ აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, კერძოდ, აპელანტმა სააპელაციო საჩივარში მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: მოპასუხე შპს „პ-ის“ ვალდებულია განისაზღვროდა მომსახურების ღირებულების გადახდით, მაგრამ, მოსარჩელემ ჯეროვნად არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, 2679140 კვ. ხორბლის გადაზიდვა განხორციელდა დანაკარგით – ფოთის პორტში თბომავალ „ნ-ადან“ ჩამოიტვირთა 21312 ტონით ნაკლები ხორბალი, რის გამოც მოსარჩელის მიერ განხორციელებული გადაზიდვისას შპს „პ-მა“ მიიღო 6125.22 ლარის ღირებულების ხორბლის დანაკლისი. სააპელაციო საჩივარში მითითებული ამ გარემოებების გაქარწყლების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა სააპელაციო მოპასუხე შპს „ტ. ტ. ს-ს“, მაგრამ, ვინაიდან მან სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო შესაგებელი არ წარადგინა, ამიტომ ასეთ შემთხვევაში უნდა ამოქმედდეს პრეზუმფცია, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ სააპელაციო მოპასუხემ ვერ დაადასტურა საპირისპირო. ასეთ ვითარებაში, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია დადგენილად (დამტკიცებულად) სა-

აპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები, რომლებიც, სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 369-ე, 730-ე მუხლების შესაბამისად, იურიდიულად ამართლებს აპელანტის მოთხოვნას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გააჩნდა ყველა წინაპირობა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელანტის მონინალმდგე-გე მხარის მიერ სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) დადგენილ ვადაში არასაპატიო მიზეზით წარუდგენ-ლობის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მიერ მითითებული კანონის დარღვევას არა აქვს ადგი-ლი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფი-ლებაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნა-წილით, 410-ე მუხლით და

#### დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. შპს „ტ. ტ. ს-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2012 წლის 22 მარტის განჩინება საჩივ-რის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა შ ი უ ს ნ ო რ ო ბ ის ბ ა ს ნ ო რ ა ბ ა

#### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1380-1397-11

8 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობა, რეესტრის ჩანაწერის გაუქმება და საერთო საკუთრების ფართის საკუთრებაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ი. მ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ბ-ის, ი. ჯ-ას, ნ. გ-ის, თ. ტ-ისა და სხვათა მიმართ და მოითხო-ვა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობა, რეესტრის ჩანაწერის გაუქმება და საერთო საკუთრების ფართიდან წილის საკუთრებაში გადაცემა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით ი. მ-ის სარჩელი არ დაკმა-ყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით, გაუქმდა გასაჩივრე-ბული გადაწყვეტილება და ი. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. მ-ემ და მოით-ხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 დეკემბრის განჩი-ნებით საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია სასამართლო განჩინე-ბაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოხსენებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, რო-გორც მხარეთა მოთხოვნით, ისე საკუთარი ინიციატივით გაასწოროს სასამართლო გადაწყვეტილებასა თუ განჩინებაში დაშვებული შეცდომები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 დეკემბრის განჩინებაში არასწორად მიეთითა კასატორის დასახელება, კერძოდ, „ი. მკ-ე“; რაც უნდა შეიცვალოს: „ი. მ-ე“.

სარეზოლუციო ნაწილი:  
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2011 წლის 14 დეკემბრის განჩინებაში დაშვებული შედგევი უსწორობა:  
2011 წლის 14 დეკემბრის განჩინებაში „ი. მკ-ე“, უნდა შეიცვალოს „ი. მ-ე“,  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## განჩინებაში უსწორობის გასწორება

### განჩინება

№ას-1711-1695-2011

3 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ი. და გ. ქ-ებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ფ. ქ-ის, გ. ქ-ის უფლებამონაცვლე ტ. ქ-ის, ასევე მესამე პირების: ა. ქ-ისა და თ. კ-ის მიმართ 1971 წლის 17 აგვისტოს გ. ი. კ. ქ-ას სახელზე გაცემული მემკვიდრეობის უფლების მონუმობის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინებით ი. ქ-ის უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა გ. ქ-ა.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით მოსარჩელე გ. ქ-ის სარჩელი სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ქ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით გ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ქ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 თებერვლის განჩინებით გ. ქ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობების არარსებობის გამო. ამავე განჩინებით კასატორ გ. ქ-ს (პირადი №...) დაუბრუნდა საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშიდან (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიში, სს „ბანკი რესპუბლიკა“ ბანკის BIC კოდი: REPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის № GE79 BR00 0000 0033 0500 01.) მის მიერ 2011 წლის 23 დეკემბრის №2 საგადახდო დავალებით ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე გადახდილი 400 ლარისა და 2012 წლის 16 იანვარს მის მიერვე საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ანგარიშზე №20 საგადახდო დავალებით გადახდილი 850,50 ლარის, სულ 1250,50 ლარის 70% – 875,35 ლარი.

2012 წლის 26 აპრილს გ. ქ-მა განცხადებით მომართა სასამართლოს და განმარტა, ვინაიდან საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის ნაწილი გადახდილია სახელმწიფო ხაზინაში, მან ვერ შეძლო სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე ჩარიცხული სახელმწიფო ბაჟიდან კუთვნილი თანხის დაბრუნება.

კასატორის განცხადების საფუძველზე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს გ. ქ-ისათვის დაბრუნებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის დასადგენად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მომართვით ირკვევა, რომ მხარეს 2012 წლის 23 მარტს დაუბრუნდა 595,35 ლარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ 2012 წლის 13 თებერვლის №ას-1711-1695-2011 განჩინების სამოტივაციო ნაწილსა და სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში დაშვებულია უსწორობა, რომელიც უნდა გასწორდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 თებერვლის განჩინებით გ. ქ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, სასამართლო ხარჯების განსაზღვრის ნაწილში განჩინების სამოტივაციო ნაწილი და სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „გ. ქ-ს (პირადი №...) დაუბრუნდეს საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშიდან (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიში, სს „ბანკი რესპუბლიკა“ ბანკის BIC კოდი: REPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის № GE79 BR00 0000 0033 0500 01.) მის მიერ 2011 წლის 23 დეკემბრის №2 საგადახდო დავალებით ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე გადახდილი 400 ლარისა და 2012 წლის 16 იანვარს მის მიერვე საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ანგარიშზე №20 საგადახდო დავალებით გადახდილი 850,50 ლარის, სულ 1250,50 ლარის 70% – 875,35 ლარი“.

2012 წლის 26 აპრილს გ. ქ-მა განცხადებით მომართა სასამართლოს და განმარტა, ვინაიდან საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის ნაწილი გადახდილია სახელმწიფო ხაზინაში, მან ვერ შეძლო სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე ჩარიცხული სახელმწიფო ბაჟიდან კუთვნილი თანხის დაბრუნება.

კასატორის განცხადების საფუძველზე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს გ. ქ-ისათვის დაბრუნებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის დასადგენად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მომართვით ირკვევა, რომ მხარეს 2012 წლის 23 მარტს დაუბრუნდა 595,35 ლარი.

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, სახელმწიფო ბაჟი, რომელიც ექვემდებარება დაბრუნებას, უნდა გაიცეს ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე შესაბამისი ბიუჯეტიდან ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშიდან. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საკასაციო პალატის 2012 წლის 13 თებერვლის განჩინებით მხარეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების საგირავნო-სადეპოზიტო ანგარიშიდან დაუბრუნდა, როგორც მის მიერ 2011 წლის 23 დეკემბრის №2 საგადახდო დავალებით ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე გადახდილი 400 ლარისა და 2012 წლის 16 იანვარს მის მიერვე საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ანგარიშზე №20 საგადახდო დავალებით გადახდილი 850,50 ლარის, სულ 1250,50 ლარის 70% – 875,35 ლარი, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განჩინებაში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, არასწორადაა მითითებული სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში მოვალე, რაც მიზანშეწონილია გასწორდეს.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ დაუბრუნდა ამავე ანგარიშზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 850,50 ლარის 70% – 595,35 ლარი და მას მისაღები დარჩა სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხული 400 ლარის 70% – 280 ლარი, პალატა თვლის, რომ სასამართლო ხარჯების განსაზღვრის ნაწილში 2012 წლის 13 თებერვლის განჩინების სამოტივაციო ნაწილი და სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „კასატორ გ. ქ-ს (პირადი №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან: თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების №200122900, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – №220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – №300773150, დანიშნულება – „სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე“ დაუბრუნდეს მის მიერ 2011 წლის 23 დეკემბრის №2 საგადახდო დავალებით ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე გადახდილი 400 ლარის 70% – 280 ლარი, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშიდან: სს „ბანკი რესპუბლიკა“ ბანკის BIC კოდი: RPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის № GE79 BR00 0000 0033 0500 01. 2012 წლის 16 იანვარს მის მიერვე საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ანგარიშზე №20 საგადახდო დავალებით გადახდილი 850,50 ლარის 70% – 595,35“.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საგირავნო-სადეპოზიტო ანგარიშიდან მხარეს უკვე მიღებული აქვს დაბრუნებული სახელმწიფო ბაჟი, პალატა თვლის, რომ სააღსრულებო ფურცელი გაცემულ უნდა იქნას მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი თანხის ნაწილში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ უსწორობის გასწორების საკითხის სასამართლო სხდომაზე განხილვა მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

სარეზოლუციო ნაწილი:



საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

### და ა ა ზ ი ნ ა:

1. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 თებერვლის №ას-1711-1695-2011 განჩინებაში დაშვებული უსწორობა.

2. სასამართლო ხარჯების ნაწილში განჩინების სამოტივაციო ნაწილი და სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: კასატორ გ. ქ-ს (პირადი №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან: თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების №200122900, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – №220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – №300773150, დანიშნულება – „სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე“ დაუბრუნდეს მის მიერ 2011 წლის 23 დეკემბრის №2 საგადახდო დავალებით ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე გადახდილი 400 ლარის 70% – 280 ლარი, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშიდან: სს „ბანკი რესპუბლიკა“ ბანკის BIC კოდი: RPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის № GE79 BR00 0000 0033 0500 01. 2012 წლის 16 იანვარს მის მიერვე საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ანგარიშზე №20 საგადახდო დავალებით გადახდილი 850,50 ლარის 70% – 595,35.

3. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი სახელმწიფო ბაჟის ნაწილში გაცემულ იქნას სააღსრულებო ფურცელი.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა შ ი უ ს წ ო რ ო ბ ი ს ბ ა ს წ ო რ ე ბ ა

#### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-4365-შ-71-2011

18 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის განჩინებით „ტ. ე. ჯ-ს“ წარმომადგენელ გ. ბ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, შეწყდა წარმოება საქმეზე „ტ. ე. ჯ-ის“ შუამდგომლობის გამო, სს „... ..-ის“ მიმართ ლონდონის საზღვაო საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ. განემარტათ მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმოკრულ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. „ტ. ე. ჯ-ის“ შემდეგი ანგარიშიდან: თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების №200122900, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – №220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – №300773150 დაუბრუნდა ნ. ყ-ის მიერ 2011 წლის ... ნოემბერს №.. საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 8000 ლარი.

აღნიშნულის განჩინების საფუძველზე, მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მომართვის გამო თანხის დაბრუნების ნაწილში გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი.

2012 წლის 14 ივნისს შვეიცარიული კომპანია „ტ. ე. ჯ-ის“ წარმომადგენელმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და განმარტა, რომ 2012 წლის 20 თებერვლის განჩინებასა და ამ განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ნ. ყ-ის ნაცვლად არასწორადაა მითითებული ნ. ყ-ი, რაც სახაზინო სამსახურის მიერ სახელმწიფო ბაჟის დაბრუნებაზე უარის თქმის საფუძველად იქნა მიჩნეული, განმცხადებელმა წარმოადგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსის მოადგილე დ. ც-ს წერილობითი განმარტება სახელმწიფო ბაჟის გადამხდელის დაზუსტების თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა განჩინებასა და სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და განცხადების საფუძველიანობის შესწავლის შედეგად თვლის, რომ „ტ. ე. ჯ-ის“ შუამდგომლობა უსწორობის გასწორების თაობაზე საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებები გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის განჩინებით სასამართლოს მთავარ სხდომამდე დაკმაყოფილდა რა „ტ. ე. ჯ-ის“ შუამდგომლობა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე შუამდგომლობაზე

უარის თქმის შესახებ, ამავე განჩინებით დაუბრუნდა „ტ. ე-ჯ-ის“ შუამდგომლობის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. საკასაციო პალატის 2012 წლის 20 თებერვლის განჩინებასა და ამ განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში სახელმწიფო ბაჟის გადახდელად მიეთითა „ნ. ყ-ი“.

2012 წლის 14 ივნისს შვეიცარიული კომპანია „ტ. ე-ჯ-ის“ წარმომადგენელმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და განმარტა, რომ 2012 წლის 20 თებერვლის განჩინებასა და ამ განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ნ. ყ-ის ნაცვლად არასწორადაა მითითებული ნ. ყ-ი, რაც სახაზინო სამსახურის მიერ სახელმწიფო ბაჟის დაბრუნებაზე უარის თქმის საფუძველად იქნა მიჩნეული, განმცხადებელმა წარმოადგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსის მოადგილე დ. ც-ს წერილობითი განმარტება სახელმწიფო ბაჟის გადახდელის დაზუსტების თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა განჩინებასა და სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ უსწორობის გასწორების საკითხის სასამართლო სხდომაზე განხილვა მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

საკასაციო პალატა საქმეში წარმოდგენილი 2011 წლის 21 ნოემბრის №.. საგადახდო დავალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მხარის შუამდგომლობა უსწორობის გასწორების თაობაზე საფუძველიანია, რადგანაც მითითებულ დოკუმენტში გადასახადის გადახდელად მითითებული „ნ. ყ-ი“, ხოლო საკასაციო პალატის განჩინებასა და სააღსრულებო ფურცელში „ნ. ყ-ი“, რაც მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობაა.

ამასთანავე, რადგანაც საპროცესო კანონმდებლობა სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების შესაძლებლობას პირდაპირ არ ითვალისწინებს, საკასაციო პალატა თვლის, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ანალოგიის წესით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლზე დაყრდნობით, რადგანაც, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც ანესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი ნორმაც არ არსებობს, სასამართლო ემყარება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გასწორდეს ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის განჩინების სამოტივაციო ნაწილსა და სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში, ასევე 2012 წლის 20 მარტის სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობა, განჩინების სამოტივაციო ნაწილსა და სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში მითითებული „ნ. ყ-ი“ გასწორდეს „ნ. ყ-ით“, რაც შეეხება ამ განჩინების საფუძველზე 2012 წლის 20 მარტს გაცემულ სააღსრულებო ფურცელს, პალატა თვლის, რომ სააღსრულებო ფურცელში, განჩინების სარეზოლუციო ნაწილის ველში ნაცვლად „ნ. ყ-ისა“ უნდა მიეთითოს „ნ. ყ-ი“.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და

#### და ა დ გ ი ნ ა :

1. „ტ. ე-ჯ-ის“ წარმომადგენელ გ. ბ-ის შუამდგომლობა უსწორობის გასწორების თაობაზე დაკმაყოფილდეს.
2. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის განჩინებასა და ამ განჩინების საფუძველზე 2012 წლის 20 მარტს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობანი.
3. განჩინების სამოტივაციო ნაწილსა და სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში მითითებული „ნ. ყ-ი“ გასწორდეს „ნ. ყ-ით“.
4. 2012 წლის 20 მარტს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში განჩინების სარეზოლუციო ნაწილის ველში მითითებული „ნ. ყ-ი“ გასწორდეს „ნ. ყ-ით“.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინებაში უსწორობის გასწორება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ქათამაძე,  
ვ. როინიშვილი

### დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ბ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. გ-ს მიმართ ფულადი ვალდებულების 4739 აშშ დოლარის შესრულების დაკისრების შესახებ შემდეგი დასაბუთებით: 2004 წლის აპრილიდან 2006 წლამდე თ. გ-ს, რომელთანაც ჰქონდა ახლო მეგობრული ურთიერთობა, ეტაპობრივად ასესხა 200 ამერიკული დოლარი, 400 აშშ დოლარი, 600 აშშ დოლარი – სულ 1000 აშშ დოლარი. ამის გარდა, 2006 წლის განმავლობაში ეტაპობრივად მიცემულმა თანხამ შეადგინა 1500 აშშ დოლარი. 2007 წელს მოსარჩელემ 330 აშშ დოლარი მოპასუხეს კვლავ ასესხა, რომელიც თ. გ-ს უნდა დაებრუნებინა 2007 წლის 27 დეკემბერს, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო, ე.ი თ. გ-ს 2007 წლამდე 3030 დოლარის ვალდებულება ჰქონდა შეუსრულებელი. 2010 წლის აპრილში, მოსარჩელემ ასესხა მოპასუხეს 1285 აშშ დოლარი, საპროცენტო განაკვეთით თვეში 133 აშშ დოლარად. აღნიშნული თანხის გადახდა მას 2010 წლის სექტემბრიდან უნდა დაეწყო, ე.ი 1285+133X4 თვეზე, რაც შეადგენს 1709 დოლარს. მოპასუხეს აღნიშნული თანხა არ დაუბრუნებია მოსარჩელისათვის. ამჟამად თ. გ-ს ვალდებულება მ. ბ-ს მიმართ შეადგენს 4739 აშშ დოლარს.

მოპასუხე თ. გ-მ სარჩელი ნაწილობრივ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 2002 წელს მ. ბ-საგან ისესხა 200 აშშ დოლარი, რომელიც იყო პროცენტიანი და თვეში უხდიდა 20 აშშ დოლარს. პროცენტს იხდიდა 2 წელი და 7 თვე. ბოლოს დაუგროვდა 4 თვის პროცენტი გადასახდელი. მ. ბ-მ დამატებით ასესხა 300 აშშ დოლარი. სესხმა შეადგინა 500 აშშ დოლარი, რომლის პროცენტსაც იხდიდა 2007 წლამდე, ხოლო, რაც შეეხება 330 აშშ დოლარს, ეს არის პროცენტი და არა ძირითადი თანხა, რომელიც 2007 წელს ვერ გადაიხადა. ამდენად, მ. ბ-ს მიმართ მოპასუხის ვალდებულება შეადგენს ძირითად თანხას 500 აშშ დოლარსა და პროცენტს 330 აშშ დოლარს. გარდა ამისა, 2009 წელს მ. ბ-ს სხვადასხვა დროს ესესხა 200 აშშ დოლარი, გადაიხადა 2 თვის პროცენტი 80 დოლარი, შემდეგ ისესხა 300 აშშ დოლარი, ამის შემდეგ 500 აშშ დოლარი. 2010 წლის აგვისტოში მიხვდა რა მ. ბ-ა, რომ მას ვერ უბრუნებდა მოპასუხე თანხას, მისმა შვილმა ი. ხ-მ მოპასუხის შესაძინებლად გამოიყენა თანაკლასელი, ყოფილი პოლიციელი, სენაკში მცხოვრები გ. გ-ა, რამდენჯერმე დაემუქრნენ, რომ, თუ ფულს არ გადაიხდიდა, „სახლს დაუცხრილავდნენ“. 2010 წლის 20 აგვისტოს, დილის 8 საათზე, ნ. თ-ე და გ. გ-ა მივიდნენ მოპასუხესთან და მოტყუებით ნაიყვანეს ზუგდიდში და ძალადობის გამოყენებით დააწვინეს ხელწერილი ვალის აღიარების შესახებ.

სენაკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ბ-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თ. გ-ს მ. ბ-ს სასარგებლოდ დაეკისრა 2 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-მ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ბ-ს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მ. ბ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა, თ. გ-ს მაყვალა ბედიას სასარგებლოდ დამატებით დაეკისრა 1418 აშშ დოლარის (ძირითადი თანხის) და 63 აშშ დოლარის (ზიანის ანაზღაურების) გადახდა შემდეგი დასაბუთებით: პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2010 წლის 20 აგვისტოს თ. გ-ს მიერ შესრულებულია ორი ხელწერილი. პირველი ხელწერილის თანახმად, თ. გ-ა აღიარებს ვალის არსებობას მ. ბ-ს მიმართ სულ 2500 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო, მეორე ხელწერილის თანახმად, აღიარებს ვალის არსებობას 1418 აშშ დოლარის ოდენობით. თ. გ-სთვის 2500 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. მხარეთა შორის დავა შეეხება 2010 წლის 20 აგვისტოს შედგენილ მხოლოდ მეორე ხელწერილში არსებული 1418 აშშ დოლარის ვალის არსებობას. პალატამ განმარტა, რომ თ. გ-ა 1418 აშშ დოლარის ვალის აღიარებაზე ხელწერილის თავად შედგენის ფაქტს არ უარყოფს, არამედ იგი სადავოს ხდის, რომ ეს ხელწერილი დაინერა ყველა სხვა ხელწერილის განადგურების მოტივით, თუმცა ამის დამამტკიცებელი საბუთი მას არ წარმოუდგენია. საქმეში წარმოდგენილ ხელწერილში არსად არის მინიშნება იმაზე, რომ იგი დაიდო, რთა სხვა ხელწერილები განადგურებულიყო.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები პალატამ სამართლებრივად შემდგენილად შეაფასა: სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 623-ე, 624-ე მუხლების თანახმად, მხარეთა შორის არსებობდა ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა, ხოლო, ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთლსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე, და 131-ე მუხლების თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზეც და სააპელაციო სასამართლოშიც თ. გ-ა არ უარყოფდა ამ ხელწერილის არსებობას და მასზე მის ხელმოწერას. საქმეში წარმოდგენილია ვალის, 1418 აშშ დოლარის, არსებობის აღიარების ხელწერილის დედანი, რომელსაც ხელს აწერს თ. გ-ა. აღნიშნულ ხელწერილში არსად არ არის მინიშნება იმაზე, რომ იგი დაიდო, რათა მომხდარიყო სხვა ხელწერილის განადგურება. ამაზე მხოლოდ თ. გ-ს ზეპირი განმარტება არსებობს, რაც არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს ამ ხელწერილის საწინააღმდეგოდ და გასაქარწყლებლად, ე.ი არსებობს წერილობითი მტკიცებულება 1418 აშშ დოლარის ვალის არსებობის აღიარებაზე. ამ პოზიციის საწინააღმდეგო მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, პალატამ და-

ადგინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლზე, რადგან საქმის მასალებით არ დგინდება, რომ 1418 აშშ დოლარს აღიარების ხელწერილი 2010 წლის 20 აგვისტოს იმიტომ შედგა, რათა სხვა ხელწერილები განადგურებულიყო. პალატამ განმარტა, რომ, ვინაიდან დგინდება, რომ თ. გ-ს 1418 აშშ დოლარის დაკისრების საფუძველი, რომელიც იყო პროცენტიანი, თ. გ-სვე უნდა დაეკისროს, ამ თანხის გადაუხდელობის გამო, მასზე გათვალისწინებული პროცენტი თვენახევრის განმავლობაში სარჩელის შეტანამდე, რაც შეადგენს 63 აშშ დოლარს. კონკრეტულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად და უსაფუძვლოდ არ გაიზიარა მ. ბ-ს მოთხოვნა იმის შესახებ, რომ თ. გ-ს მისი ვალი 2010 წლის 20 აგვისტოს აღიარების ხელწერილით კიდევ ემართა 1418 აშშ დოლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. გ-მ შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიუთითა საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე. 2010 წლის 20 აგვისტოს შედგენილ იქნა 2 ხელწერილი, როგორც კასატორმა მიუთითა, 2010 წლის 20 აგვისტოს მ. ბ-ს ახლობლებმა მოტყუებით გაიყვანეს სახლიდან, ჩასვეს ავტომანქანაში და წაიყვანეს ზუგდიდში მ. ბ-ს ქალიშვილი, ი. ხ-ს სახლში, სადაც დახვდა უცნობი საეჭვო, რეპუტაციის ხალხი, მუქარით დაანერინეს პირველად ის ხელწერილი, სადაც აღიარებდა, რომ მ. ბ-მ ასესხა 1285 აშშ დოლარი და პროცენტი უნდა გადაეხადა თვეში 133 აშშ დოლარი, სულ, 1485 აშშ დოლარი. შემდეგ მ. ბ-ს კასატორის მიერ დაწერილი ხელწერილი არ მოეწონა და უთხრა, დაენერა ხელწერილი, სადაც მ. ბ-ს მთელი ვალი ერთად ჩაინერებოდა და ყველა სხვა ხელწერილი განადგურდებოდა, მათ შორის, ის ხელწერილი, რომელიც იმ დღეს დაანერინეს. ამის შემდეგ იმ დღესვე დაანერინეს ხელწერილი 2500 აშშ დოლარზე. კასატორის დასანახად, მ. ბ-ს ქალიშვილმა ი. ხ-მ მართლაც დახია რაღაც ფურცლები, კასატორი იყო შეშინებული და აფორიაქებული, ეგონა რომ სხვა ხელწერილები მართლა დახია, რადგან ყველა ვალი მოექცა ერთ ხელწერილში და ზუსტად ამიტომ დაინერა 1000 + 1500 აშშ დოლარი. სააპელაციო პალატამ კი მიუთითა, რომ 1418 აშშ დოლარის აღიარების ხელწერილი იმიტომ შედგა, რათა სხვა ხელწერილები განადგურებულიყო. სასამართლომ არასწორად მიუთითა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რადგან 1418 აშშ დოლარის აღიარების ხელწერილი იმიტომ კი არ შედგა, რომ სხვა ხელწერილები განადგურებულიყო, არამედ 2500 აშშ დოლარის აღიარების ხელწერილი დაიდო სხვა ხელწერილების განადგურების პირობით, მათ შორის, 1418 აშშ დოლარის აღიარების ხელწერილიც უნდა განადგურებულიყო. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა არასწორ ფაქტობრივ გარემოებაზე და შედეგად მიიღო არასწორი სამართლებრივი შედეგი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 19 დეკემბრის განჩინებით თ. გ-ს საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2012 წლის 21 მაისს თ. გ-მ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა 2011 წლის 19 დეკემბრის განჩინებაში დაშვებული უზუსტობის გასწორება, კერძოდ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილ თანხად ნაცვლად 326 ლარისა მითითებულიყო 325 ლარი და შესაბამისად გასწორებულიყო აღნიშნული შეცდომა საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2011 წლის 19 დეკემბრის განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელშიც.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თ. გ-ს განცხადება საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 დეკემბრის განჩინების სამოტივაციო ნაწილში სიტყვები: თ. გ-ს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 326 ლარის 70% – 228,2 ლარი, უნდა გასწორდეს შემდეგნაირად: თ. გ-ს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 325 ლარის 70% – 227,5 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილის მე-2 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: თ. გ-ს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 325 ლარის 70% – 227,5 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

## და ა დ გ ი ნ ა:

თ. გ-ს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 19 დეკემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორებასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდეს.

გასწორდეს 2011 წლის 19 დეკემბრის განჩინების სამოტივაციო ნაწილში სიტყვები: თ. გ-ს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 326 ლარის 70 % – 228,2 ლარი, უნდა გასწორდეს შემდეგნაირად:

დეგნაირად: თ. გ-ს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 325 ლარის 70 % – 227,5 ლარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 დეკემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: თ. გ-ს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 325 ლარის 70% – 227,5 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## განჩინებაში უსწორობის გასწორება

### განჩინება

№ას-1795-1772-2011

28 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ნათესაური კავშირის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ი. ც-ის მიმართ და მოითხოვა ნათესაური კავშირის დადგენა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით მ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ც-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სასამართლო შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოხსენებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, როგორც მხარეთა მოთხოვნით, ისე საკუთარი ინიციატივით გაასწოროს სასამართლო გადაწყვეტილებასა თუ განჩინებაში დაშვებული შეცდომები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 თებერვლის განჩინების სამოტივაციო ნაწილში სიტყვები: „ი. ც-ეს დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის 70% – 210 ლარი“ უნდა გასწორდეს სიტყვებით: „ი. ც-ეს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშიდან დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის 70% – 210 ლარი (2012 წლის 10 იანვარი, სალაროს შემოსავლის ორდერი №...) სს ბანკ „რესპუბლიკის“ მეშვეობით“.

სარეზოლუციო ნაწილის მე-2 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ი. ც-ეს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშიდან დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის 70% – 210 ლარი (2012 წლის 10 იანვარი, სალაროს შემოსავლის ორდერი №...) სს ბანკ „რესპუბლიკის“ მეშვეობით“.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, საქმეთა პალატის 2012 წლის 6 თებერვლის განჩინებაში დაშვებული შემდეგი უსწორობა: „ი. ც-ეს დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი

სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის 70% – 210 ლარი“, გასწორდეს სიტყვებით: „ი. ც-ეს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშიდან დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის 70% – 210 ლარი (2012 წლის 10 იანვარი, სალაროს შემოსავლის ორდერი №...) სს ბანკ „რესპუბლიკის“ მეშვეობით“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 თებერვლის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ი. ც-ეს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშიდან დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის 70% – 210 ლარი (2012 წლის 10 იანვარი, სალაროს შემოსავლის ორდერი №...) სს ბანკ „რესპუბლიკის“ მეშვეობით.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## განჩინებაში უსწორობის გასწორება

### განჩინება

№ას-1610-1604-2011

25 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: სააღსრულებო ფურცლის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

რ. ჯ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის პირველი ნოემბრის განჩინებით რ. ჯ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის პირველი ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა რ. ჯ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 9 იანვრის განჩინებით რ. ჯ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა რ. ჯ-მა და მოითხოვა საკასაციო სასამართლოს 2012 წლის 9 იანვრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 2 აპრილის განჩინებით რ. ჯ-ის განცხადება ამავე სასამართლოს 2012 წლის 9 იანვრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2012 წლის 7 მაისს რ. ჯ-მა კვლავ მომართა სასამართლოს და მოითხოვა 2012 წლის 2 აპრილის განჩინებაში დაშვებული შემდეგი სახის უსწორობების გასწორება: შესავალ ნაწილში გასაჩივრებულ განჩინებად არასწორადაა მითითებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 ნოემბრის განჩინება. აღწერილობით ნაწილში არასწორადაა მითითებული სააღსრულებო ფურცლის გაუქმებისა და კერძო საჩივრის საფუძვლების შესახებ, ასევე არასწორია 2003 წლის 27 ივნისის განჩინების თარიღიც. 2012 წლის 2 აპრილის განჩინებაში მითითებული 2011 წლის 9 იანვრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების ნაცვლად, უნდა ყოფილიყო – 2012 წლის 9 იანვრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორება. აღწერილობით ნაწილის მე-4 აბზაცში ნაცვლად საკასაციო საჩივრისა უნდა იყოს კერძო საჩივარი და თ. ჯ-ის ნაცვლად რ. ჯ-ი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ჯ-ის განცხადება უსწორობის გასწორების შესახებ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატას მიზანშეწონილად არ მიაჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

2012 წლის 7 მაისს რ. ჯ-ის მიერ წარმოდგენილი განცხადების მეხუთე და მეექვსე პუნქტებთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლოს იმსჯელა 2012 წლის 2 აპრილის განჩინებით და განმცხადებლის მოთხოვნა უსწორობის გასწორებასთან დაკავშირებით უსაფუძვლოდ მიიჩნია, შესაბამისად, მოცემული ფაქ-

ტობრივი გარემოებების ხელახალ შეფასებას საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გასაჩივრებულ განჩინებად სწორადაა მითითებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 ნოემბრის განჩინება.

რაც შეეხება, რ. ჯ-ის მიერ წარმოდგენილი განცხადების, მეორე, მესამე და მეოთხე პუნქტებით მითითებული უსწორობების გასწორებას საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, განჩინების შესავალ ნაწილში განმცხადებლის მოთხოვნად 2011 წლის 9 იანვრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების ნაცვლად, მიეთითოს 2012 წლის 9 იანვრის განჩინება. განჩინების აღწერილობით ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 9 იანვრის განჩინებით რ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა ნაცვლად, მიეთითოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 9 იანვრის განჩინებით რ. ჯ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნული თ. ჯ-ი შეიცვალოს რ. ჯ-ით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

#### და ა დ გ ი ნ ა :

რ. ჯ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 აპრილის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, კერძოდ, გასწორდეს შემდეგი სახის უსწორობები:

1. განჩინების შესავალ ნაწილში განმცხადებლის მოთხოვნად 2011 წლის 9 იანვრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების ნაცვლად, მიეთითოს 2012 წლის 9 იანვრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორება.

2. განჩინების აღწერილობით ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 9 იანვრის განჩინებით რ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა ნაცვლად, მიეთითოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 9 იანვრის განჩინებით რ. ჯ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

3. განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნული თ. ჯ-ი შეიცვალოს რ. ჯ-ით.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა შ ი უ ს წ ო რ ო ბ ი ს ბ ა ს წ ო რ ე ბ ა

#### ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

№ას-1297-1317-2011

31 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: სახელშეკრულებო ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ე თ. ე. მ. ე-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „გ. პ-ისა“ და სს „ა. ს. ბ. – ს-ს“ მიმართ მხარეთა შორის დადებული გარიგების მეორე ნაწილის 80%-ის – 442 136 აშშ დოლარის, ასევე პირგასამტეხლოს – კონტრაქტის საერთო ღირებულების 5%-ის – 27 633 აშშ დოლარის, ასევე სასამართლო ხარჯების დაკისრების მოთხოვნით.

მოპასუხე შპს „გ. პ-მა“ სარჩელი არ ცნო, ასევე არ ცნო სარჩელი სს „ა. ს. ბ. – ს-მ“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „ე თ. ე. მ. ე-ის“ სარჩელი შპს „გ. პ-ისა“ და სს „ა. ს. ბ. – ს-ს“ მიმართ არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის განჩინებით შპს „ე თ. ე. მ. ე-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ე თ. ე. მ. ე-მა“. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მარტის განჩინებით შპს „ე თ. ე. მ. ე-ის“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ამავე კოდექსის 401-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე კი, კასატორს დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

2012 წლის 8 ივნისს კასატორის წარმომადგენელმა ზ. ქუ-მა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, წარმოადგინა უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე, რაც საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიერ 2012 წლის 11 ივნისს დაკმაყოფილდა.

2012 წლის 21 ივნისს ზ.ქუცნაშვილმა კვლავ მომართა საკასაციო სასამართლოს და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, 21-ე მუხლისა და 24-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებასა და ამ განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორება, რადგანაც, განმცხადებლის განმარტებით, სახელმწიფო ბაჟის 70% უნდა დაუბრუნდეს არა საქმის წარმოების მხარეს, არამედ სახელმწიფო ბაჟის გადამხდელ შპს „ე. ტ. ე-ის“, რომელიც საქართველოს საწარმოა და რომელმაც რეალურად გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი. განმცხადებლის განმარტებით, საწინააღმდეგო შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის გადამხდელს მიადგება ზიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ივნისის განჩინებით შპს „ე. ტ. ე. მ. ე-ის“ წარმომადგენელ ზ. ქ-ის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ არ არსებობდა განცხადებაში მითითებული სახით მისი დაკმაყოფილების წინაპირობები.

2012 წლის 26 ივლისს კასატორის წარმომადგენელმა ზ.ქ-მა კვლავ მომართა სასამართლოს განცხადებით და იშუამდგომლა მის მიერ არასწორად მონოდებული კასატორის სარეგისტრაციო კოდის საკასაციო პალატის განჩინებასა და ამ განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში გასწორება, წარმოდგენილ განცხადებას მხარემ დაურთო შპს „ე. ტ. ე-ის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლის თანახმადაც შპს „ე. მ. ე. კ-ს“ (E. M. E. Co.LLC-ს) საფოსტო ყუთის ნომერია ..., მისამართი – ს-ის გზა, დეირა, მე-5 სართული, დუბაი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, სავაჭრო ლიცენზიის №..., ხოლო რეგისტრაციის №..., საფოსტო ყუთის ნომერი ასევე ემთხვევა განცხადებაზე დართულ კასატორის მიერ ზ. ქ-ისათვის უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელ დოკუმენტს.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და მხარის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველიანობის ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ე. ტ. ე. მ. ე-ის“ წარმომადგენელ ზ. ქ-ის განცხადება საკასაციო პალატის 2012 წლის 2 მარტის განჩინებასა და ამ განჩინების საფუძველზე 2012 წლის 11 ივნისს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე ნაწილობრივ საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის. დასახელებული მუხლის საფუძველზე, სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ იმ პროცესუალურ დოკუმენტში დაშვებულ იქნა უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მარტის განჩინებით შპს „ე. ტ. ე. მ. ე-ის“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ამავე კოდექსის 401-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე კი, კასატორს დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

2012 წლის 8 ივნისს კასატორის წარმომადგენელმა ზ. ქ-მა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, წარმოადგინა უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე, რაც საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიერ 2012 წლის 11 ივნისს დაკმაყოფილდა.

დადასტურებულია ის გარემოება, რომ სააღსრულებო ფურცელში კრედიტორის რეკვიზიტის ველში, კასატორის მიერ წარმოდგენილი მონაცემების თანახმად, მიეთითა არაბეთის გაერთიანებული ემირატები, ქ.დუბაი, საიდენტიფიკაციო №... 2012 წლის 26 ივლისის განცხადებისა და მასზე დართული მტკიცებულებების თანახმად, შპს „ე. ტ. ე. კ-ს“ (E. M. E. Co.LLC „ე. ტ. ე. მ. ე-ის“) საფოსტო ყუთის ნომერია ..., მისამართი – ს-ის გზა, დეირა, მე-5 სართული, დუბაი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, სავაჭრო ლიცენზიის №..., ხოლო რეგისტრაციის №..., საფოსტო ყუთის ნომერი ასევე ემთხვევა განცხადებაზე დართულ კასატორის მიერ ზ. ქ-ისათვის უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელ დოკუმენტს.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააღსრულებო ფურცელში უნდა აღინიშნოს კრედიტორისა და მოვალის დასახელებები და რეკვიზიტები, მათ შორის, პირადი ნომრები ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრები, ასევე სააღსრულებო ფურცლის გამცემი ორგანოსთვის ცნობილი სხვა საკონტაქტო მონაცემები, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად თვლის, გაასწოროს 2012 წლის 2 მარტის განჩინების საფუძველზე ამავე პალატის მიერ 2012 წლის 11 ივნისს გაცემულ №ას-1297-1317-2011 სააღსრულებო ფურცელში კრედიტორის ველში დაშვებული უსწორობა. ამასთანავე, ვინაიდან მოქმედი



სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების შესაძლებლობას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამავე კოდექსის მე-7 მუხლის საფუძველზე, უფლებამოსილია ზემოაღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად იხელმძღვანელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის დებულებით.

რაც შეეხება განმცხადებლის მოთხოვნას საკასაციო პალატის 2012 წლის 2 მარტის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე, საკასაციო პალატა აღნიშნულს ვერ გაიზიარებს, რადგანაც, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ განცხადებაში არ არის აღნიშნული, თუ მხარე განჩინების რა ნაწილში მოითხოვს უსწორობის გასწორებას, ამასთანავე, საყურადღებოა, რომ თავად კასატორის წარმომადგენლის მიერ სასამართლოსათვის გადმოცემული შპს „ე თ. ე. მ. ე-ის“ არასწორი საიდენტიფიკაციო მონაცემები არ არის აღნიშნული საკასაციო პალატის ზემოხსენებულ განჩინებაში, შესაბამისად, მხოლოდ უსწორობის გასწორების მოთხოვნა, მისი დასაბუთების გარეშე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის მიზნებიდან არ გამომდინარეობს, რაც ამ ნაწილში განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უდავო საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლით და

#### დ ა ა ღ გ ი ნ ა:

1. შპს „ე თ. ე. მ. ე-ის“ წარმომადგენელ ზ. ქ-ის შუამდგომლობა საკასაციო პალატის 2012 წლის 2 მარტის განჩინებასა და ამ განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2012 წლის 11 ივნისს გაცემულ №ას-1297-1317-2011 სააღსრულებო ფურცელში დაშვებული შემდეგი უსწორობა: კრედიტორის საიდენტიფიკაციო ველში (რეკვიზიტში) მითითებული მონაცემები – „არაბეთის გაერთიანებული ემირატები, ქ.დუბაი, საიდენტიფიკაციო №...“, გასწორდეს „საფოსტო ყუთის ნომრით – ..., ს-ის გზა, დეირა, მე-5 სართული, დუბაი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, სავაჭრო ლიცენზიის №..., რეგისტრაციის №...-ით“.

3. დანარჩენ ნაწილში განმცხადებელს უარი ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### დამატებითი გადაწყვეტილება

გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო

#### დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი

№ას-956-994-2011

19 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: უკანონოდ დარიცხული თანხის გადახდისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ე-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „თ-ის“ წინააღმდეგ და მოითხოვა სს „თ-ის“ მიერ სს „ე-ზე“ ჯარიმის სახით უკანონოდ დარიცხული თანხის 117 022 ლარის გადახდისაგან გათავისუფლება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მოსარჩელე სს „ე-ს“ დაერიცხა მოხმარებული აღურიცხავი ელექტრენერჯის საფასური და არა ჯარიმა, როგორც ამას მოსარჩელე მიუთითებს. საფასურის დარიცხვა განხორციელდა საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №15 დადგენილების შესაბამისად და არ არსებობს დარიცხული თანხის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველი, ამდენად, მოპასუხემ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „ე-ის“, სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ე-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 სექტემბრის სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის, სს „თ-ი“-ს წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო საქმეზე მიღებულ იქნა დაუსრულებელი გადაწყვეტილება, რომლითაც სს „ე-ი“-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს დაუსრულებელი გადაწყვეტილება; სს „ე-ი“-ს სარჩელი დაკმაყოფილდა; სს „ე-ი“ გათავისუფლდა სს „ე-ზე“ უკანონოდ დარიცხული თანხის 117 022 ლარის ოდენობით გადახდისაგან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 სექტემბრის დაუსრულებელი გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა სს „თ-ი“-ს წარმომადგენლის მიერ საჩივრით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით მოითხოვა დაუსრულებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 იანვრის განჩინებით სს „თ-ი“-ს საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 სექტემბრის დაუსრულებელი გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 აპრილის განჩინებით სს „ე-ი“-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ე-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „ე-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა 2011 წლის 14 აპრილის განჩინება და ამავე სასამართლოს 2011 წლის 13 იანვრის განჩინება დაუსრულებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 სექტემბრის დაუსრულებელი გადაწყვეტილება. ამასთან, სასამართლოს შემაჯამებელი აქტით მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილება არ მომხდარა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების ნაწილში მიღებულ უნდა იქნას დამატებითი გადაწყვეტილება შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ: ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. ამავე ნორმის 31 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

განსახილველ შემთხვევაში, რადგანაც დამატებითი განჩინების გამოტანის საფუძველი სწორედ სასამართლო ხარჯების განსაზღვრის საკითხია, პალატამ მხარეთა მოწვევა მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სს „ე-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მოწინააღმდეგე მხარეს, სს „თ-ს“ სს „ე-ის“ სასარგებლოდ, მითითებული მუხლის შესაბამისად, უნდა დაეკისროს კასატორის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 2926 ლარი, სააპელაციო საჩივარზე – 4681 ლარი და საკასაციო საჩივარზე – 5851.10 (ხუთი ათას რვაას ორმოცდათერთმეტი ლარისა და 10 თეთრის), სულ – 13 458.10 (ცამეტი ათას ოთხას ორმოცდათერთმეტი ლარი და 10 თეთრი) ლარის გადახდა.

#### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი, 31 ნაწილებით, 284-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სს „თ-ს“ სს „ე-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ ყველა სასამართლო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 13 458.10 ლარის გადახდა;
2. საკასაციო სასამართლოს დამატებითი განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად

### განჩინება

№ას-1308-1234-2012 4 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სამკვიდროს გაყოფა, მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. გ-ის მიმართ ქ.თბილისში, ი. ი-ის ჩიხის №8-ში მდებარე, საჯარო რეესტრში თ. გ-სა და გ. გ-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების 13/64 წილის მესაკუთრედ ცნობის, ასევე ნოტარიუს დ. კ-ას მიერ 2005 წლის 28 იანვარს (რეესტრის №2-2) ი. გ-ის სამკვიდროზე გ. გ-ის სახელზე გაფორმებულ ანდერძისმიერ სამკვიდრო მონუმობასა და საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილების შეტანის მოთხოვნით. მოსარჩელემ მოითხოვა სადავო უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრში მხარეთა წილების შემდეგი სახით რეგისტრაცია: 8/64 ნაწილის მესაკუთრედ თ. გ-ის, 13/64 წილის მესაკუთრედ გ.გ-ის, ხოლო 43/64 წილის მესაკუთრედ გ. გ-ის აღრიცხვა. მოსარჩელემ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

ქ.თბილისში, ი. ი-ის ჩიხის №8-ში მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენდა მხარეთა მშობლების თანასაკუთრებას, 1994 წელს გარდაიცვალა მათი დედა – ნ. ვ-ე, ხოლო 2002 წელს მამა – ი. გ-ი. სადავო ქონება ირიცხებოდა მამის სახელზე. 2008 წელს მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ 1986 წლის 25 ივლისს ი. გ-ს შეუდგენია ანდერძი გ. გ-ის სახელზე. ანდერძზე ხელმოწერა არ ეკუთვნის მამკვიდრებელს, რასაც ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ანდერძი მხოლოდ გ. გ-ის სახელზეა შედგენილი. მოსარჩელე წლების მანძილზე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ზემოაღნიშნულ მისამართზე, ხოლო მისმა ყოფილმა მეუღლემ და შვილებმა, გ. გ-ის თანხმობით, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგაც გააგრძელეს სადავო მისამართზე ცხოვრება. იმის გათვალისწინებით, რომ დედის სამკვიდრო (სადავო ქონების 1/2) კანონით დადგენილი წესით მიღებული ჰქონდათ მის კანონისმიერ პირველი რიგის ოთხ მემკვიდრეს: მოსარჩელეს, თ. გ-ს, ბ. გ-სა და მამას – ი. გ-ს, სამკვიდრო მასიდან მოსარჩელის კუთვნილი წილი შეადგენდა მთლიანი ქონების 1/8 ნაწილს, ხოლო მამის წილიდან (5/8) ანდერძისა და მამის სამკვიდროს მიმღები სავალდებულო წილის მქონე ოთხი მემკვიდრის: გ, თ, ბ. და გ. გ-ის წილების გათვალისწინებით, მთლიანი სადავო ქონების 5/64 ნაწილს, რაც მთლიანობაში  $1/8 + 5/64 = 13/64$  ნაწილია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის განმარტება 2008 წელს ანდერძის არსებობის შეტყობის თაობაზე არასწორია, რადგანაც მისთვის აღნიშნული ფაქტი ანდერძის შედგენის დროსვე იყო ცნობილი, აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელეს პრეტენზია არ გამოუთქვამს, ვინაიდან მას კუთვნილი წილი მიღებული უკვე ჰქონდა, სწორედ ამიტომ ეანდერძა გ. გ-ს სადავო ქონება. მამკვიდრებელ ი. გ-ის გარდაცვალების თაობაზე მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა 2002 წელსვე, შესაბამისად, მას სრული შესაძლებლობა ჰქონდა, თავადაც მიემართა ნოტარიუსისათვის. ვინაიდან მოსარჩელეს არც დედის და არც მამის სამკვიდრო კანონით დადგენილი წესით არ მიუღია, არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. ამასთან, მოპასუხემ მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 მარტის საოქმო განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელის მხარეზე მესამე პირად ჩაება თ. გ-ი, ხოლო ამავე სასამართლოს 2011 წლის 28 მარტის საოქმო განჩინებით, მოსარჩელის მხარეს მესამე პირებად ჩაებნენ მ. ხ-ი და ბ. გ-ი.

მესამე პირებმა: მ. ხ-მა და ბ. გ-მა მხარი დაუჭირეს მოპასუხის პოზიციას, ხოლო თ. გ-მა – მოსარჩელის პოზიციას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით გ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გ. გ-ი ცნობილ იქნა ქ.თბილისში, ი-ის ჩიხის №8-ში მდებარე საჯარო რეესტრში თ. გ-სა და გ. გ-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების 14/80 წილის მესაკუთრედ და ამ ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი 2005 წლის 28 იანვარს ნოტარიუს დ. კ-ას მიერ (რეესტრის №2-2) ი. გ-ის სამკვიდრო ქონებაზე გ. გ-ის სახელზე გაფორმებული ანდერძისმიერი სამკვიდრო მონუმობა, აღნიშნულ უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრში წილები გადანაწილდა შემდეგი სახით: 10/80 წილის მესაკუთრედ აღირიცხა თ. გ-ი, 14/80 წილის მესაკუთრედ – გ. გ-ი, ხოლო 56/80 წილის მესაკუთრედ – გ. გ-ი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და 2011 წლის 11 აპრილის განჩინება, რომლითაც გ. გ-ის შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე არ იქნა განხილული, სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-მა, მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ, ასევე 2011 წლის 11 აპრილის საოქმო განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სამკვიდრო ქონების 13/64 ნაწილის შესაკუთრებლად გ. გ-ის ცნობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ივნისის განჩინებით გ. გ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 აპრილის საოქმო განჩინება მოწმეთა დაკითხვის შესახებ გ. გ-ის წარმომადგენელ ც. ც-ის შუამდგომლობის განუხილველად დატოვების შესახებ, ასევე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება გ. გ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და საქმე ამ ნაწილებში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი, სასამართლოს განმარტებით, ამავე კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპს ემყარება. აპელანტს გადაწყვეტილების არსებით გასაჩივრებასთან ერთად გასაჩივრებული აქვს საოქმო განჩინება თავის მიერ შეთავაზებულ მოწმეთა დაკითხვის შუამდგომლობის განუხილველად დატოვების თაობაზე, ამდენად, აუცილებელია, ჯერ გაირკვეს რამდენად იქნა დაცული შეჯიბრებითობის პრინციპი საქმის განხილვისას, რათა პალატამ იმსჯელოს გადაწყვეტილების არსებით უსწორობებზე. სასამართლომ მიუთითა მოპასუხე გ. (გ. გ-ის შესაგებელზე, სადაც მხარე მის არგუმენტებს ამყარებდა მოწმეთა ჩვენებზე და მოითხოვდა მოწმედ ბ. გ-ის, მ. ხ-ის, ა. ხ-სა და ნ. ტ-ის დაკითხვას. 2010 წლის 5 მარტის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა, რომლის მიმდინარეობისას 2010 წლის 21 აპრილის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა და მოწმედ მიიწვიეს მ. ყ-ი და მ. დ-ი. სხვა მოწმეთა შესახებ სასამართლოს არ უმსჯელია და 2011 წლის 9 თებერვლის განჩინებით დაინიშნა მთავარი სხდომა. 2011 წლის 11 აპრილს სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაკმაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა და დაადგინა მოწმედ ნ. ტ-ის დაკითხვა იმ საფუძველით, რომ ეს შუამდგომლობა საქმის მომზადების ეტაპზე, შესაგებელში იყო დაყენებული. პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლზე, რომლითაც გათვალისწინებულია მოსამზადებელი სხდომის ჩატარების წესი, ხოლო ამავე კოდექსის 219-ე მუხლი განსაზღვრავს მთავარ სხდომაზე ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე მითითების შეზღუდვას მხარეთა მიერ. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ნებისმიერი შუამდგომლობა, მათ შორის შესაგებელში აღნიშნული შუამდგომლობა, სასამართლოს უნდა წარედგინოს ან მოსამზადებელ სხდომაზე (რათა განხილულ იქნეს მისი დასაშვებობისა და განკუთვნიებადობის საკითხი) ან თუ არ ტარდება მოსამზადებელი სხდომა, მთავარი სხდომის იმ ეტაპზე, როდესაც სასამართლო შემადგენლობის გამოცხადების შემდეგ, სასამართლო მხარეებს სთავაზობს შუამდგომლობების გაცხადებას. ნებისმიერ შემთხვევაში, შუამდგომლობა წარდგენილი უნდა იყოს სასამართლოში მანამ, სანამ მხარეები გადავლენ ახსნა-განმარტების ეტაპზე. მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობა მოწმედ ნ. ტ-ის დაკითხვის შესახებ სასამართლოში დაყენებულ იქნა 11 აპრილს, ანუ მას შემდეგ, რაც 2011 წლის 8 აპრილის სხდომაზე მხარეებმა ახსნა-განმარტებებით მიმართეს სასამართლოს და 2010 წლის 21 აპრილის განჩინებით განსაზღვრული ერთ-ერთი მოწმე დაიკითხა კიდევაც. პალატის განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლიდან გამომდინარე, პროცესის ამ ეტაპზე შუამდგომლობის დასმა გარკვეულ შეზღუდვებს უკავშირდება. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არა მარტო დაადგინა მოპასუხის მოწმის დაკითხვა, არამედ დაკითხა იგი და მათ შორის მის ჩვენებასაც დაამყარა მსჯელობის ის ნაწილი, რომლითაც სარჩელის ერთი ნაწილი არ დააკმაყოფილა, ხოლო მოსარჩელის შუამდგომლობა საპასუხო მოწმის დაკითხვის შესახებ განუხილველად იქნა დატოვებული ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ ჩათვალა, რომ 2011 წლის 11 აპრილის საოქმო განჩინებით დაირღვა შეჯიბრებითობის პრინციპი და, შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება.

სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, სადაც განმარტებულია შეჯიბრებითობის პრინციპი (1993 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, აბზაცი 33, 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Suominen v. Finland*, აბზაცი 33, 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Peric v. Croatia*, აბზაცი 19). პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქმის წარმოება ერთ წელზე მეტი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა, საქმის მომზადების არც ერთ ეტაპზე არ გაჟღერებულა მხარეთა (და განსაკუთრებით მოპასუხის) მიერ მოწმის სახით ნ. ტ-ის დაკითხვის აუცილებლობა. ზემოხსენებული პრინციპების გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას დააკმაყოფილა რა მოპასუხის შუამდგომლობა მოწმის დაკითხვის თაობაზე, განუხილველად დატოვა მოსარჩელის შუამდგომლობა საპასუხო მოწმეების დაკითხვის შესახებ, რის შედეგადაც მოსარჩელეს მოუსპო შესაძლებლობა, ემტკიცებინა საწინააღმდეგო (შეჯიბრებითობის პრინციპი), ვინაიდან მთავარ სხდომაზე დაკითხული მოწმის ჩვენებას მოსარჩელე უკვე სხვას ველარაფერს დაუპირისპირებდა. სასამართლოს მითითებით, 2011 წლის 11 აპრილის საოქმო განჩინება მოწმეთა დაკითხვის შუამდგომლობის განუხილველად დატოვების შესახებ დაუსაბუთებელიცაა, მასში არ იკითხება მოტივაცია, რის გამოც სასამართლომ ჩათვალა, რომ შუამდგომლობა განუხილველად უნდა დარჩენილიყო, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნიდან, ასევე ადა-

მიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებიდან (საქმეზე Suominen v. Finland, აბზაცი 36, აგრეთვე 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე Peric v. Croatia, აბზაცი 21, სადაც სასამართლომ განმარტა გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობა) არ გამოძინარეობდა. 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (Suominen v. Finland, აბზაცი 37 და 38) განმარტა დასაბუთებული გადაწყვეტილების დამატებითი დანიშნულება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება (საქმეზე Peric v. Croatia, აბზაცი 24 და 25), სადაც კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევად მიჩნეულ იქნა ერთი მხარის მოწმეების დაკითხვა, ხოლო მეორე მხარის მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ განუხილველად დატოვა რა შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის შესახებ, მას შემდეგ, რაც იმავე პროცესის იმავე ეტაპზე დააკმაყოფილა მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა მოწმის დაკითხვის თაობაზე და არც შუამდგომლობის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება დაუსაბუთებია, რის შედეგადაც აპელანტთან მიმართებით დაარღვია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევასთან მიმართებით სააპელაციო პალატამ განმარტა შემდეგი: პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი (აბზაცი 3.2.1), რომლითაც სასამართლომ დადგენილად მიიჩნია გ. გ-ის მიერ დედის – ნ. ვ-ის სამკვიდროს მიღების ფაქტი, ემყარება მოწმის ჩვენებას, რომლის დაკითხვის დროსაც მოსარჩელის მიმართ დაირღვა სამართლიანი სასამართლოს უფლება, შესაბამისად, გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც ზემოაღნიშნულ გარემოებას შეეხება, საჭიროებს, როგორც იურიდიულ, ისე ფაქტობრივ დასაბუთებას. სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე მოწმეთა დაკითხვა პალატამ შეუძლებლად მიიჩნია, რადგანაც აღნიშნული მხარეებს ფაქტიურად მოუსპობდა პირველი ინსტანციით საქმის არსებითად განხილვის შესაძლებლობას, მოწმეთა ჩვენებების შესახებ თავიანთი მოსაზრებები მხარეებს შეეძლებოდათ მხოლოდ საკასაციო ინსტანციისათვის წარედგინათ, ხოლო სასამართლოს ეს ინსტანცია, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ფაქტობრივ გარემოებებს არ ადგენს. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმეთა დაკითხვის შემთხვევაში კი, მათი ჩვენებებიდან გამომდინარე, პრეტენზიები მხარეებს ფაქტების დამდგენ სასამართლოში – სააპელაციო სასამართლოში შეეძლებოდათ წარედგინათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა ემსჯელა მოწმეთა დაკითხვის შესახებ მოსარჩელის შუამდგომლობის დასაშვებობის, დასაბუთებულობისა და განკუთვნილობის საკითხზე, ამის შემდეგ კი დაედგინა მიღებული ჰქონდა თუ არა გ. გ-ს ნ. ვ-ის სამკვიდრო.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით გ. გ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 აპრილის საოქმო განჩინებისა და ამავე სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნაზე უარის თქმა) და საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და საოქმო განჩინების ძალაში დატოვება შემდეგი საფუძვლით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით რეალიზებული შეჯიბრებითობის პრინციპი ემსახურება მხარეთა თანასწორუფლებიანობას და ამავდროულად ხელს უწყობს მხარისათვის ეფექტური მართლმსაჯულების მაღალი ხარისხის არსებობას, მტკიცებულებათა წარდგენისას მხარეები თავადვე განსაზღვრავენ მტკიცების საგანს და თითოეული ფაქტის ამა თუ იმ მტკიცებულებით დადასტურება მხარის საპროცესო ვალდებულებათა, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, მე-4 და 102-ე მუხლებისა. ამავე კოდექსის 215-ე მუხლი განსაზღვრავს მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობას სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე, ასევე, გარკვეული წინაპირობების არსებობისას, მტკიცებულების წარდგენა დასაშვებია სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშნვის შემდეგ ან უშუალოდ მთავარ სხდომაზე, ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია მხარის შუამდგომლობით სასამართლო სხდომის გადადება. რაც შეეხება მოწმის დაკითხვას, როგორც ახალი მტკიცებულების მიღებას, აღნიშნული განსაზღვრულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით. სარჩელის თანახმად, გ. გ-მა ი. გ-ის სახელით 1986 წლის 25 ივნისს შედგენილი ანდერძის ბათილად ცნობა და ქ.თბილისში, ი. ი-ის ჩიხის №8-ში მდებარე სამკვიდროს 9/32-ის მესაკუთრედ ცნობა მოითხოვა იმ საფუძვლით, რომ ანდერძი იყო ყალბი, ხოლო გ. გ-ს დედის გარდაცვალებიდან 6 თვეში სამკვიდრო ქონებიდან დედის წილი სამკვიდრო ფლობით არ მიუღია, სარჩელის მეორე საფუძვლად კი მითითებულია, რომ სამკვიდრო ქონებაში – საცხოვრებელ სახლში ნ. ვ-ის გარდაცვალების დროისათვის გ. გ-ი არ ცხოვრობდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების თანახმად, მოსარჩელე ვალდებული იყო, წერილობითი მტკიცებულების წარდგენით დაედასტურებინა ზემოაღნიშნული გარემოებები, ხოლო ასეთის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის შესაბამისად, დასაბუთებული შუამდგომლობით მიემართა სასამართლოსათვის წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე. მოწმეთა დაკითხვის თაობაზე მხარეს შუამდგომლობა უნდა მიეთითებინა სარჩელში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე და 140-ე მუხლის მე-3 მუხლების მოთხოვნათა დაცვით. ასეთი შუამდგომლობის დაყენება მოსარჩელეს მოსამზადებელ სხდომაზეც შეეძლო. 2011 წლის 11 აპრილს მოსარჩელის მიერ მოწმეთა დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის დაყენება და ამ მიზნით სხდომის გადადება არ გამოძინარეობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის

მოთხოვნებიდან. არასწორია გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 აპრილის საოქმოდ განჩინებისა და ამავე სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების თაობაზე, რადგანაც მონმე ნ. ტ-ს გ. გ-ის მიერ დედის სამკვიდროს მიღების ფაქტთან დაკავშირებით რაიმე ახალი მტკიცებულება არ წარმოდგენილა, მონმემ გაიმეორა ის, რაც სასამართლოსა და მოსარჩელისათვის ცნობილი იყო საქმეში არსებული სხვა წერილობითი მტკიცებულებებითა და მონმეთა ჩვენებებითაც. 2010 წლის 23 აპრილის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელს ერთხელ უკვე გაცხადებული ჰქონდა მონმის დაკითხვის შუამდგომლობა, მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილდა მონმე მ. დ-ის დაკითხვის შესახებ შუამდგომლობა, ამდენად, არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილით რეგლამენტირებული სასამართლო სხდომის გადადების წინაპირობა. საყურადღებოა, რომ მონმეთა ვინაობისა და მისამართის თაობაზე არც სააპელაციო საჩივარში მიუთითებია აპელანტს. არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე განჩინების დაუსაბუთებლობის მოტივით გაუქმების შესახებ, სადავო განჩინება დასაბუთებულია, მასში მითითებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე და 216-ე მუხლებზე, რაც მისი მიღების წინაპირობას წარმოადგენდა, ამასთანავე, ამავე კოდექსის 377-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევის არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს უნდა ემსჯელა საპროცესო ნორმის ეს დარღვევა გადაწყვეტილების სისწორეზე ახდენდა თუ არა გავლენას და ამის გარკვევის გზით მიეღო გადაწყვეტილება 2011 წლის 11 აპრილის საოქმოდ განჩინების გაუქმების საკითხზე. ამ თვალსაზრისით სწორედ გასაჩივრებული განჩინებაა დაუსაბუთებელი. გ. გ-ის მიერ დედის სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტის დადასტურების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებულია, რადგანაც სასამართლოს მსჯელობა ამ მხრივ ემყარება საქმეში არსებულ წერილობით მტკიცებულებებს, ასევე მონმეთა და მესამე პირების განმარტებებს, სამკვიდროს მიღებას არ უარყოფს ასევე აპელანტის მიერ მონმედ დასახელებული პირი – თ. გ-ი, სასამართლომ კი სწორად მიიჩნია, რომ მონმე არ უარყოფს მოპასუხის მიერ დედის სამკვიდროს მიღებას. სააპელაციო საჩივრით მხარე ადასტურებს გ. გ-ის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტს მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვეში, უფრო მეტიც, ადასტურებს მოპასუხის მიერ მეურნეობის წარმოებას, რაც გამოიხატა სადავო მისამართზე მოპასუხის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში. აპელანტის მტკიცება მონმეთა დაკითხვის თაობაზე იყო უსაფუძვლო, რადგანაც გ. გ-ის მიერ დედის სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიუღებლობის ფაქტი მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა, თავის მხრივ, შუამდგომლობა მონმის დაკითხვის თაობაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად არ ყოფილა წარდგენილი, 2011 წლის 11 აპრილის სხდომის გადადება მხარემ მხოლოდ იმ საფუძველით მოითხოვა, რომ მონმის დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაკმაყოფილება მისთვის მოულოდნელი იყო, შესაბამისად, მასაც ჰყავდა მონმეები, თუმცა მათი სახელები და გვარები არ იცოდა, ამასთან, გ. გ-ს მონმეთა დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობა შესაგებლმევე ჰქონდა მითითებული. 2010 წლის 23 აპრილის სხდომაზე დაკმაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა მონმე მ. დ-ის დაკითხვის თაობაზე. ამავე სხდომაზე განაცხადა მოსარჩელემ, რომ ჰყავდა მონმეები და მათ მომდევნო სხდომაზე წარადგენდა, თუმცა არც მომდევნო და არც 1 წლის განმავლობაში ჩატარებულ 10 სასამართლო სხდომაზე არ წარუდგენია ისინი, ამასთანავე, მხარემ არც 2011 წლის 11 აპრილის სხდომაზე იცოდა მონმეთა ვინაობა. 2011 წლის 8 აპრილის სხდომაზე სასამართლოს წარედგინა მესამე პირების: ბ. გ-სა და მ. ხ-ის ახსნა-განმარტებები, დაიკითხა მონმე მ. დ-ი და დადასტურდა დედის სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღება მოპასუხის მიერ, ასეთ ვითარებაში, მინიმუმ იმავე სხდომაზე ან 2011 წლის 11 აპრილის სხდომის დაწყებამდე ან მისი მიმდინარეობისას მოსარჩელეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უნდა წარედგინა დასაბუთებული შუამდგომლობა მისი მონმის დაკითხვის თაობაზე და, ამავე კოდექსის 215-ე მუხლის თანახმად, მიუთითებინა იმ საპატიო მიზეზის თაობაზე, რის გამოც ამ მონმეთა დაკითხვის შესახებ შუამდგომლობა საქმის მოსამზადებელ ეტაპზე ვერ იქნა წარდგენილი. გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატას მოწინააღმდეგე მხარის შესაგებლის არც ერთ არგუმენტზე არ უმსჯელია, რითაც თავად დაარღვია როგორც შეჯიბრებითობის პრინციპი, ისე მხარისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება. კასატორმა ამ საკითხთან მიმართებით ასევე მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, საქმეზე „დ-ძე საქართველოს წინააღმდეგ“ (2006 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება). სააპელაციო პალატის დაუსაბუთებელი მსჯელობის გამო სასამართლომ თავად დაარღვია გ. გ-ის მიმართ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი. წინამდებარე საკასაციო საჩივარს მხარემ დაურთო მტკიცებულებები (ასლის სახით) ორ ფურცლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ნოემბრის განჩინებით გ. გ-ის საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაიწინა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. გ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივ-

რებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი აქვს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი. ამდენად, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს შეუზღუდაობას, ნებისმიერი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს საქმე. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება რაციონალური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნამდვილ აზრს, რითაც მოცემულ შემთხვევაში შებოჭილია სააპელაციო სასამართლო. ამიტომ, სააპელაციო სასამართლომ, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ასევე საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა ორი საფუძვლით: გაუქმების პირველ საფუძველს წარმოადგენს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევა, რაც გამოიხატა სასამართლოს მიერ შეჯიბრებითობის პრინციპისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევაში, ხოლო მეორეს – გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დაუსაბუთებლობა. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, საქმეზე მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, სრულყოფილ გამოკვლევას საჭიროებს ფაქტობრივი გარემოების დადგენა იმის შესახებ, მიღებული აქვს თუ არა გ. გ.-ს დედის, ნ. ვ.-ის სამკვიდრო.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებებს შეჯიბრებითობის პრინციპის მნიშვნელობასა და მისი დაცვის აუცილებლობასთან დაკავშირებით, თუმცა, მიიჩნევს, რომ სასამართლოს დასკვნები ამ პრინციპის დარღვევის თაობაზე არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებების სწორი შეფასებიდან, კერძოდ:

საკასაციო პალატა მოიხმობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლს, რომლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. მოცემული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სასამართლომ დავის განხილვის პირველ ეტაპზე სწორად შეაფასოს მხარეთა მოთხოვნები, იმ ფაქტების წრე, რომლებსაც უთითებენ თავიანთი მოთხოვნების დასაბუთებლად და იმ მტკიცებულებათა წრე, რომლებითაც ცდილობენ ამ ფაქტების დადასტურებას. შემდგომი ეტაპია სასამართლოს მიერ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სამართლიანად და ობიექტურად განაწილების სტანდარტის განუზრელი დაცვა. მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტი დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით, რომლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორის იმ პოზიციას, რომ საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების დანაწესიდან გამომდინარე, მოპასუხე გ. გ.-ის მიერ სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილ ვადაში სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტის დამტკიცება ევალებოდა მოსარჩელე მხარეს და მასვე უნდა წარედგინა სასამართლოსთვის ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები. მოსარჩელე მხარემ პირველი ინსტანციის სასამართლოში, 2010 წლის 23 აპრილს გამართულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მართალია განაცხადა მტკიცებულების სახით მოწმეთა წარმოდგენის თაობაზე, თუმცა, მან საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით, არ მიუთითა მოწმედ დასაკითხი პირის ვინაობის, ასევე იმის შესახებ, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რა გარემოების დადასტურება შეუძლია მოწმეს. ასეთი შუამდგომლობა მოსარჩელე მხარეს არც სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპამდე არ წარუდგენია, ხოლო მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე შუამდგომლობის დაყენებისას ისევე არ მიუთითებია მოწმედ დასაკითხ პირთა ვინაობა.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ძირითადად მოპასუხის მიერ მტკიცებულებათა წარდგენის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლთან შესაბამისობის შემოწმებას ეხება, ისე, რომ, განჩინებაში არაფერია ნათქვამი დაიცვა თუ არა მოსარჩელემ მტკიცებულების სასამართლოში წარდგენის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ის წესი, რომელზეც სასამართლო აპელირებს – ნებისმიერი შუამდგომლობა, მათ შორის შესაგებელში აღნიშნული შუამდგომლობა, სასამართლოს უნდა წარედგინოს ან მოსამზადებელ სხდომაზე (რათა განხილულ იქნეს მისი დასაშვებობისა და განკუთვნილებადობის საკითხი) ან თუ არ ტარდება მოსამზადებელი სხდომა, მთავარი სხდომის იმ ეტაპზე, როდესაც სასამართლო შემადგენლობის გამოცხადების შემდეგ, სასამართლო მხარეებს სთავაზობს შუამ-

დგომლობების გაცხადებას. ნებისმიერ შემთხვევაში, შუამდგომლობა წარდგენილი უნდა იყოს სასამართლოში მანამ, სანამ მხარეები გადავლენ ახსნა-განმარტების ეტაპზე.

მოცემულ შემთხვევაში მართალია მოპასუხე მხარემ ნ. ტ-ის დაკითხვა მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდგომ მოითხოვა, მაგრამ საგულისხმოა, რომ მოსარჩელე მხარეს ამ ნაწილში შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 აპრილის საოქმო განჩინება სადავოდ არ გაუხდია.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის შუამდგომლობის განუხილველად დატოვების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 აპრილის საოქმო განჩინება არ არის დასაბუთებული, რითაც დაირღვა პროცესის მონაწილის ფუნდამენტური უფლება სამართლიანი სასამართლოს თაობაზე, თუმცა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნაცვლად პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დასაბუთების, დასაბუთებულობისა და განკუთვნილობის ხელახლა განხილვისა, სააპელაციო სასამართლოს შეეძლო თვითონვე აღმოეფხვრა ამგვარი ხარვეზი, მით უმეტეს, მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოს არსებით გადაწყვეტილებასთან ერთად მოითხოვა შუამდგომლობის განუხილველად დატოვების შესახებ საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის საოქმო განჩინების გაუქმება და მოწმეთა დაკითხვა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სასაპელაციო სასამართლოს იმ შეფასებას, რომლის მიხედვითაც შეუძლებელია სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე მოწმეთა დაკითხვა. სააპელაციო სასამართლოს ამგვარი შეფასება ეწინააღმდეგება როგორც პროცესის ეკონომიურობის, ისე სააპელაციო განხილვის პრინციპებს, რომლის თანახმადაც, სააპელაციო სასამართლო საქმეს იხილავს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სააპელაციო სასამართლოს ის არგუმენტი, რომ სააპელაციო განხილვის სტადიაზე მოწმეთა დაკითხვისას მოწმეთა ჩვენებებთან დაკავშირებით მხარეებს მოესპობათ საკასაციო სასამართლოში პრეტენზიების წარდგენის საშუალება, ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან, მართალია საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო, თუმცა, საკასაციო სასამართლოში შესაძლებელია მხარემ წარადგინოს დასაბუთებული და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407.2 მუხლი). აღნიშნული ნორმა იმპერატიულად ადგენს საკასაციო სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთებული საკასაციო საჩივრის (პრეტენზიის) შემთხვევაში, შეამოწმოს სასამართლოს მიერ დადგენილი იურიდიული ფაქტების – გარემოებების შესაბამისობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, ანუ შეამოწმოს, დაცულია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნები წარმოდგენილ მტკიცებულებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის შედეგად სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთებულობის შესახებ.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეეძლო თვითონ გადაეწყვიტა მოწმეთა ჩვენებების, როგორც სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი ახალი მტკიცებულების დასაბუთებულობის საკითხი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე და 215-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის აზრით, მოცემულ შემთხვევაში, გარემოებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ საქმის უკან დაბრუნების საფუძველად მიიჩნია, არ განეკუთვნება ისეთ გარემოებებს, რაც სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას ართმევდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე თავად გადაეწყვიტა საქმე და არ დაებრუნებინა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

რაც შეეხება კასატორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების საქმეზე დართვას, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული უსაფუძველოა, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულება ვერც სასამართლოს მიერ იქნება გაზიარებული მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა სასამართლოსათვის მანამდე წარმოედგინა ისინი. აღნიშნული გარემოება საკასაციო პალატის მიერ მტკიცებულებათა საქმისათვის დართვაზე უარის თქმის საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები: 2 ფურცლად.



სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

**ღ ა ა ლ გ ი ნ ა:**

1. გ. გ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. გ. გ-ს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 2 ფურცლად.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

**განჩინება**

№ას-1171-1100-2012

3 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომსხენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სესხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

საჩივრის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ს. მ-ის სარჩელი მოპასუხეების: ი. ყ-ის, უ. ჩ-ის, ბ. ჩ-ის, უ. ჩ-ისა და ჟ. ჩ-ის მიმართ, რომლითაც მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეთათვის მის სასარგებლოდ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის – 2000 აშშ დოლარის დაკისრება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. მ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 ივლისის განჩინებით ს. მ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ს. მ-მა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლი და სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არ უნდა განესაზღვრა ამ მუხლით დადგენილი წესის მიხედვით, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შედეგად ხსენებული მუხლი პირველი ინსტანციის სასამართლოების მიმართ ამოქმედდა 2012 წლის 1 აპრილს, ხოლო სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა 2011 წლის 25 ნოემბერს.

კერძო საჩივრის ავტორი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ დასახელებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის გადაცემიდან 14 დღის ვადაში. მიუხედავად ამისა, ასეც რომ არ იყოს და ზემოთითთებულ ცვლილებას ჰქონდეს უკუქცევითი ძალა, მაშინ გამოდის, რომ აპელანტს გადაწყვეტილების ჩასაბარებლად სასამართლოსათვის უნდა მიემართა მისი სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა. ს. მ.-მა წარმომადგენლის მეშვეობით გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით მიმართა არათუ ამ ვადაში, არამედ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან მე-14 დღეს – 2011 წლის 8 დეკემბერს, თუმცა წარმომადგენელს გადაწყვეტილება ჩაბარდა მხოლოდ 2012 წლის 18 ივნისს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორისათვის გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მან სააპელაციო საჩივარი შეიტანა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ს. მ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ს. მ-ის სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ საჩივარი არ იყო შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, კერძოდ, სააპელაციო სასამარ-

თლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლზე და მიიჩნია, რომ, ვინაიდან აპელანტის წარმომადგენელი ესწრებოდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას, ხოლო, ზემოხსენებული ნორმა პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების მიმართ ამოქმედდა 2012 წლის 1 აპრილიდან, ამიტომ აპელანტი (მისი წარმომადგენელი) ვალდებული იყო დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მისაღებად პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის მიემართა 2012 წლის 21 აპრილიდან 1-ლ მაისამდე პერიოდში. პალატამ დაადგინა, რომ მითითებულ ვადაში აპელანტს სასამართლოსათვის არ მიუმართავს, ამიტომ გასაჩივრების 14 დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 1 მაისიდან (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს) და დასრულდა 15 მაისს, აპელანტმა კი სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2012 წლის 2 ივლისს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას და ყურადღებას მიაქცევს საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტებზე: საჩხერის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით ს. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელის წარმომადგენელმა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მისაღებად 2011 წლის 25 ნოემბერს განცხადებით მიმართა გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს. დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი მოსარჩელეს და მის წარმომადგენელს სასამართლომ გაუგზავნა 2012 წლის 8 ივნისს. აღნიშნულ პირებს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლები ჩაბარდათ 2012 წლის 18 ივნისს. მოსარჩელემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2012 წლის 2 ივლისს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანის დროს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. ამავე კოდექსის 259-ე მუხლის მიხედვით, მხარეებს, თავიანთი განცხადების საფუძველზე, გადაეცემათ სასამართლოს გადაწყვეტილების ასლები არა უგვიანეს 3 დღისა განცხადების შემოტანიდან.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ვალდებული იყო ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში მოემზადებინა დასაბუთებული გადაწყვეტილება და მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში გადაეცა იგი მხარისათვის. მოცემულ შემთხვევაში, უდავოდ დადგენილია, რომ სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მზად არ ჰქონდა კანონით დადგენილ ვადაში და, შესაბამისად, მხარეს, მისი მოთხოვნის მიუხედავად, ამ გადაწყვეტილების ასლი ვერ გადასცა. უფრო მეტიც, სასამართლომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი მოსარჩელეს გაუგზავნა 2012 წლის 8 ივნისს, რომელიც ამ უკანასკნელს ჩაბარდა ამავე წლის 18 ივნისს. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მისაღებად სასამართლოსათვის უნდა მიემართა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, მართალია, ხსენებული ნორმა ადგენს მხარის ვალდებულებას, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მისაღებად გამოცხადდეს სასამართლოში, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების დროს მითითებული ნორმა არ მოქმედებდა, პირიქით, სასამართლოს ჰქონდა ვალდებულება კანონით დადგენილ ვადაში მოემზადებინა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი და გადაეცა იგი მხარისათვის მისი მოთხოვნის შესაბამისად. დადგენილია, რომ მოსარჩელე წერილობითი განცხადებით მოითხოვდა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის გადაცემას ჯერ კიდევ 2011 წლის დეკემბერში და სასამართლოსაც ჰქონდა ვალდებულება 3 დღის ვადაში გადაეცა იგი მხარისათვის, თუმცა სასამართლომ ეს ვალდებულება შესარულა მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელე ვალდებული იყო დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მისაღებად დამატებით მიემართა სასამართლოსათვის 2012 წლის 21 აპრილიდან 1-ელ მაისამდე პერიოდში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლისას.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მოსარჩელეს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2012 წლის 18 ივნისს, ამიტომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლებიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა დაიწყო 2012 წლის 19 ივნისიდან და ამოიწურა 2012 წლის 2 ივლისს. საქმის მასალებით ირკვევა, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2012 წლის 2 ივლისს, ამდენად, მას სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა არ დაურღვევია.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული საფუძვლით ს. მ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობა არ არსებობს, თუმცა სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სხვა წინაპირობები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:  
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ს. მ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 ივლისის განჩინება და საქმე ს. მ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**გადანყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად სასაპელაციო სასამართლოს მიერ**

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№ას-657-618-2012

10 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 11 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელი მიმართა რ. ბ.-ამ მოპასუხეების: ჯ. ი-ას, დ. ი-ას, მ. ლ-ისა და ნ. ლ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან ქ.თბილისში, ფ-ის ქ. №9-ში მდებარე 64.30კვ.მ ფართის გამოთხოვა და აღნიშნული ფართის მისთვის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ სადავო ფართზე მას გააჩნდა საკუთრების უფლება, რაც დასტურდებოდა ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. დასახელებულ ფართში უკანონოდ, უფლების გარეშე შეიჭრნენ სხვა პირები, რომლებიც ნებაყოფლობით არ ათავისუფლებდნენ რ. ბ.-ას საკუთრებაში არსებულ ფართს.

მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება, სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლებიდან გამომდინარე, იძლეოდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს. ამდენად, სარჩელი დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით რ. ბ.-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, სარჩელში მითითებული მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ქ.თბილისში, ფ-ის ქ. №9-ში მდებარე 64.30კვ.მ უძრავი ქონება და იგი გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა მესაკუთრე რ. ბ.-ას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა: ჯ. ი-ამ, დ. ი-ამ, მ. ლ-ემ და ნ. ლ-ემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მარტის განჩინებით ჯ. ი-ას, დ. ი-ას, მ. ლ-ისა და ნ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულყოფილად არ დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ამასთან, საქალაქო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის გამოც საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება იურიდიულად არ იყო დასაბუთებული, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დასადგენი იყო მთელი რიგი გარემოებები, რა დროსაც აუცილებელი იქნებოდა ახალი მტკიცებულებების წარდგენა და შეფასება და რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილით შეზღუდული იყო სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. ამ გარემოებისა და დასადგენი ფაქტების მოცულობის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ შეუძლებლად ჩათვალა დავის სააპელაციო სასამართლოში არსებითად გადანყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

რ. ბ-ა წარმოადგენდა ქ.თბილისში, ფ-ის ქ. №9-ში მდებარე 64.30კვ.მ საცხოვრებელი ფართის მესაკუთრეს;

აღნიშნულ ბინაზე რ. ბ-ას საკუთრების უფლება წარმოიშვა ი. ი.-თან 2011 წლის 4 აპრილს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე;

აპელანტთა მითითებით, ხსენებული გარიგების დადების დროს ი. ი-ი და რ. ბ-ა იმყოფებოდნენ ფაქტობრივ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში;

ი. ი-ი და აპელანტები იყვნენ ერთი ოჯახის წევრები და წლების მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ სადავო ბინაში. კერძოდ, ჯ. ი-ა არის ი. ი-ის ყოფილი ცოლი, დ. ი-ა არის მათი შვილი, ხოლო მ. და ნ. ლ-ეები არიან დ-ის შვილები. სადავო ნივთს ფლობენ აპელანტები: ჯ. ი-ა, დ. ი-ა, მ. ლ-ე, ნ. ლ-ე;

დიდუბე-ჩულურეთის რაიონის საბინაო-კომუნალური მომსახურების სერვისული ცენტრის 2002 წლის 18 სექტემბრის ცნობის თანახმად, ქ.თბილისში, ფ-ის ქ. №9-ში მდებარე ბინის დამქირავებელს წარმოადგენს ი. ი-ი. ამ დროისათვის ოჯახის წევრთა რაოდენობა შეადგენდა შვიდს: 1. დ. ი-ი, რომელიც მითითებულ მისამართზე ცხოვრობდა (ჩაწერილი იყო) 1976 წლიდან, 2. ი. ი-ი – 1970 წლიდან, 3. ჯ. ი-ი – 1976 წლიდან, 4. ე. ი-ი – 1994 წლიდან, 5. მ. ლ-ე – 1995 წლიდან, 6. ნ. ლ-ე – 1995 წლიდან და 7. ბ. ლ-ე – 1995 წლიდან;

მხარეები არ დავობენ, რომ ქ.თბილისში, ფ-ის ქ. №9-ში მდებარე ბინაზე პრივატიზაცია განხორციელდა ი. ი-ის სახელზე. სწორედ პრივატიზაციის ხელშეკრულება გახდა სადავო ბინაზე ი. ი-ის საკუთრების წარმოშობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვინდუკაცი. სარჩელი საფუძვლიანია, თუ არსებობს შემდეგი გარემოებები: მოსარჩელე ნივთის მესაკუთრეა; მოპასუხე ფლობს სადავო ნივთს; მფლობელს არ აქვს ამ ნივთის ფლობის უფლება.

მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეები (აპელანტები) სარჩელისაგან თავს იცავდნენ სწორედ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მათ ჰქონდათ სადავო ურავი ნივთის ფლობის უფლება, კერძოდ, წლების განმავლობაში, როგორც ამ ბინის დამქირავებლის ი. ი-ის ოჯახის წევრები, მასთან ერთად ცხოვრობდნენ და ჩაწერილები იყვნენ სადავო ფართში. ამასთან, დადგინდა, რომ ი. ი-მა სადავო ფართზე საკუთრების უფლება მოიპოვა პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე. „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაცია წარმოადგენს მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) ნებაყოფლობითი შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას. ამავე დადგენილების მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრულია, რომ საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემა ხორცილდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, საწარმო-დანესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ, რომელთა ბალანსზეც ირიცხება საცხოვრებელი სახლი (ბინა). საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაცემა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული დადგენილების საფუძველზე საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაციისას თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ ის პირები, რომლებიც წარმოადგენდნენ ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლებს ან მათი ოჯახის წევრებს. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებით მინიჭებული უფლება, შესაბამისი წილის გათვალისწინებით, ვრცელდებოდა დამქირავებელთან ერთად მცხოვრებ ოჯახის ყველა წევრზე, მიუხედავად იმისა, რომ ბინაზე საკუთრების უფლება მათივე თანხმობით შეიძლება აღრიცხულიყო ერთ-ერთ დამქირავებელზე.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ბინის მხოლოდ ი. ი-ის სახელზე პრივატიზაციის მიუხედავად, აღნიშნული ბინის თანამესაკუთრეები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მისი ოჯახის ის წევრებიც, რომლებიც სადავო ბინაში ჩაწერილი იყვნენ და ცხოვრობდნენ პრივატიზების მომენტში, მიუხედავად იმისა, რომ მათ თავიანთი საკუთრების უფლება არ დაუყენებდნენ.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ გარემოების სრულყოფილად გამოკვლევის გარეშე, არ გააჩნდა საფუძველი სარჩელის დასაკმაყოფილებლად. მითითებული საკითხის გარკვევის მიზნით, საქალაქო სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მხარეებისათვის უნდა შეეთავაზებინა მათ ხელთ არსებული მტკიცებულებების წარდგენა. ამასთან, სასამართლოს უნდა მიეღო ზომები იმ წერილობითი მტკიცებულებების გამოსათხოვად, რომელთა მიღებასაც მხარეები თვითონ ვერ შეძლებდნენ. საქმის ხელახლა განხილვისას, პირველი ინსტანციის სასამართლოს ასევე უნდა გამოეკვლია აპელანტ ჯ. ი-ას განმარტება იმის შესახებ, რომ სადავო ბინით სარგებლობის უფლება მოპოვებული ჰქონდა სახალხო სასამართლოს 1976 წლის გადაწყვეტილებით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. ბ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება, შემდეგი საფუძველებით:

საქართველოს კონსტიტუციითა და მოქმედი კანონმდებლობით საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა. ეს ნიშნავს, რომ ყველა მესამე პირი ვალდებულია, თავი შეიკავოს სხვისი საკუთრების ხელყოფისაგან. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის მიხედვით, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნე-

ბა. აქედან გამომდინარე, უნდა შეწყდეს სადავო ფართის მოპასუხეების მიერ ფლობა, ისინი ვალდებული არიან ბინა გამოთავისუფლებული სახით და დაუზიანებლად ჩააბარონ რ. ბ-ას, როგორც ბინის მესაკუთრეს.

სააპელაციო სასამართლომ, მართალია აღიარა, რომ რ. ბ-ა წარმოადგენს სადავო ბინის კანონიერ მესაკუთრეს, მაგრამ უსაფუძვლოდ აღნიშნა, რომ მოპასუხეებს ჰქონდათ ამ ბინის ფლობის უფლება. კასატორი ხაგზასმით მიუთითებს, რომ მფლობელობის უფლება მოპასუხეებს მანამდე ჰქონდათ, სანამ რ. ბ-ა მისი მესაკუთრე გახდებოდა. მოსარჩელემ მესაკუთრედ გახდომის შემდგომ, გააფრთხილა მოპასუხეები ფართის გამოთავისუფლების თაობაზე, რაც მათ ნებაყოფლობით განახორციელეს. აღნიშნული ქმედებით მოპასუხეებმა დაკარგეს მითითებული ფართის ფლობის უფლება და აღარ ითვლებიან მართლზომიერ მფლობელებად. მოგვიანებით, რ. ბ-ას სამსახურში ყოფნის დროს, ი-ების ოჯახის წევრები უკანონოდ, თვითნებურად შეიჭრნენ ბინაში, სადაც სამუშაოდაც ცხოვრობენ. შედეგად, ილახება რ. ბ-ას საკუთრების უფლება.

სააპელაციო სასამართლო უსაფუძვლოდ უთითებს პრივატიზებასთან დაკავშირებულ კანონის ნორმებზე, იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ რადგან მოპასუხეები მონაწილეობდნენ პრივატიზების პროცესში, ამდენად, მათ ეკუთვნით წილი ამ ბინიდან. აქ, მნიშვნელოვანია ის, რომ მითითებული უფლება მოპასუხეებს გააჩნდათ ბინის გასხვისებამდე. მათ თავის დროზე (ი. ი-ის მესაკუთრეობის პერიოდში) არ გამოიყენეს ხსენებული უფლება, რ. ბ-ას მესაკუთრედ გახდომის შემდეგ კი, ეს უფლება დაკარგეს.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების მიზანშეწონილობის საკითხს, კასატორი მიიჩნევს, რომ ასეთი მიზანშეწონილობა მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს, არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომელიც გაამყარებს მოპასუხეთა პოზიციას, შესაბამისად, ისინი ამგვარ მტკიცებულებას ვერ წარუდგენენ სასამართლოს. მაგალითად, არ არსებობს სასამართლოს 1976 წლის გადაწყვეტილება ჯ. ი-ასათვის სადავო ბინაზე სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ.

ამდენად, საქმის განმხილველმა სასამართლომ ეჭვქვეშ დააყენა რ. ბ-ას საკუთრების უფლება, საქმეზე დამდგარი პროცესუალური შედეგიდან გამომდინარე, მისი ეს უფლება დარღვეულია, მაშინ როდესაც, საკუთრების უფლების დაცვას უზრუნველყოფს არამართო კანონი, არამედ სტაბილურად ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი აქვს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადაგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი. ამდენად, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს შეუზღუდაობას, ნებისმიერი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს საქმე. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება რაციონალური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნამდვილ აზრს, რითაც მოცემულ შემთხვევაში შეზღუდულია სააპელაციო სასამართლო. ამიტომ, სააპელაციო სასამართლომ, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ასევე საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა მისი ფაქტობრივი და სამართლებრივი დაუსაბუთებლობის გამო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის საფუძველზე. კერძოდ, საქმის უკან დაბრუნების აუცილებლობა სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა იმ გარემოებით, რომ სრულყოფილად გამოკვლევას საჭიროებდა სადავო ბინაზე მოპასუხეების თანასაკუთრების უფლების არსებობის საკითხი ი. ი-ის (სადავო ბინის თვდაპირველი მესაკუთრე, რომლისგანაც რ. ბ.-ამ აღნიშნული ბინა შეიძინა) სახელზე ბინის პრივატიზაციის განხორციელების დროს, მიუხედავად იმისა, რომ მათ თავიანთი საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში არ დაურეგისტრირებიათ. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დასადგენი იყო, ჰქონდა თუ არა მოპოვებული ერთ-ერთ აპელანტს (მოპასუხეს) – ჯ. ი-ას, სადავო ბინით სარგებლობის უფლება სახალხო სასამართლოს 1976 წლის გადაწყვეტილებით. ზემოაღნიშნული გარემოებები, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ განეკუთვნება ისეთ გარემოებებს, რომელთა გამოც გამართლებული იქნებოდა საქმის უკან გადაგზავნა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს თავადვე შეეძლო დაედგინა მის მიერ მი-

თითებული ფაქტობრივი გარემოებები, შეეფასებინა ისინი სამართლებრივად და გამოეყენებინა კანონის შესაბამისი ნორმები.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ასევე სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოში შეზღუდულია ახალი მტკიცებულებების წარდგენა, ამიტომ მიზანშეწონილია საქმის დაბრუნება პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ახალ გარემოებებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარდგენა შეზღუდულია არა მარტო სააპელაციო, არამედ პირველი ინსტანციის სასამართლოშიც, თუ საქმის მოსამზადებელი სტადია დასრულებულია (სსკ-ის 215-ე მუხლი). კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, რა დროსაც მოსამზადებელი სტადიის დასრულების შემდეგ შესაძლებელია ახალ გარემოებებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარდგენა. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო არ უთითებს, არსებობს თუ არა ახალი მტკიცებულებების წარდგენის კანონით გათვალისწინებული რომელიმე შემთხვევა, ასევე გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს რაიმე მითითებას იმის შესახებ, შეეზღუდათ თუ არა მოპასუხეებს ახალი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა პირველი ინსტანციის სასამართლოში. გასათვალისწინებელია, რომ ზემოაღნიშნულზე სააპელაციო საჩივარიც არ შეიცავს რაიმე მითითებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, გარემოებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ საქმის უკან დაბრუნების საფუძველად მიიჩნია, არ განეკუთვნება ისეთ გარემოებებს, რაც სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას ართმევდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე თავად გადაეწყვიტა საქმე და არ დაებრუნებინა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულება დაამატებითი გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### და ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. რ. ბ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-640-601-2011 6 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული თანხისა და ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ს. ჩ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ხ-ის მიმართ უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული 15000 აშშ დოლარისა და ზიანის – 25000 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, სარჩელი დაკმაყოფილდა, რაზეც მოპასუხემ შეიტანა საჩივარი. ამავე სასამართლოს 2010 წლის 4 მარტის განჩინებით მ. ხ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებასა და განჩინებაზე მ. ხ-მა შეიტანა სააპელაციო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება მისი ძალაში დატოვების შესახებ გაუქმდა, ხოლო საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს არსებითად განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2010 წლის 11 იანვარს სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის თაობაზე მხარეები გაფრთხილებულ იქნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

2010 წლის 8 იანვარს მოპასუხე მ. ხ-ის წარმომადგენლებმა ნ. ო-მა და ნ. ლ-ემ განცხადებით მიმართეს სასამართლოს, რომ ვერ გამოცხადდებოდნენ სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვინაიდან იმავე დღეს, იმავე დროს მონაწილეობდნენ სისხლის სამართლის საქმის განხილვაში და იცავდნენ განსასჯელ ი. თ-ის ინტერესებს. წარმომადგენლებმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლეს საქმის განხილვის გადადების თაობაზე. განცხადებას დაერთო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ გაცემული ცნობა იმის თაობაზე, რომ ადვოკატები ნ. ო-ი და ნ. ლ-ე მონაწილეობენ 2010 წლის 11 იანვარს, 10.00 საათზე დანიშნულ სისხლის სამართლის საქმის განხილვაში და იცავენ განსასჯელ ი. თ-ეს.

2010 წლის 11 იანვარს სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდნენ მოპასუხე მ. ხ-ი და მისი წარმომადგენლები, გამოცხადდა მოსარჩელე ს. ჩ-ს წარმომადგენელი ო. გ-ე, რომელმაც იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე, 241-ე მუხლებით, 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ხელშემშლელი გარემოება, კერძოდ, მოპასუხის გამოუცხადებლობა განპირობებული იყო საპატიო მიზეზით.

სააპელაციო პალატამ დადასტურებლად ჩათვალა ის გარემოება, რომ მ. ხ-ის წარმომადგენლები – ნ. უ-ი და ნ. ლ-ე მოცემული საქმის განხილვისას იმყოფებოდნენ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში, ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ წარმომადგენლებმა შეასრულეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნა და სხდომამდე რამოდენიმე დღით ადრე აცნობეს სასამართლოს თავისი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მითითება, რომ მოპასუხის წარმომადგენლები – ნ. ო-ი და ნ. ლ-ე 2010 წლის 11 იანვარს, 10.00 საათზე სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში ესწრებოდნენ მხოლოდ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას, ამდენად, აღნიშნული გარემოება კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე არ შეიძლება ჩაითვალოს იმის მტკიცებულებად, რომ ადვოკატთა დასწრება მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას სხდომაზე სავალდებულო არ იყო.

სააპელაციო პალატის განმარტებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა უნდა ემყარებოდეს ვარაუდს, რომ მხარეს დაკარგული აქვს საქმის განხილვის მიმართ ინტერესი, იგი შეგნებულად არიდებს თავს პროცესში მონაწილეობას ან მისი მოქმედება მიმართულია საქმის განხილვის გაჭიანურებისაკენ. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე მონაწილეობდა სასამართლოში მიმდინარე დავის განხილვაში, რაც გამოიხატებოდა სხდომებზე გამოცხადებაში, სასამართლოსათვის ახსნა-განმარტებების მიცემაში თუ სხვა საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობის მიღებაში, შესაბამისად, აღნიშნული არ იძლევა მხარის მიერ საქმის მიმართ ინტერესის დაკარგვის, ან საქმის განხილვის ხელოვნურად გაჭიანურების მცდელობის ვარაუდის საფუძველს.

სასამართლომ ასევე საპატიოდ ჩათვალა საქმის განხილვაზე თავად მ. ხ-ისა და მისი წარმომადგენლის (ამავდროულად მეუღლის) – ნ. ხ-ის გამოუცხადებლობაც, რადგან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, გაიზიარა შპს „ლ-ას“ საექიმო ამბულატორიის მთავარი ექიმის – რ. ხ-ის სამედიცინო ცნობა ნ. ხ-ის ავადმყოფობის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ 2011 წლის 24 მარტს მიიღო დამატებითი განჩინება, რომლითაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ს. ჩ-ს მ. ხ-ის სასარგებლოდ დააკისრა მოპასუხის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით განეული ხარჯის – 2870,40 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს დამატებითი განჩინება ს. ჩ-მ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და უგულებელყო ამავე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვითაც საქმეზე სასამართლო ხარჯები უნდა განაწილებულიყო არსებითად მიღებული გადაწყვეტილებით. მოცემულ შემთხვევაში კი საქმე დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ს. ჩ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო პალატის გასაჩივრებული დამატებითი განჩინება გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში კასატორი ს. ჩ- ასაჩივრებს სააპელაციო პალატის დამატებით განჩინებას, რომლითაც განისაზღვრა სახელმწიფო ბაჟის საკითხი და ს. ჩ-ს მ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მოპასუხის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გაწეული ხარჯის – 2870,40 ლარის ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლოს ძირითადი განჩინებით კი საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისი წარმოება არსებითად არ დასრულებულა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი, რომელიც ადგენს სასამართლო ხარჯების განაწილების წესს. აღნიშნული ნორმის შესამე ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო ხარჯების საბოლოო განაწილება დამოკიდებულია სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, დაკმაყოფილდა თუ არა სარჩელი (სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრები) და რა მოცულობით მოხდა მისი დაკმაყოფილება. მხოლოდ დავის არსებითად გადაწყვეტის შედეგადაა შესაძლებელი იმის განსაზღვრა, რომელ მხარეს რა ოდენობით სახელმწიფო ბაჟი ან სხვა სასამართლო ხარჯები უნდა დაეკისროს. შესაბამისად, აღნიშნული უნდა განხორციელდეს სასამართლოს ისეთი გადაწყვეტილებით, რომლითაც საქმის განხილვა არსებითად სრულდება. იმ შემთხვევაში, როდესაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლო უცვლელად ტოვებს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებას, იგი იმსჯელებს მხოლოდ ამ ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟისა და თუ სხვა ხარჯების განაწილებაზე, ხოლო ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ხარჯები დარჩება უცვლელად.

როგორც უკვე აღინიშნა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 თებერვლის განჩინებით, რომელზეც მიღებულ იქნა გასაჩივრებული დამატებითი განჩინება, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება მისი ძალაში დატოვების შესახებ გაუქმდა, ხოლო საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს არსებითად განსახილველად, ანუ საქმის წარმოება არ დასრულებულა. საქმის ხელახლა განხილვისას კი არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ დავის სამართლებრივი ბედის გადაწყვეტასთან ერთად შეიცვალოს გასაჩივრებული დამატებითი განჩინებით განაწილებული სასამართლო ხარჯების დაკისრების საკითხიც. შესაბამისად, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ეტაპზე დასაკისრებელი სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების კანონიერების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ასეთ დროს სასამართლოს არ გააჩნია ის მონაცემები, რაც აუცილებელია სახელმწიფო ბაჟის ოდენობის დადგენისა თუ სხვა სასამართლო ხარჯების განაწილებისათვის.

სწორედ ზემოხსენებულის გამო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილი უთითებს, რომ, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. სხენებული ნორმა გულისხმობს, რომ გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემთხვევაში გაუქმებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული სასამართლო ხარჯების განაწილება ძალას კარგავს და აღნიშნული ხელახლა უნდა განაწილდეს დავის არსებითად გადაწყვეტის დროს.

ამდენად, მოცემული საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების, ხოლო საქმის არსებითად განსახილველად დაბრუნების პირობებში სახელმწიფო ბაჟის განსაზღვრის მიზანშეწონილობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

**გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

ს. ჩ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 მარტის დამატებითი განჩინება და მიღებულ იქნას შემდეგი ახალი გადაწყვეტილება: მოცემულ დავაზე სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება სარჩელის განუხილველად დატოვებისას**

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№ას-580-548-2012

6 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის



## მოსამართლე ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება, წილის რეალურად გამოყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

ჟ. ა-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ა-ის მიმართ საზიარო უფლების გაუქმებისა და წილის რეალურად გამოყოფის მოთხოვნით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ჟ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც საპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 თებერვლის განჩინებით ჟ. ა-ისა და გ. ა-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ა-მ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის განჩინებით გ. ა-ს მიეცა ვადა ხარვეზის შესავსებად, რადგან საკასაციო საჩივარზე სრულად არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის განჩინებით გ. ა-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

2012 წლის 22 ივნისს გ. ა-მ განცხადებით მომართა უზენაეს სასამართლოს, წარმოადგინა სალაროს შემოსავლის ორდერი №5077933, და მოითხოვა მის მიერ 2012 წლის 24 აპრილს გადახდილი 475 ლარის უკან დაბრუნება, რადგან მან აღნიშნული თანხა გადაიხადა საკასაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შესავსებად, თუმცა გ. ა-მ ვერ მოახერხა გადახდის დამადასტურებელი ქვითარი განჩინებით დადგენილ ვადაში წარედგინა სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ა-ის განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მეექვსე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნებას საქმის წარმოების შეწყვეტისას ან სარჩელის განუხილველად დატოვებისას, თუ საქმე სასამართლოში განხილვას არ ექვემდებარება, აგრეთვე როდესაც მოსარჩელე არ იცავს მოცემული კატეგორიის საქმეებისათვის წინასწარი დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს ან აღიარებულია ქმედუუნარო პირად.

ზემოაღნიშნული მუხლის დანაწესებიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შემთხვევაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება დაბრუნებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი ურთიერთობის რეგულირება უნდა განხორციელდეს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მეექვსე მუხლის მესამე პუნქტით.

განსახილველ შემთხვევაში გ. ა-მ განცხადებით მომართა უზენაეს სასამართლოს, წარმოადგინა სალაროს შემოსავლის ორდერი №5077933, და მოითხოვა მის მიერ 2012 წლის 24 აპრილს გადახდილი 475 ლარის უკან დაბრუნება, რადგან მან აღნიშნული თანხა გადაიხადა საკასაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შესავსებად, თუმცა გ. ა-მ ვერ მოახერხა გადახდის დამადასტურებელი ქვითარი განჩინებით დადგენილ ვადაში წარედგინა სასამართლოში.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის №ას-580-548-2012 განჩინებით გ. ა-ს მიეცა სამი დღის ვადა ხარვეზის შესავსებად, რადგან საკასაციო საჩივარზე სრულად არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. აღნიშნული განჩინება გ. ა-ს სატელეფონო შეტყობინებით ეცნობა 2012 წლის 24 აპრილს, შესაბამისად, ხარვეზის შევსების ბოლო ვადა 2012 წლის 27 აპრილი იყო. კასატორმა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეასრულა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 აპრილის განჩინებით მიჩნეული იყო ხარვეზის შევსებად, კერძოდ, სასამართლოსათვის არ წარუდგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის განჩინებით გ. ა-ის საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ა-ის განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და გ. ა-ს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2012 წლის 24 აპრილს გადახდილი 475 ლარი (სალაროს შემოსავლის ორდერი №5077933).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

გ. ა-ის განცხადება დაკმაყოფილდეს.

გ. ა-ს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშიდან დაუბრუნდეს გ. ა-ის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 475 ლარი (2012 წლის 24 აპრილი, სალაროს შემოსავლის ორდერი №5077933) სს ბანკ „რესპუბლიკის“ მეშვეობით.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.